

ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

ელექტრონული ჟურნალი №2

რედაქტორი - ინგა გოგიბერიძე

რედკოლეგია: ლ. ჭყონია

ნ. ჩიკვაძე

რ. ქინქლაძე

მ. ჩხატარაშვილი

ნ. კაკიტაძე

ნ. ვაშაყმაძე

ს. ინაიშვილი

ბ. ხუციშვილი

2020 წლის

№2

სარჩევი

რუბრიკები

შენი სივრცე

ო' ჰენრის ნოველა „უკანასკნელი ფოთოლი“ ----- 5 გვ

საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება

მკითხველებთან მუშაობა ----- 6 გვ

ბიბლიოთეკა და ბიბლიოგრაფიული ძიებანი

ქართველი კინოდრამატურგი - სულიკო ჟღენტი ----- 9 გვ

#აკაკიწერეთელი - 180 ----- 11 გვ

ახალი წიგნების გამოფენა ----- 16 გვ

უილიამ ფოლკნერი - ხმაური და მძვინვარება ----- 17 გვ

ოტია იოსელიანი - დაჩის ზღაპრები ----- 20 გვ

ოტია იოსელიანი - 90 ----- 23 გვ

ამ საუკუნის ფოლიანტები ----- 24 გვ

#გარემოსდაცვისმსოფლიოდღე ----- 25 გვ

ფრანც კაფკა - 137 ----- 26 გვ

ამელი ნოტომი ----- 29 გვ

ზეინაზ მეტრეველი-საყდრის ჩიტები ----- 31 გვ

უილიამ ფოლკნერის- აბესალომ, აბესალომ! ----- 34 გვ

ვიქტორ ჰიუგო ----- 37 გვ

სირი ჰუსტვეტი-"ზაფხული კაცების გარეშე" ----- 38 გვ

ფრიდონ ხალვაში - 95 ----- 39 გვ

ფრიდონ ხალვაშის ომრი ----- 40 გვ

კონსტანტინე გამსახურდია - 127 ----- 42 გვ

ჯემალ ქარჩხაძე - 84 ----- 43 გვ

მარკ ტვენი - „უფლისწული და მათხოვარი“ ----- 44 გვ

ჰენრი ლონგფელო - ჰაიავათას სიმღერა ----- 46 გვ

წრიპა ბიჭის დღიური ----- 49 გვ

ჯონ სტაინბეკი - "კონსერვის რიგი" ----- 50 გვ

აკა მორჩილაძე მწერლებსა და წიგნებზე ----- 52 გვ

ელიზაბეტ ჯილბერტი - "ჰამე, ილოცე, შეიყვარე" -----	54 გვ
ჟურნალი „ივერია“ -----	56 გვ
გურამ დოჩანაშვილი - "კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" -----	57 გვ
ქართველი დრამატურგი, რეჟისორი და მწერალი - ნინო ხარატი -----	59 გვ
ნორა რობერტსი „კოლექციონერი“ -----	61 გვ
შრიფ ხიმშიაშვილი -----	62 გვ
26 მაისი - დამოუკიდებლობის აღდგენის დღე -----	66 გვ
ნოდარ დუმბაძის შემოქმედება -----	67 გვ
პირველი ქართული ჟურნალი -----	69 გვ
„საინტერესო ფაქტები მწერლების შესახებ“ -----	71 გვ
ბათუმში გავრცელებული ეპიდემიისადმი მიძღვნილი წინები -----	73 გვ
ბორის აკუნინის - ლევიათანი -----	75 გვ
დოკუმენტური მოთხრობა - „გზა“ -----	77 გვ
წიგნი - "ანტიკულინარიული რეცეპტები" -----	79 გვ
ეტელ ვოინიჩი - კრაზანა -----	81 გვ
სელიმ ხიმშიაშვილი -----	83 გვ
წიგნი „საქართველო და ქართველები“ -----	86 გვ
ჰაინრიხ ბიოლის შემოქმედება -----	88 გვ
პირველი ქართული გაზეთი -----	90 გვ
"ერთი ცოლი და უამრავი ქალი" -----	93 გვ
ჯ. პ. დილენი - წინამორბედი -----	98 გვ
„სახლიდან გაუსვლელად“ -----	99 გვ
ამერიკელი მხატვრის გრანტ ვუდის ნახატი - "ამერიკულ გოთიკა" -----	101 გვ
"საინტერესო ფაქტები მწერლებზე" -----	103 გვ
ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია -----	105 გვ
გაზეთი - „ბათუმელები“ -----	108 გვ
ჯეფ კინი თანამედროვე ამერიკელი მწერალი -----	110 გვ
აკაკი ბელიაშვილის ნოველა - „მწუხრი ტრფობისა“ -----	112 გვ
ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „იესო ძე კაცისა“ -----	115 გვ
როგორ შეიქმნა პირველი წიგნი -----	118 გვ

ცნობილი მწერალი ქალი - შარლოტა ბრონტე -----	120 გვ
რარიტეტული წიგნები -----	123 გვ
"ანა ფრანკის დღიური" -----	124 გვ
@თომას მაინ რიდი 202 -----	126 გვ
დანიელი მეზლაპრე - ჰანს ქრისტიან ანდერსენი -----	128 გვ
„მზად ვარ ჩემი გული გადაგიშალოთ“	
ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ მხატვარ ნინო ბალხამიშვილთან -----	130 გვ
ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ შოთა ჯუჯაბიძესთან -----	132 გვ
ნატო გიორგაძის ინტერვიუ თამარ ნიკურაძესთან -----	136 გვ
ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ ნატალია კეჭემაძესთან -----	140 გვ
ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ გია ჯაჯანიძესთან -----	141 გვ
ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ სოსო კოტრიკაშვილთან -----	145 გვ
ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ ლაშა ჩხარტიშვილთან -----	149 გვ
ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზები	
უცხოური წიგნების ელექტრონული კატალოგები -----	153 გვ
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ -----	154 გვ
დისტანციური მომსახურების სერვისები -----	155 გვ
მონაცემთა ბაზა - „ჟურნალების მატთანე“ -----	156 გვ
გაზეთების სტატიების ანალიტიკური აღწერილობის ბაზა -----	157 გვ
სიახლეები	
მუზეუმის საერთაშორისო დღე -----	158 გვ
სტუმრად ბიბლიოთეკაში -----	161 გვ
23 აპრილი წიგნის საერთაშორისო დღეა! -----	162 გვ

შენი სივრცე

ო' ჰენრის ნოველა „უკანასკნელი ფოთოლი“

23 მაისს ლიტერატურული კლუბის „შენი სივრცე“ წევრების მორიგი დისტანციური შეხვედრა ჩატარდა. განიხილეს ამერიკელი მწერლის ო' ჰენრის ნოველა „უკანასკნელი ფოთოლი“. ამბობენ, უიმედოდ დარჩენილი ადამიანი, მარტოობისთვისაა განწირული, მარტოობა კი დამლუპველია. ყველა ადამიანს უნდა ჰყავდეს გვერდით ის, ვინც ცხოვრების ყველაზე რთულ და ბნელ პერიოდს გაუფერადებს. როცა სევდა ძლიერ შემოგაწვებათ, სწორედ ასეთ დროს უნდა გადმოიღოთ ო'ჰენრის წიგნი თაროდან, გადაშალოთ და კიდევ ერთხელ წაიკითხოთ სულ სამიოდე ფურცელზე დაწერილი ულამაზესი და სევდიანი ამბავი სიუს და ჯონსის – ორი მეგობარი გოგონას შესახებ; გაიხსენოთ, როგორ აიჩემა ავადმყოფმა ჯონსიმ, რომ მისი სიცოცხლე მაინცდამაინც სუროს იმ უკანასკნელ ფოთოლს უნდა გაჰყოლოდა, მათი ფანჯრიდან რომ მოჩანდა, აგურის კედელზე აკრული. აუცილებლად უნდა



წარმოიდგინო პატარა და ღარიბული ოთახი, საწოლს მიჯაჭვული ჯონსი და ღვარძლიანი მოხუცი მხატვარი ბერმანი, მთელი ცხოვრება შედევრის შექმნაზე რომ ოცნებობდა... და შექმნა კიდევ. მართალია, სიცოცხლის ფასად დაუჯდა, მაგრამ მიზანს მაინც მიაღწია – ოცნებაც აისრულა და სიუც გადაარჩინა, ხოლო ჩვენ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ ყველაზე ბოლოს კვდება იმედი... შეიძლება, არც კვდება საერთოდ და უსასოდ დარჩენილ ადამიანებს ხან საიდან აშველებს ხელს, ხან – საიდან. იმედი არ მოგიშალოთ ღმერთმა და კიდევ – იმ უკანასკნელი ფოთლის კედელზე დამხატველი გყოლოდეთ გვერდით ყოველთვის.

მკითხველებთან მუშაობა

ჩემო პატარა მკითხველო! ჩემო ერთგულო მსმენელო, ცხოვრება ნელ-ნელა უბრუნდება ჩვეულ რიტმს. სიფრთხილით, მაგრამ მაინც გამოვედით სახლებიდან. გპირდებით #ჩვენდავბრუნდებით, შენ, ჩვენთან ერთად, ჩვენს ზღაპრულ საზღაპრეთში, წაიკითხავ ფერად ამბებს, დახატავ და გააფერადებ. ისევ ჩავეხუტებით ერთმანეთს. ისევ იმოგზაურებ ზღაპრულ სამყაროში, რადგან შენთვის აქედან იწყება დიდი გზის დასაწყისი ცოდნის სამყაროში. ☞

✚ ქ. ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო - ახალგაზრდობის განყოფილების ბავშვთა დარბაზი ემსახურება 3-დან 9 წლის ასაკის მკითხველს. ეს ის ასაკია, როდესაც ყალიბდება ნორჩი მკითხველი, როდესაც ხდება მის ცნობიერებაში წიგნისა და ცოდნის შეცნობა. ამიტომაც ამ ასაკის მკითხველთან მუშაობა ბიბლიოთეკარის განსაკუთრებულად მაღალ პროფესიონალიზმს და გულისხმიერ დამოკიდებულებას მოითხოვს.

✚ ბავშვთა დარბაზის ბიბლიოთეკარი არა მხოლოდ წიგნის გაცემაზე და შერჩევაზე ზრუნავს, არამედ ვალდებულია პატარა მკითხველს მიაწოდოს მისთვის საჭირო და განვითარებისათვის აუცილებელი ლიტერატურა, დააინტერესოს და შეაყვაროს წიგნებთან ურთიერთობა, იქონიოს მჭიდრო კავშირი მშობელთან და დაწყებითი კლასის პედაგოგებთან, რადგან ერთმანეთის დახმარებით მიიღწევა მხოლოდ მოზარდის მკითხველად ჩამოყალიბება. ბიბლიოთეკარი მოწოდებულია მრავალი ხერხით ეცადოს ბიბლიოთეკა გახადოს ბავშვის ინტერესის სფერო და შეაყვაროს ფერადი წიგნებით სავსე სულიერი სამყარო.

✚ გაცნობებთ, რომ ბავშვთა დარბაზის წიგნადი ფონდი შეადგენს 7914 ერთეულს. აქედან ქართული-4516 უცხოური-3389 ეგზ.

✚ ბავშვთა ოთახი ფერადი და მრავალფეროვანია. მკითხველისათვის კომფორტული და ხელმისაწვდომი ყველა კუთხე-კუნჭული. მდიდარი ქართული და უცხოელი

მწერლების საბავშვო ლიტერატურით, სკოლამდელი და დაწყებითი კლასის მოსწავლეების ასაკის შესაბამისი მხატვრული და შემეცნებითი სახის წიგნებით. უხვადაა თანამედროვე გამოცემები, თამაშ-თამაშით წასაკითხი ხმოვანი და სამგანზიმილებიაბნი საოცარი წიგნები. მათი ინტერესის სფეროა ე. წ. „ჭკვიანი წიგნები“ რომელიც ხელს უწყობს პატარა მკითხველის მრავალმხრივ განვითარებას, უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და უმარტივეს რთულ გზას შემეცნებისაკენ!

✚ ბავშვთა დარბაზის ეფექტური მუშაობისათვის ბევრი და ნაყოფიერი მუშაობაა ჩასატარებელი. საჭიროა, მკითხველებთან მუშაობა დარბაზის წიგნადი ფონდით, ელექტრონული რესურსებით, გაცემული ლიტერატურის აღრიცხვით, საინფორმაციო და საცნობარო ბიულეტენებით, თემატურ ბიბლიოგრაფიული მიმოხილვებით, კალენდარულ-თემატური გამოფენებით, უარების აღრიცხვით და ფონდის შევსებით მკითხველების მოთხოვნადი წიგნებით, ზეპირი და წერილობითი ცნობების გაცემით და სხვადასხვა...

✚ დარბაზში ტარდება მრავალფეროვანი ღონისძიებები. შემეცნებით-გასართობი თუ ლიტერატურულ-მუსიკალური, სახალისო ვიქტორინები და მასტერკლასები. ზღაპრის გმირების დახატვა და გმირების პერსონაჟების თეატრალური მონტაჟი. ღონისძიებები ტარდება როგორც გეგმიურად ასევე არაგეგმიურად.

✚ ბავშვთა დარბაზის საგანძურია 100-მდე ხელნაკეთი წიგნი. ეს არის პროექტი რომელიც ხელს უწყობს პატარა „მწერლებს“ საკუთარი დიზაინით შექმნას და გამოსცეს საკუთარი ნააზრევი.

✚ წიგნები გამოფენილია ბავშვთა დარბაზში და დაინტერესებული მკითხველისათვის ხელმისაწვდომია.

✚ ბავშვთა დარბაზის ყველზე დიდი მიღწევაა კლუბი „საზღაპრეთი“, რომელიც 2008 წლიდან დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის ქ-ნი ინგა გოგიბერიძის ხელმძღვანელობით. კლუბი რომელმაც მოიცვა მთელი რეგიონი (არამარტო...) თავისი მუშაობით, შიდა და გასვლითი შეხვედრებით საბავშვო ბაღებში, სკოლებში , ქუჩებში და სკვერებში.

✚ კლუბი სადაც მარტო ბიბლიოთეკარი ვერ იქნები და წიგნის პერსონაჟი ხდები, ხან მზეთუნახავი ხარ და ხან ურჩხული, ხან ფარფატელა ნაზი ფრინველი და ხანაც დინოზავრი დინდინელა, იქ სადაც კეთილი ჯადოქარიც ხარ და კუდიანი დედაბერიც...

✚✚ ეს იყო იქამდე სანამ პანდემიამ არ მოიცვა მთელი სამყარო, გაჩერდა მსოფლიო. გააქტიურდა მოწოდება „დარჩი სახლში“ და საზოგადოება შემოიფარგლა ოჯახური სივრცით, მაგრამ ჩვენ არ გავჩერდით... ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ აქტიურად გააგრძელა დისტანციურად მუშაობა. ბავშვთა დარბაზიც აქტიურად ჩაერთო ამ საქმეში და „საზღაპრეთი“ კვლავ მკითხველთანაა, ვუკითხავთ ზღაპრებს, იგავებს, ლექსებს და მოთხრობებს...

✚✚ და ბოლოს, გიგზავნით ფოტოებს საზღაპრეთიდან, ფერადს მაგრამ უსაშველოდ მოწყენილს უთქვენოდ....

ბავშვთა დარბაზის მთავარი ბიბლიოთეკარი

ლელა სურმანიძე

2020 წ. 22 მაისი



ქართველი კინოდრამატურგი - სულიკო ჟღენტი

ქართველი კინოდრამატურგი და მწერალი სულიკო ჟღენტი დაიბადა 1925 წლის 22 ივნისს. 1954 წელს დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი საკავშირო სახელმწიფო კინოინსტიტუტის სასცენარო ფაკულტეტი, (ცნობილი დრამატურგთა) ე. გაბრილოვიჩის და ი. ვაისფელდის სახელობით.

სულიკო ჟღენტი არის საქართველოს დამსახურებული მოღვაწე. ღირსების ორდენის კავალერი, ბათუმისა და ლევიცეს (სლოვაკეთი) საპატიო მოქალაქე. არის ავტორი წიგნების: „ზღვისპირეთის სადამოები" 1958 წელი (რუსულ და ქართულ ენებზე), „კიდევაც დაიზრდებიან", „ნერგები", „წუთისოფელი" (რუსულ ენაზე, გამომცემლობა „ისკუსტვო" 1972 წ.). მისი ბიოგრაფია შესულია რუსულ კინოენციკლოპედიასა და ქართულ ენციკლოპედიაში, წიგნში „ვინ ვინ არის".

საუკეთესო სცენარისათვის მიღებული აქვს პრემიები საკავშირო კინო-ფესტივალებზე. მისი სცენარით გადაღებული ფილმი „ჯარისკაცის მამა" (1965 წ) შესულია რუსეთის კინემატოგრაფის ოქროს ფონდში.

გარდაიცვალა 2000 წლის 3 თებერვალს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ფილმოგრაფია

1959 სეინერები ზღვაში გადიან
(დოკუმენტური ფილმი)

1960 ადამიანი და ფოლადი
(დოკუმენტური ფილმი)

1961 ჭიაკოკონა

1962 ბურთი და მოედანი

1965 ჯარისკაცის მამა

1969 ღიმილის ბიჭები

1969 სინათლე ჩვენს სარკმლებში

1972 წუთისოფელი



1973 წერგები

1974 ციმბირელი პაპა

1978 ჩემი მეგობარი მია ვანო

1979 რაჭა ჩემი სიყვარული

1980 მეცამეტე გოჭი

1980 მშობლიური ჩემო მიწავ (რაიკომის მდივანი)

1984 ყველა კომეტა როდი ქრება (ჟამი მტრობისა ჟამი სიყვარულისა

1986 ახალი არკადია

1987 ფესვები

1988 პლიაჟის ავაზაკი

1988 დონ კიხოტ ლამანჩელი.

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდში დაცულია სულიკო ჟღენტის შემოქმედებისა და ცხოვრების ამსახველი მასალები:

სულიკო ჟღენტი - „ზღვისპირეთის სადამოები“.

სულიკო ჟღენტი - „კიდევაც დაიზრდებიან“.

სულიკო ჟღენტი - „მარგინალები ძველი და ახალი რვეულებიდან“.

ოლიკო ჟღენტი - „ბათუმი კინოში“.

ოლიკო ჟღენტი - „თბილისი ქართულ კინოში XXს“.

სულიკო ჟღენტის პუბლიკაციები იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში, მათ შორის, „ლიტერატურულ აჭარასა“ და „ჭოროხში“.

#აკაკიდააჭარა

◆◆◆ დღეს 21 ივნისია, დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადების დღე. მგოსნის ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული აჭარასთან. აკაკი წერეთლის შემოქმედების მთავარი მამოძრავებელი ძალა თავისუფლების იდეაა, რომელიც, თავის



მხრივ, ორ მძლავრ შენაკადად იყოფა.ეს არის სამშობლოს თავისუფლება და პიროვნების თავისუფლება. პიროვნება ვერ იქნება თავისუფალი,თუ სამშობლო ტყვეობაშია. ტყვეობაში გრძნობდა თავს პოეტი, რადგან მისი ქვეყანა არ იყო თავისუფალი. უფრო უარესიც, ქვეყანა ორად იყო გახლეჩილი: დიდი ნაწილი რუსს ეჭირა მარწუხებში და დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული. მოგვიანებით, უკან დაბრუნებული აჭარა დიდ

გასაჭირშია. იგი სილატაკეს მოუცავს. გასაჭირშია უმნიშვნელოვანესი ქართული კუთხე-აჭარა და მისი ქალაქ-სოფლები. წერა-კითხვის მცოდნე ჭირს, ფაქტიურად არა ჰყავთ. რა გაახარებს პოეტს, როცა მოძმეთ ასეთ ყოფაში ხედავს.

◆◆◆ დიდი პოეტები საკუთარ უკვდავებას, მართლაც, წყალივით ან პურივით გვინაწილებენ და ჩვენც ყველანი ერთი წუთით უკვდავებას ვეზიარებით ხოლმე, რადგან იგივე პოეტები გვასწავლიან, ერთი წამით შეცნობილი უკვდავება რომ სჯობს შეუცნობ მარადისობას.

◆◆◆ ვახტანგ კოტეტიშვილს უთქვამს: „ილია წინ უძღოდა ერს არა მხოლოდ პოეზიით, არამედ პრაქტიკულადაც. აკაკი დარჩა მხოლოდ პოეტად და ჩვენს ცხოვრებას უწინამძღვრა იმდენად, რამდენადაც ერი ითხოვდა მისგან.“

✦ ✦ ✦ აკაკი სულ გმირის მოლოდინში იყო, იმ გმირის, რომელიც ერს წაუძღვებოდა წინ თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მანამ კი ლექსით ებრძოდა უმეცრებას, უგულობას, რომელიც მის ქვეყანაში გამეფებულიყო. იგი თავისი ქვეყნის ყოველ მისხალს მისტიროდა. აჭარა მისი დიდი ტკივილი იყო.

ვით სპილო არ მწამს სპილოდა,
თუ აღარა აქვს ხორთუმი,
ისე კავკასი კავკასად,
თუ არ ექნება ბათუმი!
ჭოროხი ჩვენს ძველ დიდებას
წაიღებს, შავ ზღვას შერთავსო,
თუ დაგვეკარგა ის წყალი,
ჩვენს“ვაის“ „უის“ შერთავსო!

✦ ✦ ✦ ჭოროხი მისთვის ცოცხალი სული იყო, რომელსაც ბევრი უნახავს და განუცდია, ბევრი წამებული ჩაუკრავს გულში და უკანასკნელ გზაზე- ბევრისთვის უნანავებია. იგი, ხომ უტყვი მოწმეა, ცოცხალი მემკვიდრე მრავალჭირგამოვლილი კუთხისა... პოეტს ვერ წარმოუდგენია ვერაფერი ქართული, აჭარისა და მისი მთავარი ქალაქის, ბათუმის გარეშე. ამიტომაც ეფერება და სულ გულში ჰყავს. აკაკის ლექსი მარადის მომფერებელი და მოაღერსეა ბათუმ-ქალაქის. პოეტმა იცის: არ მომკვდარა, გაიღვიძებს ისევ ერი!

✦ ✦ ✦ კაცობრიობის ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ბევრჯერ გადაუფასებიათ ფასეულობები, მაგრამ რაღაც საოცარი ძალის წყალობით წიგნებს მეტწილად შეუნარჩულებიათ თავიანთი აზრი და ღირებულება, ცხოვრებისეული მნიშვნელობა და არსი. ჩვენი ერის არსებობის მანძილზე რა არ გადავიტანეთ, რა უბედურებამ არ გადაიარა ჩვენს თავზე, მაგრამ ქართველი ხალხის გაუტეხელმა ბუნებამ თავისი ქნა და ასე რუდუნებით შემოვუნახეთ შთამომავლობას ჩვენი დიდებული წარსული, მისი დიდებული ისტორია. ჩვენ ისიც კარგად გვაქვს გააზრებული რა როლს ასრულებენ ჩვენი არსებობის, ჩვენი წარსულის ნათლად წარმოჩენის დიად და მეტად საპასუხისმგებლო საქმეში, ჩვენი კალმოსნები, ჩვენი ცხოვრების დიდი და მეტად საჭირო მემკვიდრეები. აბა რას ემსგავსებოდა ერის ყოფა, ისეთი დიდებული პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გარეშე, აკაკი წერეთელი რომ იყო. მწერალს, პოეტს მემკვიდრის საპატიო მისიაც აკისრია. თუ არა აკაკი, რომელი ჟამთააღმწერელი წარმოგვიდგენდა, ასეთი დიდებულებით, სახელოვან ქართველს, დიდ

თორნიკე ერისთავს. „თორნიკე ერისთავი“ მარტო ლამაზი ნაწარმოები არ არის, იგი ჩვენი დიდებული წარსულის ფურცლებია, იგი არის ძეგლი ცხოველი, იმ გმირობისა და გმირებისა, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა ასგზის იხსნეს მტერთაგან განადგურებისგან. ეს არის ვრცელი ისტორია ჩვენი სამშობლოს. ეს ის პერიოდია როცა საქართველოს დიდების სახელი ქუხდა. როცა ისეთი დიდი სახელმწიფო საბერძნეთი რომ იყო საშველად ემახდა ჩვენს ქვეყანას. „არ მომკვდარა, გაიღვიძებს ისევ ერი,“-კვლავ ჩამოგვძახის აკაკი წერეთელი.

✦❖❖❖ რა იყო წარსული პოეტისათვის: ზოგჯერ ტკბილი და საამაყო მოგონება, ზოგჯერ უსაზღვრო ტკივილი. მას საქართველოს ყველა ნაწილი ტკიოდა. ტკიოდა აჭარა. საქმით და სიტყვით ეფერებოდა მრავალგზის ნაწამებ და ნაგვემ კუთხეს თავისი ქვეყნისა, მოწყვეტილს დედა სამშობლოს სხეულს, ხალხს მრავალ ჭირგადახდილს, ნაომარს, სისხლმდინარეს. თავისი შვილების სისხლით მრავალგზის შეღებილ ჭოროხს. ახლაც ატყვია გლოვისა და ცრემლის კვალი ღვთითნაკურთხ მიწას ჩვენსას. აი, ქვა, თავსაკვეთი ისევ აქ არის, ურჩთათვის, თავშეწირულისთვის. შეხედე ჭოროხს მღვრიე ფერი აქვს, ისევ მრისხანებს. ხედავდა ამას პოეტი და ამიტომაც იკრავდა გულში, ასეთი სისათუთით ამ კუთხის შვილთ: „დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც უკუღმართმა ბედმა დაგვიკარგა ჩვენი მრავალსაუკუნეობითი ერთობა, გაგვაპო შუა, გაგვყო ორად, გაგვასხვავა სარწმუნოებითა და დაგვაშორა ერთმანეთს ქვეშევრდომობით. მაგრამ ჩვენ კი მაინც იმავე ერთი ტომის ხალხი ვართ, რაც ადრე ვიყავით, იმგვარივე სისხლი სდუღს ჩვენში დღესაც, რომელსაც ადრე ჩვენ და თქვენ ჩვენის ერთობისათვის თავგანწირულად შეერთებულად ვანთხევდით... „სანამ კი საქართველო არსებობს და სანამ ჩვენი დედა-ენა არ გამქრალა, ის ტკბილი ენა, რომელიც თქვენ აგრე მამაცურად და პატიოსნად უცხოობაშიაც კი შეგინახავთ...“იტყვის პოეტი.

✦❖❖❖ აჭარა, ბათუმი თავისი ტკივილიანი წარსულით, ყველა ქართველის საფიქრელი იყო. აკაკიმ იცოდა რა სიტუაცია იყო აჭარაში, წარმატების მიღწევა და ნდობის მოპოვება მხოლოდ გულითადი დამოკიდებულებით შეიძლებოდა. ამიტომ დიდი ძალისხმევა იყო საჭირო. დიდი შრომაც, უპირველესად განათლების კუთხით- კარგად შემუშავებული გეგმით მოქმედება. აჭარა, უთვალსაჩინოესი კუთხე საქართველოს ახალ ცხოვრებას იწყებდა. მისი მრავალჭირნახი ხალხი მზად იყო ცვლილებებისთვის. იმდენი ვარამი გადაეტანათ, იმდენი გასაჭირი. აჭარის მოწინავე საზოგადოება ენთუზიაზმით ჩაება საქმეში. აკაკიმ იცოდა რა გაუტეხელი და მამაცი ხალხით იყო განსხეულებული კუთხე -

აჭარა. პოეტს ეამაყებოდა გმირული წარსული-წარმტაცი კუთხისა, მისი ულამაზესი ხალხისა. მათი ტკივილი ტკიოდა და ყოველთვის მზად იყო მათ სამსახურად და მოსაფერებლად. აჭარა, ბათუმი თავისი ტკივილიანი წარსულით დიდი საფიქრალი იყო. როგორი ტანჯვით, წვითა და დაგვით მოიტანა ამ ხალხმა ჩვენამდე მშობლიური ენა, ქართული ადათ-წესი, პურზე ჯვარი გამოსახა და ღმერთი ჭეშმარიტი ისე დაავანა თავის ღარიბულ ქოხში. ვერც ოსმალთ, ვერც რუსმა- ხატი, საქართველო, ვერ ამოძირკვა აჭარელი ხალხის სულიდან და ამიტომაც ეამაყებოდა პოეტს, ეფერებოდა ლექსით, წერილებით. აკაკიმ დიდი წვლილი შეიტანა კუთხის სწავლა-განათლების საქმეში. გრძნობდა პოეტი, სწორ გზას ადგა ერი, ამაზე უკეთესი სხვა რა დაგვემართებოდა, ძმა გულში ჩავიკარით და მოვეფერეთ, მშობლიური კალთა გადავაფარეთ და ვინ დაგვათმობინებდა წამებით დატანჯულ მოძმეს ჩვენსას: „ღმერთმა ნუ ქნას უთქვენობა ჩვენთვის. ორი ნახევარი ცალ-ცალკე ყოველთვის უსრულო ნაწილებად დარჩებიან, მაგრამ ერთად შეერთებით კი ერთს სრულს შეადგენენ. დიახ, სულითა და გულით ჩვენ ერთი ვართ, ერთს ბედს ქვეშ უნდა ვიყოთ ყოველთვის.“ ასე მოუწოდა მტერთაგან თავდახსნილებს.

✦ ❖ ❖ ❖ ვინ არ გვეცილებოდა, ვინ არ ცდილა დაემცრო და დაემისებინა ქართული მიწები. ოსმალეთი ყველა ღონეს ხმარობდა აჭარა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია, ახლაც არის ამის რაღაც ნიშნები, მაგრამ არავის გამოუვა ძმა ძმას დააცილოს, თუნდაც რელიგიური ნიშნით. ჩვენ ერთი დიდი წინაპარი გვყავს, ერთი სისხლი გვიდუღს და ამ ენაზე გვესაუბრება ღმერთი და ჩვენც ამ ენაზე აღვაკლენთ ღვთის სადიდებელს-ტკბილხმოვანი ქართულით, ასე უნებებია ღმერთს და ამასვე გვკარნახობს, რაღაც, ჩვენი სულის სიღრმეში, ესეც ღმერთისგანაა, ამით მოვედით ამქვეყნად და ასე გაგრძელდება ქართული გენის მოვლენა ზემოდან-ენით ქართულით და მზევით ქართულით. ჩვენ, ჩვენი ჯვარი გვაქვს, რომელსაც გულით ვატარებთ ღმერთისა და ერის სადიდებლად.

✦ ❖ ❖ ❖ საქართველს დიდებულ პოეტს საქართველოს ბედი აღელვებდა, მისი სხეულის ყველა ნაწილი ტკიოდა და საქმით და სიტყვით ეფერებოდა თავის ქვეყანას. იგი თითქოს განგებამ მოავლინა ერისა და ქვეყნის სამსახურისათვის. იბრძოდა გულით და ის რაც მის გულს აღაგზნებდა და აფორიაქებდა ფურცელზე გადაჰქონდა. იგი ბათუმის ხშირი სტუმარი იყო, გვერდში ედგა აჭარის დიდ მამულიშვილებს და მათთან ერთად მამულიშვილურ საქმეს აკეთებდა. ეფერებოდა მრავალჭირნახულ კუთხეს. მათი

სატკივართ გულანთებული- ერთგულად ედგა გვერდით აჭარელ თანამომხმეებს: გულო კაიკაცისშვილს და სხვა მამულიშვილთ.

აკაკი წერეთელში გულისა და გონების ერთიანობა ქმნიდა ყველაფერს ამალელებულდა და მშვენიერს.

◆◆◆ ქალაქ ბათუმის მთავარი განმსაცავი, ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკაც ხომ დიდი აკაკის სახელს ატარებს და საუკუნეზე მეტია ცოდნა-განათლების დიად საქმეს ემსახურება.

◆◆◆ დღეს კი, აკაკი წერეთელის დაბადების დღეა, სხვა რა შეგვიძლია გავიღოთ დიდი სიყვარულისა და მარადი ხსოვნის გარდა. გვიყვარდეს უნდა ჩვენი დიდების მარადი მოამაგენი და ვიაროთ მათ მიერ გაკვალული გზით, მათი ოცნებაც ხომ ეს იყო: ერთიანი, მოსიყვარულე გულებით შეკავშირებული-დიადი საქართველო.

წერილი მოამზადა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მთავარმა ბიბლიოთეკარმა ელენორა ძიგუამ.



ახალი წიგნების გამოფენა

დღეს საჯარო ბიბლიოთეკის უცხოურმა განყოფილებამ მოაწყო წიგნად ფონდში



ახალმიღებული თანამედროვე და კლასიკური ლიტერატურის, ყველა თაობისათვის საკითხავი წიგნების გამოფენა. წიგნები გამოცემულია ინგლისურ ენაზე: „ანა ფრანკი“ (Anne Frank) - ებრაელი გოგონას ანა ფრანკის ჩანაწერები, რომლებსაც იგი აკეთებდა ნიდერლანდების ნაცისტური ოკუპაციის დროს 1942 წლის 2 ივლისიდან 1944 წლის 1 აგვისტომდე. წიგნი, რომელიც ყველა მოზარდმა უნდა წაიკითხოს.

ინგლისელი მწერალი ქალის მერი შელის (Mery Shelley) გოტიკური რომანი „ფრანკენშტაინი“. ამ რომანმა ბევრი

შემოქმედი შთააგონა. არა მხოლოდ მის ავტორს მოუტანა აღიარება, არამედ მსოფლიო კინემატოგრაფიის ისტორიაშიც საუკეთესო წვლილი შეიტანა.

მარტინ ლუთერ კინგი (Martin Luther King)- ამერიკელი ორატორი და 1955 წლიდან სამოქალაქო მოძრაობის ლიდერი, არაძალისმიერი ხერხებით სამოქალაქო უფლებების დამცველი.

ამერიკელი მწერლის სიუზან კოლინზი (Suzan Collins) „შიმშილის თამაშების“ ავტორი გვხიბლავს სათავგადასავლო წიგნების სერიებით, რომლებიც გამოგიჩერენ და სანამ ბოლო გვერდს არ გადაფურცლავ, ხელს არ გაუშვებ, მოგწყვიტავენ გარემოს და გამოგზაურებენ სადღაც შორს.

აგრეთვე მიღებულია ახალგამოცემული წიგნები: ინგლისელი მწერლების ჩარლზ დიკენსის, რადიარდ კიპლინგის, არტურ კონან დოილის, ჯეკ ლონდონის ნაწარმოებები, რომლებიც ყველა დროში აქტიურად იკითხება.

ინგლისელი მწერლის ჯეინ ოსტინის (Jane Austen)-ის ახალშემოსული რომანები, სასიამოვნო საკითხავია. სასიყვარულო ისტორიები ერთი ამისუნთქვით იკითხება.


მე-20 საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი გავლენიანი მოდერნისტი ინგლისელი მწერალი ვირჯინია ვულფი გვთავაზობს რომანს „ორლანდო“, სადაც ავტორი მსუბუქი ირონიით, ხანაც მძაფრი სატირით ხატავს იშვიათი გარეგნობისა და პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ დიდგვაროვანი ინგლისელი ჭაბუკის მოგზაურობას საუკუნიდან საუკუნეში.

ՈՅՈՒՆԵՏ ԲՅՈՒՆԵՏ ...

საჯარო ბიბლიოთეკის უცხოური ლიტერატურის
განყოფილების უფროსი ქეთევან ხოსრუაშვილი

უილიამ ფოლკნერი - ხმაური და მძვინვარება

უილიამ ფოლკნერი - გამოჩენილი ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. რომანი „ხმაური და მძვინვარება“ მის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებად



ითვლება. ფოლკნერი ამ რომანშიც სამხრეთის თემას ეხება. სამოქალაქო ომს და მის შედეგებს. მწერალს ნოსტალგია აქვს ამ, რაღაც სასწაული სამყაროსადმი, და, ეს არის ამერიკული სამხრეთი მისთვის. მისი რომანები სავსეა დიდებული საგვარეულო სასახლეებით, წინაპართა აჩრდილებით, სადაც ვაჟიშვილები ხელმოცარულნი და არშემდგარნი არიან, ქალიშვილები, უსათუოდ, შემარცხვენლები. აქ, არ არის ვიქტორიანული დროის არისტოკრატია. აქ, გამდიდრებული სამხრეთელების სამი თაობაა, დაახლოებით სატპენის მსგავსი, ახალი, მაგრამ

ტრადიციული არისტოკრატია, თავისი მკაცრი სამხრეთული კოდექსით.

ამ რომანის სათაური მწერალს შეესპირის ერთ-ერთი პიესიდან აუღია: „...ცხოვრება იდიოტის მოთხრობილი ამბავია - ხმაურით და მძვინვარებით, ოღონდ შინაარსის გარეშე...“

ფოლკნერის რომანის მთავარი მთხრობელი იდიოტი ბენჯამენ კომპსონია. ამ რომანში ერთი ოჯახის ისტორიაა წარმოდგენილი. ჯეისონ კომპსონ უფროსი, ალკოგოლიკი, მაგრამ ყველასგან გამორჩეული და მოაზროვნე, კარალაინ ბესკომ-კომპსონისა-მეუღლე მისი. მუდმივად მოწუწუნე ქალი, რომელიც თითქმის არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს ოჯახის ცხოვრებაში. ბავშვებზე და ოჯახზე ზრუნვა ზანგ მოსამსახურეებსა აქვთ მინდობილი.

„ამ წიგნის წერისას მე კითხვა ვისწავლე...“ - ამბობს მწერალი. „ხმაური და მძვინვარება“, სწორედ ის წიგნია, რომლის გამოც მწერალი თავის მკითხველს, რომელმაც ორგზის თუ სამგზის წაიკითხა ეს რომანი და ვერ გაიგო-მეოთხედაც უნდა წაიკითხო-ურჩევს.

ამ რომანში გმირების თხრობა ერთი დღით შემოიფარგლება თითქოს. რომანში დრო შედედებულია, გაჩერებული. აქ ამბავი გვამცნობს დროს. „ხმაური და მძვინვარება“ „სახარებასავით ოთხ თავად არის დაყოფილი. თავებსაც ასე ჰქვია „1928 წლის 7 აპრილი“, „1910 წლის 2 ივლისი,“- 1928 წლის 6 აპრილი“, და ბოლოს ავტორისეული თხრობა „1928 წლის 8 აპრილითაა“ დასათაურებული.

რომანი ბენჯის თხრობით იწყება. მოქმედი გმირების ცხოვრებასა და მათ ხასიათებს- იდიოტი ბენჯის ნაწყვეტ-ნაწყვეტი მონათხრობებით ვგებულობთ. ბენჯის უყვარს დაიკო კედი, კედისაც უყვარს ძმა და იგი ერთადერთია, ვინც მასზე ზრუნავს. ბენჯისათვის არ არსებობს წარსულის განცდა, არც მომავლის, იგი პირობით აწმყოში ცხოვრობს. „ბენჯი ყველაფერს გრძნობს“-ამბობს დილზი. კედი იზრდება და იცვლება, რაც აფორიაქებს ბენჯის, კედის აღარა აქვს ფოთლების სუნი, რაც ასე ამშვიდებს ბენჯის. არც ჰამაკში, ვიღაც ბიჭთან წამოწოლილი კედი მოსწონს და ვეღარ მშვიდდება. თითქოს რაღაც, ძალიან ცუდს უგრძნობს გული და ეს ცუდი დღეც მოვა. კედი ორსულადაა და სულ სხვა ბიჭზე აპირებს გათხოვებას. ქორწილი არ შედგება, სასიძო გარბის. კედი მოიკვეტა ოჯახმა, იგი მიდის. კედის გოგონას- ოჯახი ზრდის. კედის კიდევ ორი ძმა ჰყავს. კვენტინი, ყველაზე გამჭირვალე პერსონაჟია ამ რომანისა. მისთვის ტრადიცია და ღირსების დაცვა უმთავრესია. იგი თხოვს დას არ წაყვეს იმ კაცს, შედეგსაც გრძნობს, მაგრამ კედი შეუვალია, სხვა გზასაც ვერ ხედავს. ოჯახის ღირსება შელახულია, შეილახა კვენტინის ღირსებაც. ეს, ის კვენტინ კომპსონია „აბესალომ, აბესალომში“ როუზა კოლფილდის სიმულვილის გრძელ ისტორიებს რომ ისმენს და მერე თავის მეგობარ შრივთან ერთად-სატპენის ოჯახის ტრაგედიის მიზეზების გარკვევასც კი ცდილობს. კვენტინმა მაშინ არ იცის, რა ტრაგედია დატრიალდება მის ოჯახში. კვენტინი ძალიან ნათელი ადამიანია. მისი აწ შელახული გრძნობები ანადგურებს მას, ჯერ სულიერად, მერე ფიზიკურად. ფოლკნერი ამბობს: „ადამიანი-ჯამი თავისი წარსულისა ...“იგი კი, კვენტინი მტკივნეულად განიცდის კედის ამბავს, ვერ ტოვებს წარსულში. იმ საბედისწერო დილას, სანამ თავის გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანდა, მამის სიტყვები გაახსენდება: „...ესა ჰგავს ზღვაზე დაფენილ გრძელსა და ერთადერთ სინათლის სხივს, რაც ქრისტეს სავალს მოგაგონებს, ანდა, შესაძლოა, ამან კეთილი წმინდა ფრანცისკი გაგახსენოს, ვინაც სიკვდილის პატარა დას ეძახოდა ხოლმე, თუმცა სინამდვილეში მას არ ჰყავდა დაი.“ კვენტინს კი ჰყავდა დაი,

რომელიც მის ბედისწერადაც იქცა. კვენტინი შეიყვარა მკითხველმა და იმ ხიდს, საიდანაც მდინარეს მისცა თავი, ახლაც კვენტინ კომპსონის ხიდი ჰქვიაო...

კედის კიდევ ერთი ძმა ჰყავდა...ჯეისონი მორალური ხეივანია, ყოვლად უღირსი, გულქვა, მოთამაშე და წვრილმანი ადამიანი. მისთვის მთავარია ფული, რომელიც არა აქვს და არც ექნება, რადგან უნიათოა და თაღლითი. იგი საკუთარი დისშვილის ფულებს იპარავს. არც ის აინტერესებს რა გზით შოულობს მისი და ამ ფულს. ხვდება კი, მაგრამ მისთვის სულერთია. დემორალიზებული ადამიანია. ფოლკნერისთვის უკითხავთ: რომელია თქვენი ყველაზე ცუდი პერსონაჟი?-ჯეისონ კომპსონიო-უპასუხია მწერალს.

კვენტინი თავს იკლავს, კედი მოიკვეთეს, კვენტინა გარბის, გაურბის ჯეისონისგან მოწამლულ ატმოსფეროს, ბენჯი დაასაჭურისეს, თითქოს თავისი უბედურება არ ყოფნიდა. კომპსონთა ოჯახს არა აქვს მომავალი. მათი მომავალი არის ჯეისონი. ასეთი მომავალი გინდ ყოფილა და გინდ არა.

„ჩემი შვიდი რომანიდან ეს ერთადერთია, რომლის დაწერის ხანს თავისთვის ძალა არ დამიტანებია, არც დაძაბულობა განმიცდია და, შემდეგ, არც დაქანცულობა...ასე ვუთხარი თავს: ახლა კი შეიძლება წერა. ახლა კი შეიძლება შევექმნა ლარნაკი, რომლის მსგავსი მოხუცმა რომაელმა სასთუმალთან დაიდგა და თანდათანობით გასცვითა კოცნა-კოცნით. და მე ვისაც არასდროს ჰყოლია დაი, და ვისაც ბედად ეწერა მისი სიცოცხლის პირველსავე წელს დაეკარგა ასული, შევუდექი მშვენიერი და ტრაგიკული გოგონას მერწვას.“ (ფოლკნერი უილიამ.)

იკითხეთ ფოლკნერი- ურთულესი იქნებ, მაგრამ ძალიან საინტერესო.

მოამზადა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მთავარმა ბიბლიოთეკარმა ელენორა ძიგუამ

ოტია იოსელიანი - დაჩის ზღაპრები

❧ ოტია იოსელიანის „დაჩის ზღაპრები“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საბავშვო ნაწარმოებია, რომელიც მწერალმა საკუთარ ვაჟს დაჩის მიუძღვნა. წიგნი გამოიცა 1973 წელს და ერთ კვირაში 50 000 ეგზემპლარი გაიყიდა. ითარგმნა 30 ენაზე და დღესაც ისეთივე პოპულარობით სარგებლობს, როგორც ნახევარი საუკუნის წინათ.

❧ დაჩის ზღაპრები „საქვეყნოდ ცნობილი მონადირის“ დაჩის საგმირო საქმეებს



მოგვითხრობს. მაგრამ ეს მარტო ზღაპარი არაა, ესაა ნაწარმოები დედა-შვილის, და-ძმის, ბებია-ბაბუის, ბიძაშვილების, მეზობლის გოგოს და ბიჭის მეგობრობის და ერთგულების შესახებ. ესაა ბავშვისათვის გასაგებ ენაზე და წერილი დედამიწის, ზღვის, ვარსკვლავების, მთვარის და მზის არსებობის, შექმნის, სილამაზის, საჭიროების და

მარადიულობის ზღაპარი.

❧ პატარა მეგობრებო, უმრავლესობას წაკითხული არ გექნებათ ეს ნაწარმოები, მოკლეთ გაგაცნობთ ზღაპრის შინაარსს რათა შემდეგ იმსჯელოთ და გაანალიზოთ რაში შეიძლება გამოიხატოს დაჩის პერსონაჟის თანამედროვე იმიჯი.

❧ 1 - თავში მოთხრობილია დაჩის დაბადების შესახებ, რომ დაჩის ყავს მასზე ცოტათი უფროსი და-ძმა. მანო და ბაჩო. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ როდესაც დედა სამსახურში მიდიოდა პატარა დაჩის მოსავლელად უფროს და-ძმას უტოვებდა. მანომ თავიდანვე შენიშნა, რომ დაჩის განსაკუთრებულად ზღაპრების მოსმენა უყვარდა, უამისაოდ არც კი იძინებდა. ჰოდა დაიწყო... დაიწყო დაჩის ზღაპრები, მოსიყვარულე და - ძმისათვის, დაჩი გმირად გადაიქცა და ასე დაიბადა პირველი ზღაპარიც...

❧ ზღაპარი დედაზე - დედაშვილობაზეა, იმ მარადიული კითხვის პასუხია თუ რომელი მეტად საყვარელია, დედა თუ შვილი?, აქ დაჩი ეუბნება დედას რომ შენ ყველაზე კარგი ხარო, მაგრამ დედა წინააღმდეგია - არა შენ უფრო საყვარელი ხარო, დაჩი ცოტა არ იყოს გაბრაზდება და ატირდება კიდეც. მაშინ დედა ეტყვის წადი და მეზობლის ქალს

კითხეო, დაჩი მოივლის თეთრკაბიან, წითელკაბიან, შავკაბიან მეზობლის ქალებს და ყველა იმას ეუბნება შვილები უფრო საყვარელი არიანო, მერე ცხოველებსა და ფრინველებს ჩამოუვლის აქაც იმავე შედეგს მიიღებს, რომ შვილი უპირველესია არამარტო ადამიანისათვის, არამედ დედამიწის ყველა სულდგმულისათვის. შემდეგ დაჩი შეგხვდება მათ შვილებს, აი ისინი კი მის აზრს იზიარებენ ყველა შვილს ჰგონია, რომ დედაა მთავარი, რომ დედა ყველაზე კეთილი და ყველაზე ლამაზია....

❧ 2. ზღაპარი მამაზე - აქ საუბარია მამის თვისებებზე, მის საგმირო საქმეებზე, როცა გაიზრდება ისეთივე ვაჟკაცი და მამაცი იქნება და მას დაემსგავსება.

❧ 3. ზღაპარი ბებია და ბაბუაზე - ზღაპარი ბებია-ბაბუას უზომო სიყვარულზე და თავდადებაზეა, როდესაც დაჩი ჭაობში ჩავარდება ბებია და ბაბუა დაუფიქრებლად გადაცვივდებიან ჭაობში თავის გულ-მკერდზე გადაატარებენ დაჩის და ხმელეთზე აიყვანებენ. დაჩი თვითონაც არ მიატოვებს გასაჭირში, არ დანებდება, გათხრის თხრილს და თვითონაც გადაარჩენს მათ. აქ ავტორი ამბობს რომ ბებია და ბაბუასათვის შვილი გულია, შვილიშვილი კი გულის გული, რომ თავს გაწირავენ და დარწმუნებულიც არიან იმაში, რომ როცა შვილიშვილი გყავს უფსკულის პირას რომ იყო გადარჩები.

❧ 4. ზღაპარი ძმაზე - ძმა ყველაფერია! იმედია, მხარდაჭერაა, ზოგჯერ დიდგულა, მაგრამ საიმედო დამცველია, გაგიბრაზდება მაგრამ არასოდეს მიგატოვებს! მოკლედ ძმა მაინც ძმაა!

❧ 5. ზღაპარი დაზე - დედასავით თავდადებულ, მზრუნველ და მოსიყვარულე ადამიანზეა.

არანაკლებ საინტერესოა ზღაპარი ბიძაშვილზე - რომ ბიძაშვილებიც და-ძმებია.

❧ და ასე დაუსრულებლად, მეგობრებო, ერთმანეთის შენაცვლებით იგონებენ და ჰყვებიან დაჩის ზღაპრებსმანო და ბაჩო, ზღაპრები მეზობლის გოგოზე, მეზობლის ბიჭზე, დედამიწაზე, ზღვაზე, ვარსკვლავებზე და მთვარეზე, რომელშიც სიყვარულიცაა, სიბრძნეცაა, შეგონებაცაა... რომ ეს ზღაპრები ყველა თქვენთაგანის ცხოვრებაცაა, რომ როგორც დაჩის ასევე თქვენაც გყავთ მშობლები, და-ძმები, რომ დაჩის მიწაზე დგახართ, დაჩის ზეცა გახურავთ და ყოველ ღამე დაჩის ვარსკვლავებით მორთულ ცას უყურებთ მეოცნებე თვალებით. ჩემო საყვარელო ბავშვებო, ვფიქრობ სწორედ ესაა სულმნათი მწერლის ოტია იოსელიანის გზავნილი წარსულიდან- გიყვარდეთ ერთმანეთი გიყვარდეთ ცა და მიწა, გიყვარდეთ მოყვასი...

დავასრულებ ზღაპრის დასარულით:

„გარეთ კი ზეცა იყო ვარსკვლავებით მოჭედნილ-მოვარაყებული, თითქოს დაჩის მართლა უშველებელი კოდი ოქრო ჰქონდეს და ორივე მუჭით ებნოს და ეთესოს, მერე თვითონ რომ ვერ ამოელიოს, და-ძმანი--მანო და ბაჩო მიეშველებოდნენ, მერე ბიძაშვილები - ვაჩე და რატი, ბოლოს მეზობლის ბიჭი გოჩა და მეზობლის გოგო ცაცო. და მთელი ამოდენა ზეცის თავანი სულ ბაჯადლო ოქროთი მიეთეს მოეკირწყლათ.

ძილი ნებისა, დაჩი!

მზიანი დილა, დაჩი!”

პატარა მკითხველებო, შევეცადეთ გაგვეცნო თქვენთვის ოტია იოსელიანის შემოქმედებიდან, არაჩვეულებრივი „დაჩის ზღაპრები“, როგორც შეგვეძლო მოკლედ გაგაცანით ზღაპრის უსასრულო შინაარსი.

მოამზადა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მთავარმა ბიბლიოთეკარმა ლელა სურმანიძემ

დღეს, 16 ივნისს, ქართველი მწერლის ოტია იოსელიანის დაბადების დღეა. ჩვენი ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში ყველა თაობის საყვარელი მწერლის თითქმის ყველა გამოცემა ინახება.

👉 წიგნები ნებისმიერი ასაკის მკითხველისთვის ხელმისაწვდომია

ქმსოფლიო პანდემიის გამო, ჩვენს ქვეყანაში დაწესებული რიგი შეზღუდვები ეტაპობრივად უქმნდება, თუმცა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით, ბიბლიოთეკიდან წიგნის გაცემის რეკომენდაცია არ გვაქვს, ამიტომ გადახედეთ საკუთარი წიგნის თაროებს და იკითხეთ ოტია იოსელიანის წიგნები.



ამ საუკუნის ფოლიანტები

მეტს და უმშვენიერესს, რაც მეა ივანისელმა თქვა, მე ვერ გეტყვით. ვერც ბატონ გიორგი აღნიაშვილს დავეტოლები. დიდებული შეფასება მისცეს „ამ საუკუნის ფოლიანტებს.“



რედაქტორი, წიგნში განსხეულებული სიტბოსა და სიყვარულის დიდი მანქანო - ინგა გოგიბერიძე იყო და არის. რამდენი უკვე ნაცნობი და ახალი სახელებია. იგი მარცვალ-მარცვალ კრებს ახალ, ულამაზეს პოეტურ მარგალიტებს - ჩვენთვის. ამ კრებულში წარმოდგენილმა ლექსებმა კი, თავისი ქნეს და მეც ჩემი დამემართა, სასიამოვნოდ დავიტვირთე და ბოლომდე ჩავყევი. უჩვეულო შერწყმება იყო. მეც იქ ვიყავი, მეც ვეფერებოდი და ჩემს სათქმელს ვკითხულობდი, ულამაზეს და თბილ გარემოში. აქ, ლექსიც იყო, თბილი გახსენებაც, რაღაც ძალიან მეცნო და რაღაც ლამაზი და დავიწყებულიც მომაგონა. ვიღაცამ ჩემი სათქმელი ამოთქვა და მაფიქრებინა ჩემიც. საოცარი განწყობა იყო, ვერ მოვცილდი. უცხო სტუმრადაც არ მიგრძენია თავი. ძალიან თბილი მიღება

ჰქონდათ, ამ მართლა უსაყვარლეს პოეტებს. მართლა საოცარი დღე გამომივიდა, გამდლობთ ამისთვის.

ამ კრებულის მასპინძელი ინგა იყო. მართლა საოცარი მასპინძლობა იცის და მართლა დიდ საქმეს არის შეჰიდებული. კარგი ადამიანია, საოცრად პოეტური, უსათუთესი მინიატურების ავტორი. სიტბოდ და მოფერებად მოდის ყველგან და ყველასთან. მისი ზაიდა ნაფისას ისტორია - არაჩვეულებრივი იყო. სამწუხაროდ, არ ვიცოდი, ახლა ვიცი და, კიდევ ერთი დიდებული ქართველი ქალის ისტორია მოვიდა და დაივანა..

ინგა გოგიბერიძე-საოცარი, მართლა საოცარი ადამიანი. საოცრად პოეტურიც. ეს არის და, ასე უნდა დაინახო იგი. მთელი არსებით იქ არის, სადაც ლექსია და სილამაზე, სხვაგვარად ვერ იცხოვრებს. ასეთი უნდა გიყვარდეს იგი და შენთანაც მოვა...

აი, ასეთ განწყობაზე დამაყენა ამ კრებულმა განდეგილობის ჟამს. მიყვარხართ!

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მთავარი ბიბლიოთეკარი ელიკო ძიგუა

#გარემოსდაცვისმსოფლიოდღე

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება წარმოგიდგენთ წიგნებს, სადაც გარემოს დაცვასა და ჩვენი პლანეტის ბიომრავალფეროვნებზე უამრავ საინტერესო ცნობებს ამოიკითხვით.

ამ ეტაპზე, პანდემიის პირობებში, აღნიშნული წიგნები საკუთარი წიგნის თაროებზე ან ინტერნეტსივრცეში უნდა მოიძიოთ. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ #კორონასაბოლოოდწავა და მალე გიმასპინძლებთ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში, ჯავახიშვილის #72 -ში.




XX საუკუნის გენიალური მწერალი ფრანც კაფკა, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო ლიტერატურაზე, დაიბადა 1883 წლის 3 ივნისს პრაღაში, ებრაელი ვაჭრის ოჯახში. გიმნაზიის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო პრაღის უნივერსიტეტში და ლიტერატურითაც სტუდენტობისას დაინტერესდა. აქვე დაუახლოვდა კაფკა მაქს ბროდს, რომელმაც შემდგომ მისი ნაწარმოებების ბედი შეცვალა.

მწერალს არცერთი რომანი არ დაუსრულებია და საკუთარი ნაშრომების უმეტესობა დაწვა. სიცოცხლეში მისი ტალანტი არავის უღიარებია. რამდენჯერმე გამოაქვეყნა მოთხრობები (მათ შორის, რომან „ამერიკის“ პირველი თავი), თუმცა წარუმატებლად.

მწერალი 1924 წელს ტუბერკულოზმა შეიწირა. მაქს ბროდმა არ შეუსრულა მეგობარს უკანასკნელი სურვილი, გაენადგურებინა მისი თხზულებები და გამოაქვეყნა ისინი. ასე გაიცნო მსოფლიომ ერთ-ერთი უდიდესი გერმანულენოვანი მწერალი – ფრანც კაფკა. გთავაზობთ ფრანც კაფკას წიგნების მცირე მიმოხილვას:

„პროცესის“, „კოშკისა“ და სხვა უდიდესი ნაწარმოებების ავტორის ნოვატორული სტილი პირველად გამოიკვეთა მის დაუმთავრებელ რომანში „ამერიკა“, რომელშიც აღწერილია 16 წლის ემიგრანტის, კარლ როსმანის მოგზაურობა და ცხოვრება მრავალთა საოცნებო ქვეყანაში. მშრალი, თითქოსდა დოკუმენტური თხრობის მიუხედავად, რომანში გენიალურადაა გადმოცემული პერსონაჟის ცნობიერების სიღრმეები. თავად მწერალი არსად ჩანს, კომენტარებისგან თავს იკავებს, უბრალოდ, დაწვრილებით აღწერს სიტუაციას და დასკვნების გამოტანას მკითხველს მიახლოებს. სწორედ ეს, კაფკასთვის დამახასიათებელი მშრალი და, ამავე დროს, დამაბული თხრობა წარუშლელ



შთაბეჭდილებას ტოვებს. აღსანიშნავია, რომ მწერალი ამერიკულ შთაბეჭდილებებს ისე აღწერს, რომ მას ამ ქვეყნის მიწაზე ფეხიც არ დაუდგამს.

კაფკა ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ოდესმე მის პირად წერილებს ვინმე წაიკითხავდა. მან თავის მეგობარს და ანდერძის აღმსრულებელს მაქს ბროდს სთხოვა, გარდა უკვე გამოქვეყნებული რომანებისა, ყველაფერი გაენადგურებინა. მაქს ბროდმა ანდერძი დაარღვია და მისი სიკვდილიდან 25 წლის შემდეგ გამოაქვეყნა კაფკას ყველა დარჩენილი ნაშრომი, მათ შორის, ეს წიგნიც, რომელიც ქართულად პირველად ითარგმნა. წიგნში, პირადი წერილების გარდა, შესულია ავტორის ორი მოთხრობა: „ბავშვები შარაზე“ და „სოფლის ექიმი“.

■ 2013 წელი დიდი გერმანულენოვანი მწერლის, ფრანც კაფკას საიუბილეო წელია - 3 ივლისს მას დაბადებიდან 130 წელი შეუსრულდა. ეს თარიღი გამომცემლობა „პეგასმა“ ფრანც კაფკას რჩეული მოთხრობების კრებულის გამოცემით აღნიშნა. კრებული ასახავს საქართველოში კაფკას თარგმნის 50-წლიან პერიოდს, დაწყებული მისი პირველი მთარგმნელებით ზურაბ და ნოდარ კაკაბაძეებიდან, დამთავრებული თანამედროვე ახალგაზრდა მთარგმნელებით. სპეციალურად ამ კრებულისთვის კაფკას 20-ზე მეტი უცნობი მოთხრობა ითარგმნა. ეს წიგნი გახლავთ საუკეთესო საჩუქარი ქართველი მკითხველისთვის.

■ მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი წიგნის „Das Schloss“-ის შემოქმედს, ფრანც კაფკას ზოგი კრიტიკოსი ასე იხსენიებს: „გერმანელი მწერალი, ავსტრიელი მოხელე, ებრაელი ტანჯული, ჩეხეთის მოქალაქე“ ... გენიოსები, საერთოდ, არ ეკუთვნიან ერთ რომელიმე ერს, ისინი ერთა ზედა დგანან, ან უკლებლივ ყველა ერთან არიან წილნაყარნი. და ამ იდეალებით მოცული წილნაყარობის იშვიათი მაგალითია კაფკას დაბადებამდე მრავალი საუკუნით ადრე შექმნილი ქართული ხალხური ლექსი, რომელიც ზედმიწევნით ესადაგება კარვერშეღებული „გოდოლის“ ქარგას: „რა ვქნისა“ ციხე ავაგე, ჯავრი შევაბი კარადა, საიქიოდან მოვიდნენ ამ ციხის სანახავადა... ბევრი უარეს ციხესა, კარ ვერ გატეხეს ძალადა, მემრე თქვეს: დრო რო მოალის, კარ გაიღება თავადა!“ არსებითად, „Das Schloss“, თავისი ოდინდელი მნიშვნელობით, ქართულად ციხეს ესატყვისება. მაგრამ, ვინაიდან ეს ცნება დღესდღეობით საპყრობილესთან არის გაიგივებული, ხოლო ციხე-დარბაზსა და კოშკს რამდენადმე განსხვავებული დატვირთვა აქვთ, ჩვენ „Das Schloss“-ის ქართულ შესატყვისად „გოდოლი“ ვამჯობინეთ.

ფრანც კაფკას კრებული „შიმშილის ხელოვანი“ აერთიანებს მოთხრობების ციკლს, რომელშიც შესულია ოთხი მოთხრობა: „პირველი მწუხარება“, „პატარა ქალი“, „შიმშილის ხელოვანი“ და „მომღერალი იოზეფინე ანუ თავგების მოდგმა“.

❖ ფრანც კაფკას საყოველთაოდ აღიარებული მცირე შედეგრი. მოთხრობის მთავარი გმირი, გრეგორ ზამზა ერთ დილასაც გაიღვიძებს და აღმოაჩენს, რომ უზარმაზარ, ამაზრზენ მწერად ქცეულა. თავისთავად, ასეთი ხვედრი შესაშური არაა, მაგრამ ზამზასთვის უფრო მტანჯველი აღმოჩნდება დანაშაულის გრძნობა, რომ ასეთი მეტამორფოზის შემდეგ ოჯახის რჩენა აღარ შეუძლია.

❖ ფრანც კაფკას თხრობის მანერა მის ყველა ნაწარმოებში სიმბოლურ-ალეგორიულია. პირობითი და აბსტრაქტულია „პროცესის“ მოქმედების ფონიც. რომანის მთავარი გმირი, ბანკის მოხელე იოზეფ კ. სრულიად უმწეო აღმოჩნდება გაურკვეველი და ულმობელი სამსჯავროსწინაშე. კაფკას უმთავრესი მწერლური ღირსებაა - გააღვიძოს ადამიანში პასუხისმგებლობის გრძნობა: „ნუ დავიმშვიდებთ თავს, რომ დამნაშავენი სხვები არიან, ხოლო ჩვენ უნაკლონი ვართ; ვიყოთ ადამიანები, ვცადოთ ადამიანებად ყოფნა“ - ასეთია მისი მრწამსი...

ამელი ნოტომი

ჩვენო ძვირფასო მკითხველებო, რადგან ბიბლიოთეკის კარი დროებით თქვენთვის დაკეტილია, ამ დროის მანძილზე ყველა ბიბლიოთეკარი იზრუნებს იმაზე, რომ დისტანციურად მოგაწოდოთ ახალი ინფორმაციები, რჩევები ამა თუ იმ წიგნზე, მოისმენთ დისტანციური კითხვის ვიდეო ჩანაწერებს, წაიკითხავთ ჩვენს გვერდზე მწერლების, პოეტების და საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფიულ ცნობებს, წაიკითხავთ საინტერესო ცნობებს სხვადასხვა ქვეყნების ბიბლიოთეკების ისტორიიდან.



წარმოგიდგენთ თანამედროვე ფრანგულენოვან ბელგიელ მწერალს ამელი ნოტომს (ეტერბეკი).

იაპონიაში დაბადებული ბელგიელი გოგონას, ამელი ნოტომის შემთხვევაში, ყველაფერი უნიკალურია... რომ არ ვიცოდეთ ამელის წარმომავლობა, ალბათ, ვერასდროს ვიფიქრებდით, რომ საფრანგეთში არ დაბადებულა და მთელი ბავშვობა შატოში არ აქვს გატარებული. საოცარი მთხრობელია ამელი, განსხვავებულად გვიყვება ამბებს, დიდ ნაჭრებად და ამავდროულად უმცირეს დეტალამდე.

პირველი წიგნი, სადაც ამელი ნოტომის თხრობის უნიკალური ხმა გავიგე, იყო „კრძალვით და ცახცახით“. „... 1990 წლის 8 იანვარს ლიფტმა „იუმიმოტოს“ უზარმაზარი შენობის ბოლო სართულზე გადმოშვებულა“, - ასე იწყებს ამელი თავის რომანს, რომლისთვისაც 1999 წელს საფრანგეთის აკადემიის დიდი ჯილდო დაიმსახურა. მართლა თრთოლვით წავიკითხე წლების წინ. ბიბლიოთეკის საცავში ამელის სხვა წიგნი მოვიძიე „არც ევა, არც ადამი“, რომელშიც აღმოვაჩინე, რომ ამელის ცხოვრება „იუმიმოტოს“ კედლებში არ მთავრდებოდა! ამ რომანში ნოტომი ყოველდღიურობის ღამეულ ნაწილზე მოგვითხრობს - იმ ადამიანებზე, რომლებიც მეტროს თერთმეტი გაჩერების იქით ელოდნენ, მკითხველს მთელ იაპონიაში უწევს მეგზურობას - პატარა ქალაქებში, თვალუწვდენელ მწვერვალებზე, დათოვლილ კუნძულებზე, ნიპონურ საიდუმლოებებს აზიარებს...

ამელის წიგნები ყველაზე მეტად ჰგავს ბოლო სეანსს კინოთეატრში, რომელიც გვიან ღამით მთავრდება. დარბაზიდან გამოდიხარ აღფრთოვანებული ფილმით, გინდა რომ უცხო ადამიანებსაც კი გაუზიარო, საათობით ესაუბრო შენს ახალ ემოციებზე. მერწმუნეთ,

ძალიან დასანანი იქნება, თუ ვინმე გაგანდობს ნოტომის წიგნების ჯადოსნურობას. ეს ნიშნავს იმას, რომ ნამდვილად დაკარგავ სიამოვნების დიდ ნაწილს, რადგან ეს ისტორიები ყოველ ჯერზე მკითხველთან ერთად თავიდან იბადება.

კორონას მალე გავისტუმრებთ და მერე, ვისაც ამელი ნოტომის ტოკიოური თავგადასავალი გაინტერესებთ, პანდემიის დამთავრების და ბიბლიოთეკის გახსნის შემდეგ, მოაკითხეთ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდში დაცულ წიგნებს.

პატივისცემით ნატალია ჭყონია

ზეინაზ მეტრეველი-საყდრის ჩიტები

„ეს რომანი ქართველი კაცის ღვთის წინაშე მავედრებელ ლოცვას მაგონებს.

დაკარგული მამული, გაციებული კერა, გაპარტახებული სოფელი, მტრის ცინიზმი, ქართულ ფესვებს მოწყვეტილი ახალი ქართველები და ყოველივე ამის ფონზე, ქართული ჯიშის გადარჩენაზე თავგადაკლული გმირი.

მლოცველი თვითონ ავტორია, რომანი კი ღმერთის იმედით სავსე და განმწმენდელი.“

გოდერძი ჩოხელი

„ეს რომანი 2000 წელს დაიწერა იმ იმედით, რომ ერთიან და ძლიერ საქართველოში წაიკითხავდნენ და ჩასწვდებოდნენ იმ დარდსა და ვარამს, რომლითაც სავსეა თითოეული ჩვენთაგანის სული, დაქუცმაცებული და დაგლეჯილი, ერთ მუჭად შემორჩენილი

სამშობლოს მკვიდრთა სული...ეს რომანი ეძღვნება საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ ბიჭებს, რომლებმაც ბრძოლა არ იცოდნენ, მაგრამ საუკეთესოდ იცოდნენ თუ რისთვის მომობდნენ...

ზეინაზ მეტრეველი

მიყვები წიგნის გმირების ცხოვრებას და უსაშველოდ მძიმე რეალობაში ხვდები. წიგნში აღწერილი ამბავიც რეალობაა...ეს იყო. უბრალოდ, შორიდან ასე მძაფრად არ აღიქმებოდა. ხო, ყველა ადამიანი თავის ჯვარს დაატარებს, მძიმეა ეს ჯვარი, მაგრამ ასატანიც თითქოს...წიგნით დანახული რეალობა კი შიშის მომგვრელი, მძიმე და სევდიანიც. სულ რაღაც საშინელების მოლოდინში ხარ, დამაბული. უბრალო წამკითხველი ვერ იქნები. შენც იქ ხარ. შენს წინ დაქუცმაცებული შენი სამშობლოს ერთი ტკივილიანი ნაწილია-დარბეული, მიტოვებული. იქ, სადაც ერთ დროს სიცოცხლე ჩქეფდა და ახლა იავარქმნილი მოგონებაა მათი ოდესღაც არსებობისა.

ყოფილი ფიზიკოსი, ყოფილი პროფესორი, ყოფილი მეუღლე, ყოფილი მამა დიდი ქალაქიდან, საკუთარი ოჯახიდან გასასტიკებით დევნილი კაცი- თავის ფესვებთან დაბრუნებას ცდილობს. უკვე უოჯახო, თუმცა სად ჰქონდა ოჯახი, მაგრამ ოდესღაც ასე

ეგონა, რომ ჰქონდა და როცა აღმოაჩინა არავინ იყო იქ მისიანი, მოიწყვიტა გულიდან, მოიკვეთა, როგორც სარეველა რამ და სოფლისკენ გამოუწია ატკიებულმა სულმა. სასიხარულოს არც იქ ელოდა, მაგრამ მაინც ასე ერჩივნა. იქ მისი სახლი იყო, ან იქნებ ნასახლარი, ეზო-კარი ოკუპირებული, მაგრამ მაინც მშობლიური. იქ უნდა ეპოვა ატკიებულ სულსა და გულს შვება. მიდიოდა და ყურში ისევ ჩაესმოდა ახმახი ალანის დამცინავი როხროხი: “Это их земля, да Ваня? их! „ გულისმომკვლელი იყო ეს ხმა, მაგრამ მაინც წინ მიიწევდა...დაცლილი, პარტახად ქცეული სოფელი. დაიძახა, არავინ გამოეპასუხა, საშინელი დარტყმა იგრძნო მკერდში. გონს როცა მოვიდა-საყდრის ახლოს, ნაბადზე იწვა. ასე დაიწყო მისი ახალი ცხოვრება-ნახევრად დანგრეულ საყდარში, სასაფლაოზე. მისი გადამრჩენი, მასპინძელი-უცნაური კაცი, რომელიც უკვე გარდაცვლილთ და ხვალ რომ გარდაიცვლებოდა იმათთვის თხრიდა საფლავებს. ეს, თავისი ქვეყნის უბედობით გულატკიებელი, იმ სოფლის მკვიდრი იოსებაა, რომელსაც ყველაფერზე აქვს პასუხი. კითხვები კი, იცოცხლე ბევრი აქვს ქალაქიდან გამოქცეულ ყოფილ პროფესორს. სასაფლაოს დრო და დრო მთვრალი რუსი ოფიცერი ჩამოუვლის-ახალგაზრდა ალანთან ერთად. ასეთ დროს თავის სტუმარს საყდარში მალავს იოსება. თავს იგიჟიანებს და სასმელს არ აკლებს მომხდურს. სასაფლაოს არავინ ეცილება და რა იცის გალემილმა რუსმა, რომ იოსებასთვის ეს ადგილი, მარტო სასაფლაო არ არის. ამ კაცისთვის ეს სამშობლოს, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ასეთი ხერხით დაუბრუნებია.

მძიმე წასაკითხი იყო, თითქოს შენც იქ იყავი, დედაქალაქიდან „ სხვა ჭირს“გამოქცეული პროფესორივით და შენც ყოველ წამს საფრთხე გიდარაჯებდა. დიახ, ეს იყო ზაფრითა და ტკივილით სვლა, უკვე მართლა დაკარგულ საქართველოს გულში, სადაც გუმინდელი შენი მეზობელი, შენსმიერვე აგრერიგ გულთან მითბობილი ალანი, გამოლეშილ რუს ოფიცერს ამოფარებული დაწანწალებს შენს მიწაზე და შენ უნდა დაემალო, რადგან არ იცი, რა წამოუვლის-იარაღიან ლოთს. მისთვის სულერთია ვის ესვრის ქართველს თუ ოსს, როცა მოეგუნება მაშინ. ეს იცის იოსებამ, ალანმა არ იცის. ალანმა არც ის იცის, რომ ერთ დღეს, მის დასახიჩრებულ სხეულსაც- იოსება ქრთამით გამოსტყუებს რუს მკვლელს,მერე დიდი მწუხარებით დაიტირებს და დამარხავს. ეს მერე იქნება. მერე იქნება 2008 წლის ცხელი აგვისტო, სისხლის წვიმებით, მცოცავი ოკუპაცია, თავისი მიწიდან აყრილი ქართველები. იოსება ამას ვერ მოესწრება, გრძნობს კი.

კრახით დამთავრდა იოსებას ცდა - სიცოცხლეს ეზეიმა მიტოვებულ სოფელში. არც ის ვიცით, რა ბედი ეწია პატარა რატის და უამრავ სხვა რატის, მათ მშობლებს, მეზობლებს, რადგან ეს წიგნი 2000 წელს დაიწერა და მხოლოდ 2004 წელს იხილა მზის სინათლე. 2008 წლის იმ აგვისტომ, ქართველ-ალანთა შერიგებას და ჩვენი ტერიტორიების მშვიდობიანად დაბრუნების მცდელობას, კიდევ ერთხელ და ვინ იცის, იქნებ, არა სამუდამოდ, მაგრამ მაინც დაუსვა წერტილი.

მადლობას ვუხდით მწერალს ამ წიგნისთვის. მეგონა ყველაფერი ვიცოდი. ვიცოდი, რა უძლოდა წინ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს. აღმოვაჩინე რომ არ მცოდნია, არაფერი არ მცოდნია და ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, შენც აღმოაჩენ ალბათ, რომ არ იცი, არაფერი არ იცი, უნდა იცოდე კი...

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მთავარი ბიბლიოთეკარი ელენორა ძიგუა

ულიამ ფოლკნერის- აბესალომ, აბესალომ!

უილიამ ფოლკნერი დაიბადა 1897 წლის 25 სექტემბერს. მის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთის ისტორიამ, კულტურამ და ცხოვრებამ. დაიბადა ნიუ ალბანიში, მისისიპის შტატში, თუმცა 4 წლის ასაკში ოჯახი ქალაქ ოქსფორდში გადავიდა საცხოვრებლად. სწორედ, ოქსფორდი წარმოადგენს ქალაქ "ჯეფერსონის", ლაფაიეტის ოლქი კი - იოკნაპატოფას ოლქის რეალურ მოდელს, სადაც ფოლკნერის რომანების მოთხრობების უმრავლესობაში აღწერილი ისტორიები ვითარდება.

უილიამ ფოლკნერის - აბესალომ, აბესალომ!

ამ რომანის სათაური ბიბლიიდანაა აღებული („წიგნი მეორე მეფეთა“), კონკრეტულად ის ბიბლიური ამბავი უნდა გავიხსენოთ, სადაც დავით მეფე თავის, თუმცა მის წინაშე დიდად დამნაშავე ვაჟიშვილს აბესალომს გლოვობს-„... და ცრემლოდა მეფე და აღხდა ქორსა მას ზედა მის ბიჭისასა, ტიროდა ფრიად და იტყოდა; - შვილო ჩემო აბესალომ, აბესალომ, შვილო ჩემო! ვინამცა მომაკვდინა მე სიკვდილსა შენისა წილ, შვილო ჩემო, აბესალომ, შვილო ჩემო აბესალომ!“

ამ რომანის მთავარ გმირსაც, ტომას სატპენსაც ელუპება ვაჟიშვილები: ერთი ძმა მეორეს კლავს, მეორე გადაიკარგება და, ცხადია, მკვლეელი ვაჟი ძეობას ვეღარ გაუწევს, თუნდაც ისეთ კაცს, როგორიც სატპენია. იმ ბიბლიური მეფე-მამისგან განსხვავებით სატპენი ცრემლებს არ ღვრის, არც გულმოკლული მოთქვამს.

ამ რომანის ძირითადი თემაა, აღწეროს ამბავი, რამაც შეიძლება ადამიანში ადამიანი დაღუპოს. ამ ნაწარმოებით ნათელი ხდება ის მოცემულობები, რომელშიც უხდებათ ამ ნაწარმოების გმირებს ცხოვრება. ფოლკნერის ამ რომანში ადამიანში ადამიანის დაღუპვის მიზეზი სწორედ ისაა, რაც მისი გმირების ბუნებასთან არის წილნაყარი და რაც შეიძლება მისი სისხლი და ხორცი იყოს. ზოგჯერ ასედაც ხდება- რაც ადამიანს ადამიანობას ანიჭებს- სწორედ ის წაჰგვრის კიდეც იმ მაღლს.



და

ჯერ კიდევ ბავშვი იყო ტომას სატპენი, როცა გაიგო, რომ იგი, ღარიბ-ღატაკი კაცის შვილი, შეიძლება არც კი შეუშვან რომელიმე მდიდარი პლანტატორის სახლში: „...ის ვეება მაიმუნი ზანგი... არ უშვებს, ჩამოსცქერის დაკერებულ ჯინსიან და ფეხშიშველა ბიჭს... დიახ, არ უშვებს, იმიტომ, რომ - „არის ადგილი, სადაც გულდაგულ დაუნაწილებიათ მიწა და ადამიანებს თავის საკუთრებად გაუხდიათ იგი. ისინი არც არაფერს აკეთებენ იქ, დაჯირითობენ მშვენიერი ცხენებით, მშვენივრად გამოწყობილები, სხედან თავიანთი დიდი სახლების აივნებზე და მათთვის სხვები მუშაობენ.“ იგი, პატარა ბიჭი მტკიცედ გადაწყვეტს: გააკეთოს ყველაფერი იმისთვის, რომ შური იძიოს ამ ადამიანებზე. იქ, იმ ქალაქში, სადაც იგი დაფუძნდება, არავინ იცის არაფერი მასზე. იგი დუმს და თავის მიზანს ჯიუტად ჩასჭიდებია. არავინ იცის საიდან და როგორ გამდიდრდა, აინტერესებთ კი. სატპენი ცივად დუმს და აგრძელებს მათ გაოცებას, თითქოს ის პატარა ფეხშიშველა ბიჭი ითხოვს ამას მისგან. ბიჭი, რომელიც მდიდრების კართან მისული სახლში არ შეუშვებს.

ელენ კოულდფილდი მისთვის მეორე ცოლია, პირველი ნიუ-ორლეანში დატოვა, მისგან ვაჟიშვილი ჰყავს. ელენი მდიდარი არ არის და სატპენს ეს არც აინტერესებს. მისთვის ხელსაყრელია, ისეთ ოჯახთან დამოყვრება, რომელიც რესპექტაბელობას შესძენს, მას ასე მიაჩნია.

ტომას სატპენი ძლიერი პიროვნებაა, ამას ყველა აღიარებს. იგი მამაცი მეომარიც არის, შეუპოვარი, დასახული მიზნისკენ მტკიცედ მსწრაფი, მაგრამ მაინც მარცხდება. ის რაც თავისი მიწიერი მიზნების განხორციელებაში ეხმარება, სრულ კრახს განაცდევინებს სულიერ დამოკიდებულებაში. სატპენი თავისი უგულობის მსხვერპლი ხდება. უომ ჯონსის ცელის ერთი გაწივლება და მორჩა, აღარ არის სატპენი. იმ საბედისწერო დღემდე უომ ჯონსისთვის იგი სუპერპიროვნება იყო. სატპენის ასეთი ტრანსფორმირება უომს ტრაგიკული მოქმედებისკენ უბიძგებს. სატპენის უგულობამ, ეგოცენტრიზმმა თავისი საქმე ქნა. ასე დაინგრა სატპენის ყველა ოცნება. ამ კაცს არ ესმოდა ადამიანურობა და იგი არ ეკუთვნოდა ადამიანთა ოჯახს. სატპენმა ვერც სატპენტა დინასტია შექმნა, ვერ იმეფა და ვერც უფლისწულთა შთამომავლობას მისცა დასაბამი. თავად მწერალი იტყვის: „სატპენი სულიან-ხორციანად გადაგვარებული პერსონაჟია, მაგრამ მისი შებრალება შეიძლებაო...“

ფოლკნერის წაკითხვა და აღქმა არც ისე ადვილია. ეს რომანი ძირითადად ოთხი გმირის თხრობაზეა აგებული, ამიტომ ძნელია ჭეშმარიტების მიკვლევა. უბრალოდ

ყურადღებით უნდა მოეკიდო და ჩასწვდე ფოლკნერის ნააზრევს, მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება ნათელი - ჭეშმარიტი სურათი ამ რომანში წარმოდგენილი ამბისა.

ერთხელ მწერლისთვის უკითხავთ: რას ურჩევდით იმათ ვინც თქვენი ნაწარმოები წაიკითხა და ვერ გაიგო? - მეორედ წაიკითხოსო... მეორედაც თუ ვერ გაიგო?-ვურჩევდი მესამედ წაიკითხვასო...დაახლოებით ასე უპასუხია მას. ცოტა გულისყურით წაიკითხვას გირჩევდით და მეორედ და მესამედ წაიკითხვა არ დაგჭირდებათ, ისედაც ნათელი გახდება ფოლკნერის მეტად რთული, მაგრამ ჭეშმარიტი სამყარო და ის მოცემულობაც, რომელშიც მის გმირებს უწევთ ცხოვრება. რეალურ ცხოვრებაშიც ასე ხდება ვიღაც იმარჯვებს, ვიღაც მარცხდება, მთავარია რა გზას ადგებარ და მიგიყვანს თუ არა ის გზა გამარჯვებასთან. მიუხედავად ყველაფრისა სატპენი თანაგრძნობას იწვევს, რადგან შენ უკვე იცი რა გზა გაიარა სანამ შენთან მოვიდოდა და ის გზა არ ყოფილა ვარდებით მოფენილი. მწერალმაც იცოდა ეს და მკითხველისგან ელოდა მიტევებას მისთვის.

მოამზადა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მთავარმა ბიბლიოთეკარმა ელენორა ძიგუამ

ვიქტორ ჰიუგო

დღეს, 22 მაისს, ფრანგი კლასიკოსი მწერლის ვიქტორ ჰიუგოს გარდაცვალები დღეა.



სამწერლო ასპარეზზე მისმა გამოჩენამ მსოფლიოს არაერთი ლიტერატურული შედეგრი დაუტოვა. ჩვენი ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში ვიქტორ ჰიუგოს თითქმის ყველა რომანის როგორც ახალი, ასევე ძველი გამოცემა ინახება.

წიგნები ნებისმიერი ასაკის მკითხველისთვის ხელმისაწვდომია.

წმსოფლიო პანდემიის გამო, ჩვენს ქვეყანაში დაწესებული რიგი შეზღუდვები დღეიდან უქმნდება, თუმცა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით, ბიბლიოთეკიდან წიგნის გაცემის რეკომენდაცია არ გვაქვს,

ამიტომ #დარჩისახლში გადახედეთ საკუთარი წიგნის თაროებს და იკითხეთ ჰიუგოს გენიალური რომანები.


#კორონამალეწავა

#მოგზაურობასაზღაპრეთში

#ლეღასურმანიძე

სირი ჰუსტვეტი-"ზაფხული კაცების გარეშე"❏

❏ სირი ჰუსტვეტი თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია – რომანისტი, პოეტი, ესეისტი, ლიტერატურისმცოდნე. სირი ჰუსტვეტს



აქვს ისტორიის ბაკალავრისა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. ამის გარდა, ის არის მუზა და მეუღლე ცნობილი ამერიკელი მწერლის, პოლოსტერისა. რომანი „ზაფხული კაცების გარეშე“ ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა. ნაწარმოები მია ფრედრიკსენის, პოეტი ქალის ერთგვარი მონოლოგია, განცდით, ძიებით, აღმოჩენებით, ტკივილით და წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრება.

❏ ამ ნაწარმოებში მოთხრობილია ისტორია, რომელიც დაიწერა 40 წელს გადაცილებულ ქალზე, რომელსაც ოჯახი ენგრევა და მიდის სიგიჟის ზღვარზე, ამიტომ გადაწყვიტავს ზაფხული გაატაროს მის მშობლიურ მხარეში, ის ჩადის დედასთან, რათა სიმშვიდე იპოვოს. იქ გაიცნობს ცხოვრება გავლილ ადამიანებს, ამასთანავე ბავშვებს, თინეიჯერებს, რომლებიც ახლა იწყებენ ცხოვრებას. ეს წიგნი საინტერესო საკითხავია, რადგან ცხოვრება გატანჯული ქალისაგან ვისმენტ, მისი ცხოვრების გავლილ ისტორიას, ამ ისტორიიდან კი ბევრი რაიმის სწავლა შეგიძლიათ.

❏ ვინაიდან, პანდემიის გამო ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას წიგნის გაცემა ჯერჯერობით შეზღუდული აქვს, გთავაზობთ აღნიშნული რომანი "საბაზე" წაიკითხით ➔ <https://saba.com.ge/.../%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%...>

❏ მოამზადა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების წამყვანმა ბიბლიოთეკარმა მზევინარ ჯიჯავამემ.

19.05.2020

ფრიდონ ხალვაში - 95



მეგობრებო, როგორც კი საგანგებო მდგომარეობა მოიხსნება, მოაკითხეთ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებას და #იკითხეთ ფრიდონ ხალვაშის წიგნები.

აქვე გეტყვით, რომ ფრიდონ ხალვაშის მდიდარი შემოქმედება ჩვენს წიგნად ფონდში ფართოდაა წარმოდგენილი და იგი ნებისმიერი ასაკის მკითხველისთვის ხელმისაწვდომია. ახლა კი #დარჩისახლში და #იკითხესახლში.

წიგნების გამოფენა მოამზადა - ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის

განყოფილების წამყვანმა ბიბლიოთეკარმა მზევინარ ჯიჯავაძემ Mzia Jijavadze

ფრიდონ ხალვაში - „ომრი“


დღეს ფრიდონ ხალვაშის დაბადების დღეა, შესაბამისად, რეკომენდაციას ვუწევთ მისი მოგონებების წიგნს - "ომრს".

„ომრი, ანუ ერთი კაცის მთელი ცხოვრება, ფაქტიურად, მთელი ქვეყნის ისტორიის ნაწილიცაა... როგორც ჩვენში იტყვიან, ამ დუნიის კაი-გონჯი უთქმელიც იმდენი დამრჩენია რამდენიმე წიგნს ეყოფა“-ეს პოეტის სიტყვებია მისი გულიდან წუხილითაა და დარდით ამიხეთქილი. წიგნი აღსარება, წიგნი გახსენება, წიგნი, რომელშიც პოეტისა და მის მრავალჭირნახული კუთხის სიყვარული და ცრემლნარევი მოფერებაა, ამ წიგნში საქართველოც არის, მასზე წუხილი და ტკივილი უსაშველოდ სტკიოდა პოეტს, ამანაც დააწერინა „ომრი“, ანუ სიცოცხლე-ერთი კაცის ცხოვრება.

აჭარისა და აჭარლების ცხოვრებაზე ბევრი რამ დაწერილა და დაიწერება, მაგრამ ფრიდონ ხალვაშის წიგნი „ომრი“ სულ სხვა კუთხითა და სხვა ტკივილით მოგატარებთ საქართველოს ამ ერთ და განუყოფელ კუთხეს. უცრემლოდ ვერ გადარჩები, ჩუმი ტკივილები იწვიმებს თქვენი თვალებიდან. პოეტის ატკივებულ გულს დაინახავთ და წინ გადაგეშლებათ ცხოვრება და სატკივარი, იმ ადამიანებისა ვის თვალებშიაც 300 წლის შემდეგაც სევდა გამოკრთის. ასე ლამაზად, ასე ნამდვილად ვერასდრო ვერასდროს გაეცნობი, მკითხველო, იმ ხალხის ცხოვრების ისტორიას, რომლებმაც ტანჯვისა და წამების ქარტეხილებში გამოატარეს მშობლიური ენა და რუდუნებით მოიტანეს ჩვენამდე.

აქ არის ფიქრი და შეხვედრა ჩვენებურებთან, ასე უწოდებენ მათ, ვინც ბედის უკუღმართობით საზღვარს იქეთ დარჩა. მათთან შეხვედრისგან გამოწვეული სევდა და სიხარული ამოთქვა პოეტმა ლექსში:

მითხარ, როგორაა მემლექეთი,
ჩემი სანატრელი საქართველო,
რამე იმნაირი გამაგონე,
გული დაკოდილი გავამთელო.



უყვარს, გაყვარებს-ტკივა, გულსაც აგატკიებს და ამ ტკივილით ივლი დიდხანს. ეს არის „ომრი“ პოეტის ცხოვრება. მისი სიხარული და სატკივარი შენი ხდება სამარადჟამოდ. ეს ასეც უნდა იყოს. თუ არ გეტკინა, თუ არ დაგამწუხრა პოეტის ტკივილმა, რა ქართველი ხარ. აქ შენი სატკივარიც არის. თუ შენი სხეულდაჩეხილი სამშობლო გიყვარს, მისი ტკივილიც უსათუოდ უნდა გეტკინოს. ისინი კი, ვისაც ასეთი რუდუნებით ეფერება პოეტი, შენი მრავალჭირნაზი დაა და ძმაა, დედა და მამა.

ასე მგონია ეს წიგნი ყველა ქართველმა უნდა წაიკითხოს. ეს არის ამ კუთხისა და მისი ხალხის უჩვეულო მოფერება. ტკივილისგან გამოწვეული წუხილების სიყვარულით ძლევა და შენი ქვეყნის ისტორიაც.

და ბოლოს - ფრიდონ ხალვაშით ვერავინ დაგანახებთ მისი მშობლიური კუთხის ფიქრ-სატკივარს ძველასა თუ ახალს. ომრი - ცხოვრება ერთი კაცისა, შენი ქვეყნის ისტორიაც არის, შენი კუთხისაც და იმ ადამიანის ცხოვრების გზაა, რომელმაც თავისი მხრებით ატარა მშობლიური ქვეყნის ტკივილი და სიხარული. უყვარდათ და უყვართ. ახსოვთ და კეთილად აგონდებათ. ეს არის ფრიდონ ხალვაში ადამიანი არდავიწყებით:

თურმე, სიცოცხლე

სიკვდილის შემდეგ, არის,

თურმე ხილვები საიქიოსი არის;

მაშ რაღაგიჭირს,-

ცოცხალი იქნები მკვდარიც.

ფრიდონ ხალვაში

წიგნის განხილვა მოამზადა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მთავარმა ბიბლიოთეკარმა ელენორა ძიგუამ



მეგობრებო, როგორც კი საგანგებო მდგომარეობა მოიხსნება, მოაკითხეთ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებას და #იკითხეთ დიდი კონსტანტინეს წიგნები.

აქვე გეტყვით, რომ კონსტანტინე გამსახურდიას მდიდარი შემოქმედება ჩვენს წიგნად ფონდში ფართოდაა წარმოდგენილი და იგი ნებისმიერი ასაკის მკითხველისთვის ხელმისაწვდომია. ახლა კი #დარჩისახლში და #იკითხესახლში.

წიგნების გამოფენა მოამზადა - ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების წამყვანმა ბიბლიოთეკარმა მზევინარ ჯიჯავაძემ Mzia Jijavadze

ჯემალ ქარჩხაძე - 84



მეგობრებო, როგორც კი საგანგებო მდგომარეობა მოიხსნება, მოაკითხეთ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებას და იკითხეთ გენიალური მწერლის წიგნები.

აქვე გეტყვით, რომ ჯემალ ქარჩხაძის მდიდარი შემოქმედება ჩვენს წიგნად ფონდში ფართოდაა წარმოდგენილი და იგი ნებისმიერი ასაკის მკითხველისთვის ხელმისაწვდომია. ახლა კი #დარჩისახლში და #იკითხესახლში.

მარკ ტვენი - „უფლისწული და მათხოვარი“

ძვირფასო მკითხველებო, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება განაგრძობს დისტანციურ მუშაობას და დღეს ამერიკელი მწერლის მარკ ტვენის „უფლისწული და მათხოვარი“ გთავაზობთ.



მარკ ტვენი უდიდესი ამერიკელი მწერალია. მისი ნიჭი და იუმორის გრძნობა ყველა ქვეყნის მკითხველს აოცებს. მარკ ტვენის წიგნები ყველა ენაზე საინტერესო და სახალისოა. მარკ ტვენი ფსევდონიმია, ნამდვილი სახელი გვარი კი სამუელ ლენგორნ კლემენსია. მარკ ტვენი ფლორიდაში მისურის შტატში 1835 წელს დაიბადა. მამამისი მკაცრი კაცი ყოფილა, დედა კი პირიქით, ძალიან მხიარული და ხალისიანი, მარკ ტვენსაც დედისგან გამოჰყვა მხიარული ხასიათი და იუმორის გრძნობა. დედა ბავშვობაში ბევრ ისტორიას უყვებოდა, მომავალი მწერალი ძალიან ცელქი ყოფილა, თუმცა დედის ისტორიებს ყურადღებით უსმენდა. დედის მდიდარმა ფანტაზიამ ბიჭს წერის სურვილი გაუღვიძა.

მარკ ტვენს 3 შვილი ჰყავდა. თუმცა მისი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. სამივე შვილი და საყვარელი ცოლი მწერალს დაეღუპა...მარკ ტვენი მაინც აქტიური და შრომისმოყვარე დარჩა. მასთან მეგობრობა საამაყო იყო ყველასთვის. დარდმა ვერ იმოქმედა მწერალზე, მისი წიგნები დიდი იუმორით გამოირჩევა. თავისი პირველი მოთხრობა მარკ ტვენმა 30 წლისამ დაწერა.

დღეს უნდა შემოგთავაზოთ ამ არაჩვეულებრივი მწერლის ნაწარმოები „უფლისწული და მათხოვარი“. ამ წიგნში წაიკითხავთ საოცრად შთამბეჭდავ ამბავს უფლისწულსა და მათხოვარზე. ეს ორი ცნობისმოყვარე ბიჭუნა გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს, თუმცა განსხვავებული საზოგადოებრივი სტატუსი აქვთ. ერთი მათგანი, ტომ კენტი ლონდონის ჯურღმულებში მცხოვრები ღარიბი ბიჭია, მეორე ედვარდ ტიუდორი კი ტახტის მემკვიდრე. მათი შეხვედრა და როლების გაცვლა ორივეს ცხოვრებას თავგადასავლებით აღსავსეს ხდის.

პატარა მეგობრებო, თუ აღნიშნული წიგნი ოჯახში არ მოგეპოვებათ და საგანგებო მდგომარეობის გამო ჩვენს ბიბლიოთეკაში მოსვლას ვერ ახერხებთ, ჩვენ სასიამოვნო გამოსავალს გთავაზობთ - აქვე გიზიარებთ „უფლისწული და მათხოვარის“ მიხედვით გადაღებულ ფილმს:

<https://www.adjaranet.com/.../87841.../The-Prince-and-the-Pauper>

მომზადა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მთავარმა ბიბლიოთეკარმა ჟუჟუნა მამუჭაძემ

ჰენრი ლონგფელო - ჰაიავატას სიმღერა 📖

საყოველთაო მოწოდება #დარჩისახლში ახლობლებისა და საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის პარალელურად, ყველაზე ნაყოფიერი წიგნის მოყვარულებისთვის



აღმოჩნდა - ბევრი დრო გვაქვს კითხვისთვის. ჩვენ, ბიბლიოთეკარები კი მუდმივად ვზრუნავთ იმისთვის, რომ საინტერესო ავტორები და წიგნები შემოგთავაზოთ.

დღეს მთავარი ბიბლიოთეკარი ელეონორა მიგუა ჰენრი ლონგფელოს "ჰაიავატას სიმღერას" გაუწევს რეკომენდაციას.📖

ამერიკელი მწერალი, პოეტი-რომანტიკოსი ჰენრი ლონგფელო 1807 წელს დაიბადა უძველეს ინგლისურ ოჯახში. მწერალმა ევროპაში მიიღო განათლება. 1836-1854 წლებში იგი ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. მისი პირველი ლექსები 1820 წელს გამოიცა. იგი მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. მის მიერ არის თარგმნილი დანტე ალეგიერის „ღვთაებრივი კომედია“ და სხვა იმდროისათვის პოპულარული ნაწარმოებები.

ჰენრი ლონგფელო დაინტერესებული იყო ინდიელთა ცხოვრებით და კულტურით. იგი უამრავ ნაშრომს გაეცნო, ვიდრე თავის არაჩვეულებრივ ეპიკურ პოემას „ჰაიავატას სიმღერას შექმნიდა. მწერალმა ბევრი იმოგზაურა, იგი ამ ხალხების უამრავ წარმომადგენელს შეხვდა. გაეცნო ოჯახების ტომის ბელადს, მისგან გაგონილი ლეგენდების საფუძველზე შეიქმნა პოემა-„ჰაიავატას სიმღერა“. მწერალს მიაჩნდა, რომ ამ ადამიანების ისტორია, ტრადიციები, მათი კულტურა, ცხოვრების წესი მეტად გაამდიდრებდა ამერიკულ ლიტერატურას და ახალ სახეს მისცემდა მას. ამ პოემამ მწერალს საყოველთაო აღიარება და სიყვარული მოუპოვა.

მსოფლიო ლიტერატურა მდიდარია მითებით და ლეგენდებით. ინდიელი ხალხის ცხოვრება აღსავსეა მითოლოგიით, ისინი დიდი სიყვარულით ინახავენ თავის საგანძურს თაობებისთვის.

უბრალოდ არაფერი იწერება და იქმნება. ყველა ლეგენდის უკან კონკრეტული გმირია, რომლებიც იღწვოდნენ და იბრძოდნენ თავისი ხალხის სასიკეთოდ. ლონგფელოს „ჰაიავატას სიმღერა“ ინდიელთა ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ჰაიავატაც ამ ქვეყნის შვილია. ინდიელებს თავისებური წარმოდგენა ჰქონდათ სამყაროს, ადამიანთა და ცხოველთა წარმოშობაზე. ჰაიავატაც ამ ისტორიებით იზრდებოდა. ლეგენდა მოგვითხრობს მის წინაპრებზე. ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არ იყვნენ: იგი ქარების ღვთაებისა და ულამაზესი იუნონაჰის შვილია, რომელსაც დედის გარდაცვალების შემდეგ ბებია-მთვარის ასული ნაკომისი ზრდიდა. ჰაიავატა დადებითი გმირია. ღვთისმომშიში და მოყვარული. იგი ღმერთის დავალებას პირნათლად ასრულებს. მას უყვარს ადამიანები, ზრუნავს მათზე. ებრძვის ბოროტებას და ამ ბრძოლებში მუდამ გამარჯვებული გამოდის. მას სურს ერთიანი, ურთიერთ სიყვარულზე დაფუძნებული, ღვთის მოყვარული ტომების ერთიანობა, რათა შესაძლებელი გახდეს მშობლიური მიწა-წყლის დაცვა. იგი სიყვარულს თესავს, ამიტომაც უყვართ. დიახ, ჰაიავატა უყვართ, მაგრამ ეს ადამიანები ხშირად ივიწყებენ- თავისი ღმერთის გზავნილს: “ მე თქვენ მოგივლენთ წინასწარმეტყველს და ის გახდება თქვენი მფარველი...და თუ გულდასმით მოუსმენთ ხოლმე, კვლავ გამრავლდებით და აყვავდებით, მაგრამ თუ ისევ დაიხშობთ სმენას, გაქრება თქვენი კვალი კვამლივით...”-მოუწოდებდა მათ გატჩი მანიტო-ინდიელთ ღმერთი. ამასვე შთააგონებდა ჰაიავატა თავის ხალხს. მათ დაივიწყეს გაფრთხილება, ღმერთმა მკაცრი ზამთარი, შიმშილი და ციება მოუვლინა ჰაიავატას ტომს. ამან იმსხვერპლა მისთვის საყვარელი არსება. ბევრ საწუხარს მოესწრო ჰაიავატა, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა თავისი ხალხის ბედნიერებისთვის. იგი ხატავდა თავისი ხალხის ცხოვრებაზე: ქვაზე, ხეზე, ქვის ქერქზე, საფლავებზე. სურდა სამუდამოდ აღებეჭდა მათი სახე და მათი ცხოვრება-ხსოვნისათვის. მისი გონება გრძნობდა საფრთხეს, ისინი, მისი თანამემამულეები ვერა. ვერ აყვავდნენ და გაქრა მათი კვალი კვამლივით... როგორც უწინასწარმეტყველა გატჩი მანიტომ და რასაც მუდმივად ჩააგონებდა ჰაიავატა.


დადგა დრო. გმირის მზეც გადაიხარა დასავლეთისკენ: „მშვიდობით, ჩვენო ჰაიავატავ, ღმერთმა აკურთხოს შენი სახელი!-ამბობდა ხალხი და თვალცრემლიანი ემშვიდობებოდა თავის გმირს. „მშვიდობით, ჩემო ჰაიავატავ!-კვნესოდა მდინარე, და შუპ-შუპ-გაი, საბრალო ყანჩაც, მიაცილებდა ძმობილს ცრემლებით. ადამიანთა ზრუნვით დაღლილ უსაყვარლეს გმირს, სამუდამო განსასვენებელში მიაცილებდა ცრემლი და ურვა

მშობელი ხალხის. მიეშურებოდა ჰაიავათა პონიმას ქვეყნებისკენ სამუდამოდ-
განსასვენებლად და ტიროდა ხალხი...

წაიკითხეთ, ეს უბრალო თქმულება არ არის. ეს არის ადამიანთა გულებიდან
წამოსული სიყვარულისა და მარადი ხსოვნისათვის დაწერილი სიმღერა-გმირ ჰაიავათაზე,
რომელსაც ადამიანები ძალიან უყვარდა. ამ წიგნის ერთი-ერთი ღირსება ისიც არის,
წაიკითხავ თუ არა, იგი შენი გმირიც ხდება და დიდხანს, დიდხანს რჩება შენში - დიდი
ჰაიავათა.

წრიპა ბიჭის დღიური

მკირფასო მკითხველებო, დღეს ამერიკელი მწერლის ჯეკ კინის წიგნების სერიიდან წრიპა ბიჭის დღიური - „დიდი მოგზაურობა“ უნდა შემოგთავაზოთ.



ოჯახური მოგზაურობა, წესით კარგი გართობა უნდა იყოს... მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ჰეფლების ოჯახი არ ხართ. მათ მოგზაურობა კარგად დაიწყო, მაგრამ მალე ყველაფერი აირია. ბენზინგასამართი სადგურის საპირფარეშოები, გადარეული თოლიები, ავარიები და გაქცეული გოჭი გრეგ ჰეფლის წარმოდგენას დროსტარებაზე ნამდვილად არ ემთხვევა. თუმცა, ყველაზე ცუდი მოგზაურობაც კი შეიძლება თავგადასავლად იქცეს. ეს ზუსტად ის მოგზაურობაა, რომელიც ჰეფლებს დიდხანს არ დაავიწყდებათ.

პატარა მეგობრებო, თუ აღნიშნული წიგნი ოჯახში არ მოგეპოვებათ და საგანგებო მდგომარეობის გამო ჩვენს ბიბლიოთეკაში მოსვლას ვერ ახერხებთ, ჩვენ სასიამოვნო გამოსავალს გთავაზობთ - აქვე გიზიარებთ წრიპა ბიჭის დღიურებიდან - „დიდი მოგზაურობის“ მიხედვით გადაღებულ ფილმს.

 <https://www.adjaranet.com/.../Diary-of-a-Wimpy-Kid-The-Long-H...>

მოამზადა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მთავარმა ბიბლიოთეკარმა ჟუჟუნა მამუჭამემ

❖ ჯონ სტაინბეკი - "კონსერვის რიგი"

მეგობრებო, ვიდრე ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა მოქმედებს, თავისუფალი დრო გამოვიყენოთ კითხვისთვის. თვალი გადავავლოთ საკუთარ ბიბლიოთეკას ან სასურველი ნაწარმოები ელექტრონულად მოვიძიოთ სხვადასხვა ვებ-გვერდებზე. დღეს კი ჩვენი მთავარი ბიბლიოთეკარი ელეონორა ძიგუა (Eleonora Dzigua) კიდევ ერთ საინტერესო რომანს გაუწევს რეკომენდაციას.

...„კონსერვის რიგი“ დიდი ამერიკელი მწერლის-ჯონ სტაინბეკის ერთ-ერთი გამორჩეული რომანია. წიგნი 1945 წელს გამოიცა და ერთი ქუჩის ცხოვრებას აღწერს დიდი დეპრესიის პერიოდის მონტერიემში(კალიფორნიაში). აქ ყველა თავისი საქმით არის დაკავებული. არაფერი გასაოცარი არ ხდება ამ ქალაქში და იგი ჩვეულებრივი ცხოვრობით ცხოვრობს. მაღაზიის ჩინელი მეპატრონე ლი ჩონგი-უდრეკი კაცი, როცა საქმე ლობიოს კონსერვს ეხება-თანაგრძნობით სავსე, თუ ბაბუის ცხედარზე ფიქრობს; აქ არის დიდებული ქალი დორა და მისი გოგოები ბორდელ „ დათვის დროშიდან“, ისინი ჩვეულებრივი მეძავეები არ არიან, როცა ქალაქის მაცხოვრებლებს ცუდი დღეები უდგათ, დორას გოგოები ქველმოქმედებით არიან დაკავებული, ისინი ზრუნავენ მოხუცებზე და შეჭირვებულ ადამიანებზე. აქ შეხვდებით მხატვარს, რომელიც გიჟდება ნაოსნობაზე, მაგრამ საშინლად ეშინია წყლის, მკვსა და მის ძმაცაცებს, რომელთაც არაფერი ადარდებთ ამქვეყნად, მათ არც ოჯახი ჰყავთ და არც ფული აქვთ, მაგრამ მშვენივრად გრძნობენ თავს. ისიც არის, არც ეს რომანი იქნებოდა საინტერესო მაკისა და მისი ძმაცაცების გარეშე. სახლს, რომელსაც მაკი დროებით საცხოვრებლად გამოტყუებს ლი ჩონგს „მაწანწალების სასახლეს“ ეძახიან ქალაქში და მაწანწალები, თავად ეს ბიჭებია, რომელთაც ზოგჯერ გენიალური აზრებიც მოსდით თავში, მაგალითაც ისინი გადაწყვეტენ წვეულება მოუწყონ ადამიანს, რომელიც მართლაც იმსახურებს ქალაქის პატივისცემას, ასე რომ სულ მთლად წყალწაღებულებიც არ არიან. იმაზე, როგორ გამოუვიდათ ეს, წაიკითხეთ და გაიგებთ, იმასაც გაიგებთ ვინ არის ადამიანი, რომლის პატივსაცემად ეს უჩვეულო წვეულება გამართეს. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ შეგვიძლია გითხრათ. ამ კაცს ბიოლოგიური ლაბორატორია აქვს, იგი ტანმორჩილი კაცია, რომელიც ქრისტესაც ჩამოგავს და სატირსაც, ალბათ იმიტომ, რომ ცხოვრობს ქალაქში, სადაც ბევრი უცნაურობები ხდება. ისე ჩვეულებრივი ქალაქია, სხვა ქალაქების მსგავსი. ყველა ქალაქშია ლი ჩონგის მსგავსნი, ნებისმიერ ქალაქში ნახავთ მიკისა და მისი მეგობრების მსგავსთ. ნებისმიერ ქალაქში არიან დოკის მსგავსნი, რომელთაც სიკეთის

გაკეთების უნარიცა აქვთ და შესაძლებლობა. „დოკი ჯიგარია“ ამბობენ კონსერვის რიგის მცხოვრებლები და წვეულების მოწყობას მართლაც გადაწყვეტენ...

„მონტერიეში კონსერვის რიგი ლექსიცაა, მყრალი სუნიც, ჭრაჭუნის უსიამოვნო ხმაც, თავისებური ფერი, სტილი თუ ჩვევა, მონატრება თუ ოცნება. აქ ყველაფერი ერთად არის მიმოფანტული. ერთმანეთში არეული და ამ ქუჩის მცხოვრებნიც,...დიახ, მათ თავისებური გაგება აქვთ სიკეთეზე და საერთოდ ყველაფერზე.“

ერთხელ ვიღაცას უთქვამს: „ამ ქალაქის მცხოვრებლები-ჩათლახები, სუტენიორები, გემბელები და ნაბიჭვრები არიანო - და ალბათ ყველანაირი ჯურის ხალხს გულისხმობდა... სხვა კუთხიდან რომ შეეხედა იმავე კაცს, შეიძლებოდა ეთქვა- აქ წმინდანები და ანგელოზები, წამებულები და ღვთისწიერი ადამიანები ცხოვრობდნენო- და ალბათ იმავეს



იგულისხმებდა“ (ჯ.ს.)

„თვისებები, რომელსაც ვაფასებთ ადამიანში - სიკეთე, გულუხვობა, პატიოსნება, თანაგრძნობა - მარცხისკენ მიგვიძღვის, ხოლო უკმეხობა, სიხარბე, სიძუნწე, ეგოიზმი წარმატების საწინდარია.“

ესეც სტაინბეკს უთქვამს. ძნელია არჩევანი გააკეთო, მაგრამ შესაძლებელი და ამის უამრავი მაგალითიც გვაქვს დღეს. დგება მომენტი როცა არჩევანის წინაშე დგები- პირადი თუ საზოგადო. ეს ოცნების სფეროა- ვფიქრობდით დაახლოებით ორი თვის წინ. რეალობა ასეთია: ადამიანები საკუთარი სიცოცხლის ფასად ებრძვიან მომაკვდინებელ სენს, ვიყოთ სახლში, ნუ გავხდებით პრობლემა...

წაიკითხეთ თავისუფალ დროს...

■ აკა მორჩილაძე მწერლებსა და წიგნებზე

აკა მორჩილაძე 1966 წელს დაიბადა თბილისში. 1988 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და აქვე მოღვაწეობს.



მის რომანებს „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, „მოგზაურობა ყარაბაღში“, „აგვისტოს პასიანსი“, „სხვანი“, „შობის ღამის ალქაჯები“, „სანტა ესპერანსა“, მადათოვის ტრილოგია- მკითხველი ამ ნაწარმოებებს კარგად იცნობს.

აკა მორჩილაძის რომანი „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ ადაპტირებული იქნა პიესად და სანდრო ახმეტელის თეატრში დაიდგა. მასში 1992-93 წლების მძიმე ქართული ცხოვრებაა აღწერილი. მისი რომანი „სანტა ესპერანსა“ გერმანულ ენაზე ითარგმნა და დაიბეჭდა, რასაც

დიდი შეფასება მოჰყვა და სეზონის ყველაზე გაბედულ და არაორდინალურ გამოცემად შეფასდა.

აკა მორჩილაძის წიგნი „მწერლებსა და წიგნებზე“ სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა „ცხელ შოკოლადსა“ და „არილში“. ეს კრებული არ წარმოადგენს ლიტერატურული კრიტიკის კლასიკურ ნიმუშს-აქ დარღვეულია ქრონოლოგია; აქ ვერ ნახავთ ისტორიულსა თუ ბიოგრაფიულ თარიღს. აქ არის მწერლის შთაბეჭდილებები, ნაფიქრ-ნააზრები. აკა მორჩილაძის მონათხრობები ერთგვარი გზამკვლევია-წიგნის თაროსთან...აქ ისეთ ავტორებს შეხვდებით, რომელსაც ოდესღაც, იქნებ გვერდი აუარეთ, ვინ იცის რატომ. აქ, ამ წიგნში ბევრ ნაცნობ ავტორსაც შეხვდებით და სულ სხვა თვალითაც დაინახავთ იქნებ!- აქ შეხვდებით სერ რიჩარდ ბარტონს, გაიგებთ უფრო მეტს მასზე. აქ გაეცნობით ამბროზ ბირსს, რომელსაც ტრაგიკული ამბის მოყოლაც შეეძლო და წინადადებების მოხდენილად აწყობა.

„ჩემი მაგარი გოგოები“-სულ მინდოდა ამათზე დამეწერა-აცხადებს მწერალი. წიგნში საინტერესო ეპიზოდებია, ცოტათი სევდიანი ამბებიც- შარლოტა, ემილი და ენ ბრონტეების ცხოვრებიდან. აქ არის ბევრი საინტერესო ამბავი- თქვენთვის ძალიან საყვარელ შერლოკ

ჰოლმსზე და მის ავტორზე. აქ არის ჰარპერ ლის „ნუ მოკლავ ჯაფარას“, წიგნი ატკუს ფინჩსა და მის არაჩვეულებრივ ბავშვებზე. ვის არ შეხვდებით აქ; ფოლკნერს, ჰემინგუეის, საიდუმლოებით მოცულ ბრუნო ტრავენს, სვიფტს, მელვილსა და მის „მოზი დიკს“. აქ წაიკითხავთ სტივენსონსა და მის გმირებზე...

ამ კრებულში აკა მორჩილაძე გვესაუბრება მწერლებსა და წიგნებზეც, რომელიც იქნებ წაგიკითხავთ და საკუთარი აზრიც გაგაჩნიათ მათზე, მაგრამ დაგვიჯერეთ ეს სხვაა. „მწერალიც ეგ არის ალბათ, როცა წამკითხველს არ ავიწყდება და რაღაც უცნაური, ჩამოუქნელი, ფერადი სივრცე ამოუტივტივდება ხოლმე თავში შენი სახელის გახსენებაზე“- სწორედ ასეთ განწყობაზე გტოვებს აქაც მწერალი- მას შემდეგ რაც ჩაათავებ მის ამ არაჩვეულებრივ საუბარს ჩვენთვის-მწერლებსა და წიგნებზე! წაიკითხეთ ეს საინტერესოა!

მომზადა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მთავარმა ბიბლიოთეკარმა ელენორა ძიგუამ

❧ ელიზაბეტ ჯილბერტი - "ჭამე, ილოცე, შეიყვარე"

მეგობრებო, ვიდრე ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა მოქმედებს, თავისუფალი

დრო გამოვიყენოთ კითხვისთვის. დღეს ჩვენი მთავარი ბიბლიოთეკარი ელეონორა ძიგუა (Eleonora Dzigua) გთავაზობთ ელიზაბეტ ჯილბერტის ავტობიოგრაფიულ რომანს - "ჭამე, ილოცე, შეიყვარე".



❧ „ჭამე, ილოცე, შეიყვარე“ ავტობიოგრაფიული რომანია. 30 წელს გადაცილებული ელიზაბეტი ცდილობს, თავისი აწეწილ-დაწეწილ ცხოვრებაში სიმშვიდე შეიტანოს. ამდენად ის იწყებს მიებას. რომში იგი თავის ნებაზე მიუშვებს და ამის შედეგად იმატებს წონაში, რაც სტრესში აგდებს. მის სულს

სიმშვიდე სურს. მისთვის ეს არის მთავარი, რადგან საშინლად მარტოსულად გრძნობს თავს:“ ჩვენი ქმედებები ჩვენი ფიქრების პირდაპირი შედეგია, თუ ნეგატიური აზროვნება გვაქვს, ნეგატიური ცხოვრებაც გვექნება...”

ელიზაბეტი აღმოაჩენს, რომ ცხოვრებისგან ვერ იღებს იმას რაც უნდა, ამიტომ გადაწყვეტს რაღაც უნდა დაუჯდეს, იპოვოს ის, რაც მის ცხოვრებას აზრს მისცემს. ამ წიგნით-გმირთან ერთად იმოგზაურებთ სხვადასხვა ქვეყანაში და თქვენთვის უამრავ საინტერესოს აღმოაჩენთ, მოწმე გახდებით უამრავი უცნაურობისა, რაც ელიზაბეტს გადახდა. მაგრამ თავად ასე თვლის, ეს მაინც სჯობდა იმას, რასაც გამოვექეციო: „ორივესთვის შოკის მომგვრელი აღმოჩნდა, როცა მივხვდით, თანდათან როგორ გავმხდარვართ ერთმანეთისთვის უცხონი... ჩვენი ცხოვრება მარაზმს დაემსგავსა“-ამბობს ელიზაბეტი. იგი გაექცა ამ მდგომარეობას, რადგან მიაჩნდა რომ ეს ორივესთვის გადარჩენა იყო.

ადამიანები, უმეტესად სუსტი სქესის წარმომადგენლები, თავის პარტნიორს თავად იგონებენ და მათგანვე ითხოვენ, ისეთები იყვნენ, როგორიც თავად წარმოუდგენიათ, თავის წარმოსახვაში და როცა ისინი მათ მიერ შეთავაზებულ როლს არ ან ვერ განასახიერებენ, მიწას ენარცხებიან, მათ ფრთები ემსხვრევიათ...და ჩვენი გმირიც გაქცევით შველის თავს.

ელიზაბეტი მოივლის იტალიას, ინდოეთს, ინდონეზიას. ინდოეთში სულის განწმენდას ჰპოვებს. საბოლოოდ, კუნძულ ბალიზე, მცხოვანი ექიმბაში ახალ გზას დაანახებს სიმშვიდისკენ და კვლავ გაუღვივებს სიყვარულის სურვილს.

🎬 „ჭამე, ილოცე, შეიყვარე“ ელიზაბეტ ჯილბერტის ერთ-ერთი პოპულარული ნაწარმოებია, ამ წიგნის მიხედვით ფილმიც არის გადაღებული. წიგნი- სიყვარულზე, იმედგაცრუებაზე და ისევ სიყვარულზეა: „ღმერთი, ჩვენს თავს დამტყდარი სიყვარულის ნაყოფია“-ასე ფიქრობს ელიზაბეტი და თავად ავტორიც ამ აზრისაა რა თქმა უნდა.

აქვე გთავაზობთ აღინული რომანის ეკრანიზაციას.


<https://www.adjaranet.com/movies/577/Eat-Pray-Love...>

ჟურნალი „ივერია“

140 წლის წინათ, 1880 წელის 5 აპრილს, ილია ჭავჭავაძისა და სერგეი მესხის რედაქტორობით გამოვიდა საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ „ივერიის“ პირველი ნომერი.

„ივერია“ სხვადასხვა წლებში სხვადასხვა ფორმით გამოდიოდა:

1877-1878 წლებში იგი 16-გვერდიანი ყოველკვირეული „საპოლიტიკო და სალიტერატურო“ გაზეთია, რომელიც ხუთშაბათობით გამოდიოდა. თუმცა, მოცულობით, ფორმატითა და შინაარსითაც ჟურნალს უფრო ჰგავდა.



ამასთან დაკავშირებით გიორგი თუმანიშვილს უთქვამს: „ზოგჯერ ივიწყებს თავის გაზეთობას და ჩემულობს ჟურნალობას“.

1879 წელს „ივერია“ ყოველთვიური ჟურნალია.

1880 წელს - სამთვლიური ალმანახი.

1881-1885 წლებში - ისევ ყოველთვიური ჟურნალია.

1885 წელს კი, როდესაც „დროება“ დაიხურა და ქართველი საზოგადოება გაზეთის გარეშე დარჩა, ილია ჭავჭავაძემ ისევ შეუცვალა ფორმა და 1886 წლის 1 იანვრიდან „ივერია“ ყოველდღიური გაზეთია.


1906 წელს კი, ყოველკვირეულ გაზეთად გადაკეთდა.

1880 წლამდე ილია ჭავჭავაძე იყო „ივერიის“ ერთპიროვნული რედაქტორი, ხოლო 1880 წელს, როდესაც „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციები გაერთიანდა, გაერთიანებული გამოცემის რედაქტორი ილიასთან ერთად სერგეი მესხიც იყო.

წყარო: „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, გამომცემლობა „არტანუჯი“

📖 გურამ დოჩანაშვილი - "კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა"

მეგობრებო, ვიდრე ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა მოქმედებს, თავისუფალი დრო გამოვიყენოთ კითხვისთვის. დღეს ჩვენი მთავარი ბიბლიოთეკარი ელეონორა ძიგუა



(Eleonora Dzigua) გთავაზობთ გურამ დოჩანაშვილის გამორჩეულ მოთხრობას "კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა".

გურამ დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ ანტისაბჭოთა ნაწარმოებადც შეიძლება ჩაითვალოს. აქ, მწერალი თავისი ქვეყნის ისტორიას ყვება, ახასიათებს ეპოქას, წყობას, რომელშიც ადამიანს არ გააჩნდა ხელისუფლების ნებისგან დამოუკიდებელი პირადი ცხოვრება, ყველა მოქცეული იყო ერთიანი ღირებულების ყალიბში, რაც აადვილებდა მათ მართვას.

ყველაფერი იწყება იმით, რომ ერთ-ერთ ფოტო-სალონს, პარტიული ფუნქციონერის დავალებით-სოციოლოგი ეწვევა, რომელსაც დავალებული აქვს გამოიკვლიოს ქალაქის ტიპის დასახლებაში, ადამიანების თავისუფალი დრო, რადგან პარტიული თვალსაზრისით, ეს არის საბჭოთა ადამიანის ფორმირების მთავარი ფაქტორი, შემდგომ, სოციალ-ეკონომიკური, მატერიალური ფაქტორი და ა.შ. ამ კვლევით არაფერი იცვლებოდა, ეს იყო ჩვეულებრივი სტატისტიკა-ფურცელზე და მეტი არაფერი.

არჩევანს ინტერვიუერი ფოტო-სალონებზე აჩერებს. ასე აღმოჩნდება ახალგაზრდა უმცროსი მეცნიერ მუშაკი ვასიკო კეჟერაძის ფოტო-სალონში. აქ იწყება მისი ურთიერთობა ადამიანთან, რომელსაც ლიტერატურა ძალიან უყვარდა. კეჟერაძის ლიტერატურული მინიშნებები გაუგებარია და გამაღიზიანებელი, ჯერ ინტერვიუერისთვის, შემდგომ მისი გაბლენძილი, ფუყე ფრაზებით მოთამაშე ხემძლვანელისათვის. მათთვის გაუგებარია რას ნიშნავს „ბეტანკურიანი რომანი“, რადგან წარმოდგენა არა აქვთ მარკესზე, ვინ არის აურელიო და რისი თქმა უნდა, ამ ფრაზებით მათ უცნაურ რესპოდენტს. კეჟერაძის

სტუმრებმა ვერაფრით მოიწონეს თავი, რაც მასპინძლის ირონიულ დამოკიდებულებას იწვევს მათადმი.

ჩემი ნება რომ იყვეს, კარცერ-ლუქსებს გავხსნიდი, დარაჯად კლიმისნაირ ბიჭს დავუჯენდი (კლიმი მისი ასისტენტი) და კითხვას მივუსჯიდი ყველა ლოთს, უსაქმურსა და უწიგნურს-ამბობს ვასიკო კეჟერაძე. ამის გამგონე ხელმძღვანელი გამოცოცხლდება და წამოიძახებს: ეს დესპოტიზმიაო! ისიც დესპოტიზმი იყო-მეცნიერ მუშაკი თამაზი, ჩვენი ინტერვიუერის ჩამოლაბორანტება, მაგრამ...

ჰო, ვასიკო კეჟერაძისთვის კარცერ-ლუქსები აუხდენელი ოცნება იყო.

ეჰ, ვასიკო, ვასიკო, რა იცოდი, მალე დედამიწა კარცერ-ლუქსებად გადაიქცეოდა, კარს კორონა მოგვადგებოდა და წიგნის წასაკითხად, დრო საკმარისზე მეტიც გვექნებოდა. ეს მოთხრობაც ამიტომ ავირჩიეთ. ახლა თუ წავიკითხავთ თორემ მერე ვის ეცლება წიგნისთვის, ხომ ხედავთ-რა დამართა კორონამ ეკონომიკას...

აქვე გთავაზობთ ამ გენიალური ნაწარმოების ტელესპექტაკლს, სადაც ქართული კინოსა და თეატრის ლეგენდარული მსახიობი #ეროსი #მანჯგალაძე თამაშობს.

<https://www.youtube.com/watch...>

p.s.


„ბეტანკურიანი რომანი“ ანუ „სამოსელი პირველიც“ შეგიძლიათ წაიკითხოთ, თუ რა თქმა უნდა, ჯერ არ წავიკითხავთ.

პოლკოვნიკ აურელიანო ბუნდიას ამბავი თუ დაგაინტერესებთ-მარკესის- „მარტოობის ასი წელი“ შეგიძლია გირჩიოთ.

#წაიკითხეთ.

ქართველი დრამატურგი, რეჟისორი და მწერალი - ნინო ხარატი

ნინო ხარატიშვილი დაიბადა თბილისში 1983 წელს. იგი გერმანულენოვანი ქართველი დრამატურგი, რეჟისორი და მწერალია. სწავლობდა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში კინოდოკუმენტალისტიკის ფაკულტეტზე. ასევე



სწავლობდა ჰამბურგის თეატრის აკადემიაში დრამის რეჟისურის ფაკულტეტზე. მრავალი პრემიის ლაურეატი. ცხოვრობს ჰამბურგში, მუშაობს გერმანიის, შვეიცარიისა და ავსტრიის სხვადასხვა თეატრში. მისი პიესები წარმატებით იდგმება სხვადასხვა ქალაქების თეატრებში.

ნინო ხარატიშვილს ეკუთვნის რომანები: „ჟუჟა“, „ჩემი საყვარელი ორეული“, „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“. მძინდა გაცნობოთ, მისი ბოლო გახმაურებული რომანი „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ სულ ახლახან, კარანტინის დაწყებამდე, შეემატა ძირითადი წიგნსაცავის წიგნად ფონდს. ავტორმა ამ რომანისათვის 2014 წელს რობერტ ბოშის „საზღვარგარეთის გადაკვეთის სტიპენდია“ დაიმსახურა. 2018 წელს

კი ბერტოლდ ბრეხტის პრემია მიიღო და ბესტსელერად იქცა. რომანი ბევრი ევროპელი მკითხველისათვის გახდა ერთგვარი გზამკვლევი, რომ ეპოვათ საქართველო. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ბევრს გაუჩნდა ჩვენს ქვეყანაში სტყმრობის სურვილი. უდაოდ საინტერესო ნაწარმოებია. მიუხედავად იმისა რომ დიდტანიანია, 1200 გვერდია, კითხვის დაწყებისთანავე იწვევს დიდ ინტერესს, ერთი ამოსუნთქვით იკითხება და ძალიან დამაინტრიგებელია თხრობის სტილი. თუ კითხვა დაიწყე, თავს ვეღარ ანებებ.

წიგნში მოთხრობილია რვა სიცოცხლის ამბავი, ერთი ოჯახის ისტორია. თხრობა იწყება 2006 წელს 12 წლის ბრილკას გაუჩინარებით, რომელიც ვენაში აღმოჩნდება. მთელ ამ ისტორიას დეიდა- ნიცა უყვება ბრილკას. ნიცა იწყებს, იხსენებს თავისი ოჯახის ისტორიას და მიმართავს ბრილკას: „ამ სტრიქონებს ვუმაღლი უსასრულოდ ბევრი ცრემლის

დადვრას, ვუმადლი ჩემს საკუთარ თავს, რომელმაც დატოვა სამშობლო, რომ ეპოვნა საკუთარი თავი, მაგრამ მაინც რომელსაც ის უფრო და უფრო კარგავდა და მაინც ამ სტრიქონებს უპირველესად გიმადლი შენ, ბრილკა“. და იწყებს პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის მიჯნაზე, ერთ საუკუნეში განფენილი ერთი ოჯახის -ჯაშების ოჯახის ამაღელვებელი ისტორიის თხრობას. ეს არის ამბავი ისტორიის ქარტეხილებთან შეგუების, ღალატისა და წინააღმდეგობის, სიყვარულისა და სიცოცხლის და გადარჩენის ჟინის შესახებ.

წიგნი რვა ნაწილისაგან შედგება და თითოეულ ნაწილს ოჯახის თითო წევრის სახელი ჰქვია: სტასია, ქრისტინე, კოსტია, კიტი, ელენე, დარია, ნიცა და რომანის ბოლო მერვე ნაწილი-ბრილკა ცარიელი ფურცელია, ჯერ დაუწერელი, რაც ძალზე შთამბეჭდავია. მერვე სიცოცხლე უკვე შანსია, ახალი შესაძლებლობაა, რომელიც თინეიჯერმა ბრილკამ ცხოვრებასთან ომში უნდა გამოიყენოს. გიპყრობს შიშნარევი კითხვა ნუთუ ვერ მოახერხებს ბრილკა ნიცას სურვილის განხორციელებას: „შენ ამას შეძლებ. გადაკვეთე ეს ისტორია და ჩამოიტოვე შენს უკან“ - შეუძლებელია თანაგრძნობისა და მღელვარების გარეშე ამ სტრიქონების წაკითხვა. იმედი უნდა ვიქონიოთ ბრილკა შეძლებს. „შენ უნდა შეძლო ეს. უნდა გახდე ის, რაინც ვიყავით ან არ ვიყავით. ლეიტენანტი, ბაგირზე მოცეკვავე, მეზღვაური, მსახიობი, რეჟისორი, პიანისტი, შეყვარებული, დედა, ექთანი, მწერალი, წითელი და თეთრი ან ლურჯი, გახდი ქაოსიც და ზეცაც და ისიც და მეც და ნურც ერთი ნუ იქნები, ოღონდ არ გაჩერდე და გააგრძელე პა-დე-დეს ცეკვა. გადალახე ეს ამბავი და უკან მოიტოვე.“

სულ რამდენიმე დღე და ბიბლიოთეკის კარი გაიღება თქვენთვის, ჩვენი საყვარელი მკითხველებისათვის და თქვენ შეძლებთ წაიკითხოთ ეს მშვენიერი თანამედროვე რომანი.

ძირითადი წიგნსაცავი

ნინო ვაშაყმაძე

ნორა რობერტსი „კოლექციონერი“

ნორა რობერტსი ამერიკელთა ერთ-ერთი საყვარელი და გამორჩეული მწერალია.



თავისი ზუსტი და მკაფიო წერის მანერით ყველას შეაყვარა თავი. ის პირველი ავტორია, ვინც RWA-ს „დიდების დარბაზში“ შეიყვანეს. მას მიღებული აქვს თითქმის ყველა არსებული ჯილდო რომანტიკული ჟანრის რომანებისათვის. დაწერილი აქვს 200-ზე მეტი რომანი, მისი წიგნების 500 მილიონზე მეტი ეგზემპლარია გაყიდული.

ნორა რობერტსის რამდენიმე წიგნი „ნიუ-იორკ თაიმსის“ ბესტსელერების სიაში 1991 წელს შევიდა, ხოლო 1999 წლიდან ამ სიაში მისი ყველა წიგნი ფიგურირებს.

რომანმა „კოლექციონერი“ იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო

მსოფლიო მასშტაბით. კრიტიკოსებიც დადებითად აფასებდნენ. ნაწარმოებში აღწერილია პიროვნულად ძლიერი, თუმცა წინააღმდეგობით აღსავსე შეყვარებული წყვილი. ახალგაზრდა მწერალი ქალი ლაილა ემერსონი, რომელიც სხვისი სახელების მომვლელითაცაა დაკავებული, მოულოდნელად მკვლელობის მოწმე ხდება..... სწორედ ამ საქმის გამო ის გაიცნობს მოკლულის, ოლივერ არჩერის ძმას, ემტონ არჩერს. მძიმე წუთებში გვერდით დაუდგება და თითქმის ყველაფერში ეხმარება.... აქედან იწყება ახალგაზრდაწყვილის ლამაზი და თავბრუდამხვევი სიყვარულის ისტორია.

მკვლელობის მიზეზებისა და დამნაშავეს ძიებამ ისინი ანტიკვარული შედეგების კოლექციონერების, გამყიდველებისა და დაუნდობელი მკვლელების სასტიკ სამყაროში მიიყვანა, მაგრამ ამ სამყაროს მიღმაც არსებობენ ადამიანები, რომლებისთვისაც სიყვარული, ოჯახი და ურთიერთობები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ძვირფასი ნივთები.

აბონემენტის განყოფილების უფროსი - ნაირა მენაფირე.

შრიფ ხიმშიაშვილი

მოგესალმებით ჩვენო ძვირფასო მკითხველებო.

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისა და ჩვენი უსაფრთხოების გამო,



მკითხველებისათვის ბიბლიოთეკის კარი კვლავაც დაკეტილია. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა განაგრძობს თქვენთვის დისტანციურ მუშაობას. დღეს რუბრიკაში „ღირსეული მამულიშვილები“ წარმოგიდგენთ ხიმშიაშვილთა სახელოვანი გვარის კიდევ ერთ წარმომადგენელს.

შერიფ ხიმშიაშვილი

სამუსლიმანო საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, ზემო-აჭარის უკანასკნელი მთავარი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი (აჰმედ-ფაშას

ძე) 1829 წელს დაიბადა დაბა ხულოში. მამამისი ახალციხის საფაშოს ხელმძღვანელობდა. აჰმედ ფაშა 1836 წელს, 55 წლისა მოულოდნელად, საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. 7 წლის შერიფის აღზრდა ითავა დედამ, დუდი ხანუმ ბეჟანიძემ. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ოსმალეთის სულთნის კარმა მას დაავალა აჭარის გამგებლობა. დუდი ხანუმმა მხარის გამგებლობა მიანდო მაზლს, ჰუსეინ-ფაშას, თავად კი მალევე წავიდა სტამბოლში, რათა შვილის განათლებასა და მისთვის ბეგობის წოდების მოპოვებაზე ეზრუნა. უამისოდ შერიფი ვერ გახდებოდა აჭარის მმართველი, ვერ დაიკავებდა მამის თანამდებობას. შერიფი მიაბარეს უფლისწულებისთვის განკუთვნილ სკოლაში, სადაც საფუძვლიანი განათლება მიიღო. ქართულად წერა-კითხვა და ქართული ლიტერატურა კი ოჯახში შეისწავლა დედის დახმარებით.

სანამ შერიფი სრულწლოვანი გახდებოდა, ზემო აჭარას დუდი-ხანუმი მართავდა. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა უბრალო ხალხშიც და სულთნის სამეფო კარზეც. განსაკუთრებული გონიერება გამოიჩინა მან 1844 წელს, როცა აჭარის მოსახლეობა აუჯანყდა ოსმალეთის ხელისუფლებას დამატებითი გადასახადების შემოღების გამო. თურქეთის სულთანმა მღელვარების ჩასახშობად მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნა და რომ არა დუდი-ხანუმის დიპლომატიური ნიჭი, ადგილობრივ მოსახლეობას დიდი საშიშროება ელოდა. 15 წლის შერიფი აჭარაში ფაშის ტიტულით დაბრუნდა. სულთან

აბდულ-მეჯიდს მისი სასახლის კარზე დატოვება სურდა, მაგრამ დუდი-ხანუმის პირადი თხოვნა გაითვალისწინა და შერიფი ზემო აჭარის მმართველად დაამტკიცა.

შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის პიროვნებას ბევრი მოგზაური თუ მკვლევარი მოუხიზლავს თავისი განათლებით, ენამახვილობითა თუ დარბაისლობით. მასზე მოგონებები დაგვიტოვეს: ივანე კერესელიძემ, დიმიტრი ბაქრაძემ, ზაქარია ჭიჭინაძემ, ნიკოლოზ არჯევანიძემ და სხვებმა. 1874 წლის გაზაფხულზე შერიფ ბეგის სტუმარი ყოფილა გიორგი ყაზბეგი. იგი მასპინძელს ასე ახასიათებს: „შერიფ ბეგი 45 წლისაა, საშუალოზე მაღალი, წარმოსადევია. მას ტიპიური ქართული სახე აქვს, იგი ძალზე ჭკვიანია, კარგი მოუბარი და ენამოსწრებული, თავისებურად განათლებული და რაც მთავარია, ხელიდან ყველაფერი გამოუდის. ჩვენ ვნახეთ მისი გაკეთებული ხმალი, რომელსაც ოქროს ზარნიში და ვერცხლის შემკულობა აქვს... ბეგმა თვითონ ჩამოასხა სპილენძის პატარა ზარბაზანი, კაკლის ხისგან კი საკმაოდ ფაქიზად გააკეთა რამდენიმე სკამი და დივანი. გარდა ამისა, შერიფ ბეგი კარგი მხატვარიცაა. სახლის თითქმის ყველა კედელს მისი ნახატი ამშვენებს“. (გ. ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. – ბათუმი, 1955, გვ.44).

შერიფ ხიმშიაშვილს ძალიან უყვარდა ქართული ლიტერატურა, მშობლიური ენა და კულტურა. ეს ნათლად ეტყობა მის წერილებს. ამ მხრივ სანიმუშოა 1879 წელს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი მისი წერილი – „გულწრფელი აღსარება“, რომელიც გამოირჩევა ფილოსოფიური სიღრმით, მხატვრული ოსტატობით და, რაც მთავარია, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულითა და ნათელი მომავლის რწმენით.

1877–1878 წლების ომში ბათუმისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარის ბეგების მიერ დაკავებულ პოზიციას. შერიფ-ბეგი მტკიცედ ადგა რუსეთის ორიენტაციას და აჭარის საქართველოსთან შეერთების გზას. 1878 წლის მარტში, დაბა სან-სტეფანოში, რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო ზავი. ხოლო 1879 წელს ბერლინის კონგრესზე დადასტურდა, რომ აჭარა ამიერიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო. აჭარის დედამშობლოში დაბრუნებას დიდი აღფრთოვანებით მიესალმნენ საქართველოში. 1878 წელს აჭარის დეპუტაცია თბილისში მიიწვიეს. დეპუტაციაში შედიოდნენ: ჰუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი (ბეჟანიძე), ჰუსეინ აბაშიძე, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი და სხვები. ძვირფას სტუმრებს მასპინძლობას უწევდნენ გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. შეხვედრაზე ბრწყინვალე

სიტყვა წარმოთქვა გრიგოლ ორბელიანმა. საპასუხო სიტყვა დახვეწილი ქართულით წარმოთქვეს ჰუსეინ-ბეგ ბეჟანიძემ და შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა.

შერიფ-ბეგის დამსახურება უყურადღებოდ არ დარჩა იმპერიის მთავრობას და როდესაც რუსეთის გამარჯვების შემდეგ, 1879 წელს, აჭარის დელეგაცია პეტერბურგში ჩავიდა, შერიფ-ბეგს რუსეთის იმპერატორმა პირადად უთხრა – არ დავივიწყებ ომის დროს შენს მიერ გაწეულ სამსახურსო და სახელმწიფო ხაზინიდან 15 ათასი მანეთი ოქროთი გადასცა. შერიფ-ბეგი ამ პერიოდში სახელმწიფო სამსახურში შტაბ-ოფიცრის ხარისხით მსახურობდა; მას დაენიშნა მისი ჩინის შესაფერისი პენსია; თანაც გამოეცხადა, რომ თუ ვინიციობაა, აჭარა ისევ ოსმალთს დარჩა და თქვენ იძულებული გახდით აქაურობა დატოვოთ, რაც ამ მხარეში მამული გაქვთ, იმდენივე მამული მოგეცემათ რუსეთის იმპერიაშიო. შერიფ-ბეგს ეკუთვნოდა: ყარსის ოლქში 400 დესეტინა საშენი ტყე, შიგ ყარსშივე სავაყუფო (მეჩეთებისათვის შეწირული), დუქნები, აჭარის სავაყუფო (საეკლესიო), სოფლები: ხულო, დიდაჭარა, დოსხევი, ალმე და საზაფხულო საძოვრები. ყოველივე ამას ოსმალეთის სულთნების ფირმანებითა და ქართველ მეფეთა მიერ ბოძებული გუჯარებით ფლობდნენ შერიფ-ბეგის წინაპარნი და როგორც მათი კანონიერი მემკვიდრე, თავად შერიფ ბეგიც.

აჭარა რუსეთმა დაიპყრო თუ არა, რუსეთის მთავრობამ შექმნა კომისია, რომელმაც 1883 წელს განიხილა აჭარის სამამულო საქმეები და დაადგინა: აჭარის მამულები ოსმალების ხელში სახელმწიფო ქონებას წარმოადგენდა და მამასადამე, ახლაც სახელმწიფო ქონებად უნდა დარჩესო. შერიფ-ბეგის საკუთრებად მხოლოდ 16 დესეტინა მიწა ცნეს. 1889 წელს, როცა უკვე გენერალ-მაიორი იყო, მან მთავრობას კვლავ მიმართა თხოვნით თავისი მამულების თაობაზე, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ სიცოცხლეში არაფერს არ მოსწრებია.

1892 წელს შერიფ ხიმშიაშვილი მიწვეული იყო პეტერბურგში, რუსეთის სამეფო კარზე. იგი იქ გაცივდა, დაავადდა და იმავე წელს გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად, მისი ნეშტი შვილებმა აჭარაში გადმოასვენეს. დაკრძალულია თავის საზაფხულო აგარაკზე ქოჩახში.

შერიფ-ბეგს დიდი ოჯახი ჰყავდა. დარჩა 20 შვილი (11 ვაჟი და 9 ქალი).

ძეები: 1) აბას ბეგი, მილიციის მაიორი (გ. 1890), 2) მურთაზ-ბეგი (გ. 1876, ხულოში), 3) ისა-ბეგი, მილიციის მაიორი, ახალციხის მაზრის დისტანციის უფროსი, 4) ჯემალ-ბეგი არმიის

კავალერიის როტმისტრი, 5) ზეჟერია-ბეგი, 6) თემურ-ბეგი, 7) ყაია-ბეგი, 8) მუსტაფა-ბეგი, 9) ჰაშიმ-ბეგი, 10) ჯაფარ-ბეგი, 11) იზეთ-ბეგი.

ქალიშვილები: 1) ილდიზ-ხანუმა (გათხოვდა სტამბოლში), 2) ნიზამა-ხანუმა (შავშეთში გათხოვდა ნური-ბეგ ხიმშიაშვილზე), 3) ზეინაბ-ხანუმი (შავშეთში გათხოვდა), 4) სონა-ბატი (ბატი, ე. ი. ბატონი), 5) ვერა-ბატი, 6) ასია-ბატი, 7) ნეუ-ჰიზა-ბატი, 8) სარა-ბატი, 9) ფატიმა;

ზოგიერთი ცნობით შერიფ-ბეგი პეტერბურგში ქრისტიანულად მოინათლა და ნათლობის სახელად ალექსანდრე ეწოდა, ნათლის – იმპერატორ ალექსანდრე II პატივსაცემად.

შერიფ-ბეგის შვილები – ისა ბეგი, თემურ ფაშა და ჯემალ ფაშა, რუსული განათლების მიუხედავად, პირველი მსოფლიო ომის დროს და შემდგომაც, რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

შერიფ-ბეგის მეოთხე, ყველაზე ახალგაზრდა მეუღლე, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე III მეუღლის, მარია ფეოდოროვნას ბიძაშვილი იყო. მარია ფეოდოროვნა კი ინგლისის დედოფლის ვიქტორიას და გახლდათ. გერმანელი მეუღლისაგან შერიფს შეეძინა ქალიშვილი — ვერა-ბატი (ანუ ბატონი), რომელიც 1890 წელს იონა მეუნარგიას მონათვლინა. ისინი სხალთაში არიან დასაფლავებულნი. შერიფ-ბეგის ცოლისა და შვილის საფლავები გაკეთებულია რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე III მეუღლის მარია ფეოდოროვნას მიერ.

სოფელ სხალთაში (ხულოს მუნიციპალიტეტი), სახლში, რომელშიც XIX საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა შერიფ ხიმშიაშვილი, გახსნილია მისი სახელობის მუზეუმი.

შერიფ ხიმშიაშვილმა და მისმა შთამომავლებმა პირნათლად შეასრულეს – მათი წინაპრის სელიმ ხიმშიაშვილის (შერიფის ბაბუა) ანდერძი, რომელიც წარმოთქვა ღალატით შეპყრობილმა თავის მოკვეთის წინ – „მართალია მე თავს მჭრით, მაგრამ გეტყვით გურჯისტანი ოსმალს სამუდამოდ მაინც არ შეგრჩებათ. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებო“, – და მათ მართლაც გმირულად გააგრძელეს სელიმის საქმიანობა.

საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და სამხარეთმცოდნეო განყოფილების მთავარი ბიბლიოგრაფი ირმა გოგიტიძე

26 მაისი - დამოუკიდებლობის აღდგენის დღე

1918 წლის 26 მაისს მეფისნაცვლის ყოფილი სასახლის თავზე საქართველოს ეროვნული დროშა აფრიალდა.


117 წლის შემდეგ ერმა მოიპოვა ნანატრი თავისუფლება!!!

1917 წლის რუსეთში მომხდარ ბურჟუაზიულ რევოლუციას მონარქიის დამხობა და იმპერიის დაშლა მოჰყვა. საქართველოში ამავე პერიოდში შეიქმნა ეროვნული საბჭო, რომელიც, ფაქტობრივად, ქვეყანას მართავდა. ეროვნული საბჭოს დადგენილების 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. რესპუბლიკის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე ჟორდანიძე.

1919 წლის დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი დღესასწაული - „26 მაისის“ ზეიმი.

„ნოე ჟორდანიძემ შემოიარა აღლუმში მონაწილეობისათვის გამზადებული სამხედრო ნაწილები და მიმართა მათ: „გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავს და იმედი მაქვს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავთ საქართველოს დამოუკიდებლობას! გაუმარჯოს! - გაისმა ერთსულოვანი „ვაშა!“.

„სამი წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით, ვიდრე ჩვენი მონობის ასი წელი“ - წერდა კონსტანტინე გამსახურდია.



ნოდარ დუმბაძის შემოქმედება

ძვირფასო მკითხველო, როდესაც მსოფლიო პანდემიის პერიოდში გვიწევს დისტანციურად მუშაობა, გთავაზობთ გავიხსენოთ ფაქტები ნოდარ დუმბაძის ცხოვრებიდან.

ნოდარ დუმბაძე განსაკუთრებული გაბედულობით წერდა ღმერთზე, უფლის სიყვარულსა და ღოცვის ძალაზე. ის ყოველთვის ამბობდა “სიყვარული თავად არს ღმერთი და თუ სიყვარული შენთან არს, შენთან არს ღმერთი” და ეს იმ დროს, როცა მწერალი ბევრს კომუნისტი ეგონა.

ნოდარ დუმბაძე არა მარტო თავის ნაწარმოებებში, არამედ რეალურ ცხოვრებაშიც მართლა ესაუბრებოდა ზღვას, ხეებს, თავის ძალს უყვებოდა ამბებს და შვილებსაც ასწავლიდა, რომ მზეს ამოსვლისას უნდა მიესალმო და ჩასვლისას დაემშვიდობო, რომ ზღვას გამარჯობა უნდა უთხრა.


მწერლის ქალიშვილი ქეთი დუმბაძე მამასთან დაკავშირებით საინტერესო და უცნობ ისტორიებს იხსენებს:

„მამას ცენზურის არ ეშინოდა. სულ ამბობდა, ისეთი ცენზორები მყავს სახლში, აღარავისი მეშინიაო.“ – მანანა სულ ეუბნებოდა, გაგიჟდი, მამა, რეებს წერო. ყველა წინადადების ბოლოს ღმერთზე საუბრობს, ვითომ ხუმრობით, ვითომ შემთხვევით, ღმერთმა გიშველოს, ღმერთმა დაგლოცოს, სტუმარი ღვთისაა. ამის დამკვიდრება და ყველაფერში ღმერთის ძიება მართლა გამბედაობაა. როცა მამა ამბობდა, რომ მზე მიყვარს, ზღვას ველაპარაკებო, ეს სიმართლე იყო. მართლა მინახავს, მამა როგორ ელაპარაკებოდა ხელაპყრობილი და მეგონა, რომ მზეს ელაპარაკებოდა. როცა გულრიფშში ჩავდიოდით, სულ მეუბნებოდა, მიდი ზღვასთან და მიესალმე, უთხარი, რომ ჩამოხვედიო. ან მეტყოდა, ღამე აუცილებლად დაჯექი და მზე რომ ჩადის, დაემშვიდობე, დილას სათევზაოდ რომ მოდიხარ ჩემთან ერთად, მზე რომ ამოდის, მიესალმეო. წყალში მუხლებით მაყენებდა და მეტყოდა, დილას შეეხვეწე მზეს, რომ ამოვიდესო. გვიან მივხვდი, რომ ეს ყველაფერი ღოცვა და ვედრება იყო. ამას მამა ყოველდღე აკეთებდა. ძალს მართლა ელაპარაკებოდა, ამბებს არ უყვებთან ძალს, მურადას საშუალებით სიყვარულს არ უხსნიან მერის, ძაღლები სიკვდილის წინ არ ეუბნებიან ილარიონს, არ ინერვიულო, ილარიონ, ძაღლი კოჭლობით არ კვდებაო. ეს სიკვდილთან საუბარი იყო ძაღლის ენით. ეს ყველაფერი ძალიან გვიან

გავანალიზე და გვიან მივხვდი, რომ ღმერთს ესაუბრებოდა. “მარადისობის კანონსა” და “თეთრ ბაირალებში” როცა გამოცხადებებია, როცა მზეს მიყვება, როცა მზესთან ერთად თეთრ ბაირალს გადმოფენს, იქ უკვე ყველაფერი გაშიფრულია. თუ ოდნავ მაინც ჩახედულია ადამიანი, უკვე გასაგებია, რომ ეს ღმერთია. “თეთრი ბაირალები” მთლიანად 10 მცნებაზეა აგებული.

პ.ს. ნოდარ დუმბაძემ ლოცვაც თავისებური იცოდა: “ზუნების ძალავ, შემოქმედო ყოვლისა, შენ გაუთენე ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლოს ბედნიერი ახალი წელი. განკურნე ყოველგვარი სენისაგან, მიეცი ჯანი მრთელი, ღონე შლეგი, ნიჭი შენი და უკვდავება შენი. დააშთე თვალი ყოველი მოშურნე მისი. საუკუნოდ დაგმანე ყური, მსურველი და მსმენელი მისი სიავისა. გაახმე ხელი ყოველი აღმართული მისი სიცოცხლის ხის მოჭრის სურვილად. დალოცე აკვანი, კალთა და ძუძუ საქართველოსი, ქართველი ხალხის მშობელისა. აავსე სახლი ყოველი მშრომელისა მზითა და სითბოთი, ბედელი პურიტ, მარანი ღვინით, ახორი საქონლით, კერია ფრინველით და გული სათნოებით. ააჟრიამულე ეზო-კარი ყოველი ქართველისა ბადიშებით, შვილიშვილებითა და მათი შვილებით. დაუშრეტელ მდინარედ იდინე ბედნიერება ჩემს ქვეყანაში. არ მოუშალო გონიერი ერისკაცი და მწყემსი ჩემს საქართველოს. ნატვრისთვალი დაუდე ამ ახალი წლის ღამით სასთუმალს ყველა მშრომელს, რათა დილით ადგეს, ნახოს და მამულის უკვდავება ინატროს. მიიღე მამულო, ეს ლოცვა!”

მთავარი ბიბლიოთეკარი - ნანა გოგელია



პირველი ქართული ჟურნალი

მოგესალმებით ძვირფასო მკითხველებო. პანდემიის გამო, ჩვენი ბიბლიოთეკა დროებით ისევ დაკეტილია, მაგრამ ბიბლიოთეკის თანამშრომლები ვცდილობთ დისტანციურად მოგემსახუროთ და მოგაწოდოთ საინტერესო მასალები და ისტორიები.

დღეს მინდა შემოგთავაზოთ პირველი ქართული ჟურნალის წარმოშობის ისტორია.

პირველი ქართული ჟურნალი „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ 1832 წელს აღმოცენდა. ის დამოუკიდებელი გამოცემა არ იყო და ითვლებოდა გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ ლიტერატურულ განყოფილებად.

ჟურნალის მხოლოდ 5 ნომერი გამოვიდა. ხელმომწერთა სიმცირის გამო შეწყვიტა არსებობა. იმ დროს ხელმომწერთა საერთო რაოდენობა სხვადასხვა გამოცემებზე ნაწილდებოდა. მისი გამომცემელია სოლომონ დოდაშვილი, რომელიც ამავდროულად ჟურნალის შემდგენელი და გამმართავიცაა. მას მასალის განლაგება და შერჩევა საკუთარ თავზე ჰქონდა აღებული.

„სალიტერატურო ნაწილნის“ ცალკე რედაქტორი არ ჰყოლია. რადგან ეს ჟურნალი „ტფილისის უწყებანის“ განყოფილებად მიიჩნეოდა, ხოლო ამ გაზეთს რედაქტორად სოლომონ დოდაშვილი ჰყავდა, ამდენად „სალიტერატურო ნაწილნიც“ მისი საერთო რედაქტორობით გამოდიოდა. ჟურნალი გარეგნულად კარგად იყო გაფორმებული. შედგებოდა 12 ფურცლისგან, ანუ 24 გვერდი იყო ნაბეჭდი. თავფურცელზე ყველგან იყო აღნიშნული გამოცემის წელი, ნომერი და თვე.

ჟურნალი უნდა მომსახურებოდა ქართულ ენას, ქართულ ლიტერატურას, ქართული განათლების აღორძინებასა და 1832 წლის შეთქმულებას. სოლომონ დოდაშვილი ჟურნალის მიზნის შესახებ ამბობდა - „სალიტერატურო ნაწილნი“ გამოდის „ენის გამდიდრებისათვის, მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის.“



მან

პირველ ქართულ ჟურნალში გვხვდება პროზის, პოეზიისა და კრიტიკის განყოფილებები. მასალების შესადგენად იყენებდნენ სხვადასხვა ქართულ ხელნაწერებს, „ქართლის ცხოვრებას“, ასევე ვახტანგ ბაგრატიონის გამოცემულ ისტორიას, პუშკინის ნაწერებს, რუსულ ჟურნალ-გაზეთებს, ზეპირგამოცემებსა და სხვა. მასალები დიდი ხნის განმავლობაში გროვდებოდა. ჟურნალის მესვეურნი ბევრს ცდილობდნენ ავტორთა კოლექტივის შემოკრებასა და მომრავლების შესახებ.

„სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებანთაში“ მსჯელობა იყო ქართული ენის წარმოშობის, მშობლიური სწავლა-აღზრდის, თეატრისა და სხვათა შესახებ. ის მკითხველს არაერთ ინტერესს აღუძრავდა და ზოგ რამეში მაშინდელი საზოგადოების მაჯისცემას ძლიერად აგრძნობინებდა. ჟურნალის მნიშვნელობა კულტურული და ლიტერატურული როლით განიზომება. ის ასევე ქართული საზოგადოების ყურადღებას თურქი და ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ რაზმავდა. საქართველოს გმირული და მაღალკულტურული წარსულიდან მნიშვნელოვანი ფაქტების ამეტყველება, ფართო მკითხველამდე დაყვანა - შემოქმედებითი მუშაობის გაჩაღებისათვის იყო გამიზნული.

XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში არც ერთი ქართული პერიოდული ორგანო არ ყოფილა თანამედროვეთა ისეთი ფართო მსჯელობის საგნად ქცეული, როგორც „სალიტერატურო ნაწილნი“.

ჟურნალის თითოეული ნომერი დღესაც აღტაცებას იწვევს მაღალი ლიტერატურულ-ჟურნალისტური კულტურით, გემოვნებით, მრავალფეროვნებით, გაბედულებით, პატრიოტულ-მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნებით. ის არაფრით არ ჩამოუვარდება XIX საუკუნის II ნახევრის საუკეთესო გამოცემებს და „საქართველოს მოამბის“ პირდაპირი წინაპარია.

ჟურნალის გამოცემის შეწყვეტის შემდეგ ქართველ ერს თავისი ჟურნალი კარგა ხანს არ ჰქონია.

სოლომონ დოდაშვილის გამოცემათა მნიშვნელობა განუზომელია ქართული ჟურნალისტიკის, საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის განვითარებაში.

მთავარი ბიბლიოთეკარი მანანა ყაჭიშვილი

„საინტერესო ფაქტები მწერლების შესახებ“

მოგესალმებით ჩვენო მონატრებულო მკითხველებო.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა აგრძელებს დისტანციურ მუშაობას. გახსენებთ სხვადასხვა მწერლებსა და მათ შემოქმედებას, გთავაზობთ საინტერესო საგანმანათლებლო წერილებს, გიყვებით მნიშვნელოვანი თარიღების შესახებ.

უცხოური ლიტერატურის განყოფილებაც თქვენთანაა და გთავაზობთ რუბრიკის გაგრძელებას „საინტერესო ფაქტები მწერლების შესახებ“, როგორც ავლნიშნეთ თითოეული მწერალი გამოირჩევა თავისებურებებით (ხასიათი, ჩვევა და ა.შ.), რომლებიც ხანდახან ერთგვარ გავლენას ახდენს მათი ნაწარმოებების შექმნაში. გადაავლეთ თვალი იქნებ აღმოაჩინოთ თქვენი საყვარელი მწერლის ცხოვრებისეული უცნაური ფაქტი.

ჯეკ კერუაკმა (ამერიკელი ნოველისტი) თავისი რომანი "გზაზე" ერთი გრძელი ფურცლის გრაგნილზე დაწერა, რომლის სიგრძე 120 მეტრი იყო.

როცა 1922 წელს მარსელ პრუსტი (ფრანგი მწერალი) და ჯეიმს ჯოისი (ინგლისელი მწერალი) ერთმანეთს შეხვდნენ; სადილის ფონზე მხოლოდ საკუთარი ალიმენტების შესახებ საუბრობდნენ; მოგვიანებით კი აღიარეს, რომ არცერთი არ იცნობდა ერთმანეთის შემოქმედებას.

ამბოზენ, ოსკარ უაილდს და ერნესტ ჰემინგუეის (ამერიკელი მწერალი) ბავშვობაში დიდი ხნის მანძილზე გოგოს კაბებს აცმევდნენ.

ჯეიმს ჯოისს (ინგლისელი მწერალი) ყველაზე ძალიან ამ ქვეყნად ძაღლებისა და ჭექა-ქუხილის ეშინოდა, ამასთანავე ვერ იტანდა ძეგლებს.

ვიქტორ ჰიუგოს (ფრანგი მწერალი) ნაწარმოებში "საბრალონი" გამოყენებულია ყველაზე გრძელი წინადადება, რომელიც ოდესმე დაბეჭდილა და 823 სიტყვას შეიცავს.

ჯეკ ლონდონი (ინგლისელი მწერალი) სოციალისტი იყო და ამასთანავე ისტორიაში პირველი მწერალი, რომელმაც თავისი შრომით მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

ტრუმან ტეპოტე (ამერიკელი ნოველისტი) არასოდეს იწყებდა ან ამთავრებდა ნაწარმოებს პარასკევ დღეს და ასევე არასოდეს ჩერდებოდა სასტუმროს იმ ნომერში, რომლის ტელეფონის ნომერსაც რიცხვი 13 ერიო.

აგათა კრისტს (ინგლისელი მწერალი) სასტუმროში ყოფნისას ყოველთვის თან ჰქონდა თოკი, რათა ხანძრის შემთხვევაში ევაკუაცია საკუთარი ძალებით მოეხდინა.

ამბობენ, რომ შექსპირი თითქოს ბრაკონიერობით იყო გატაცებული, ნადირობდა ირმებზე სერ თომას ლუისის სამფლობელოში ყოველგვარი ნებართვის გარეშე.

ვიქტორ ჰიუგო (ფრანგი მწერალი) 1862 წელს, როცა მისი წიგნი "საბრალონი"



გამოიცა, შვებულებაში იმყოფებოდა; მას ძალიან აინტერესებდა ხალხის რეაქცია მის ნამუშევარზე და გამომცემლობას დეპეშა გაუგზავნა უბრალოდ კითხვის ნიშანი "?" - გამომცემელმა კი წიგნის პოპულარობის შესახებ რომ ეცნობებინა, მწერალს პასუხად ძახილის ნიშანი "!" მიწერა. ეს ალბათ მსოფლიო ისტორიაში ყველაზე

მოკლე მიმოწერა იყო.

ფრანც კაფკა (გერმანულენოვანი მწერალი) ნუდისტურ პლაჟზე დადიოდა თუმცა, ისე არ გამოიყურებოდა, როგორც ამ პლაჟზე უნდა ევლო; მას "კაცი საცურაო კოსტუმით" შეარქვეს.

ვირჯინია ვულფმა (ინგლისელი მწერალი) ყველა თავისი ნაწარმოები ფეხზე დგომისას დაწერა.

ჯეინ ოსტინმა (ინგლისელი მწერალი) "სიამაყე და ცრურწმენა"-ზე მუშაობა 21 წლისამ დაიწყო, თუმცა გამომცემლებმა მის გამოცემაზე უარი თქვეს და რომანი 15 წლის შემდეგ გამოიცა.

მოლიერი (ჟან-ბატისტ პოკლენი) (ფრანგი დრამატურგი) სცენაზე გარდაიცვალა, როცა როლს ასრულებდა საკუთარი პიესიდან. ბედის ირონია ისაა, რომ ის ჰოპოხონდრიაკის როლს თამაშობდა.

ინგლისელი მწერალი ჯონ რონალდ როუელ ტოლკინი ("ბეჭდების მბრძანებლის") ავტორი დროდადრო მეომარივით იცმევდა ხოლმე და საკუთარ მეზობელს საბრძოლო ყიჟინით მისდევდა ქუჩაში.

ეს საინტერესო ამბები მწერლებზე თქვენთვის შეაგროვა საჯარო ბიბლიოთეკის უცხოური ლიტერატურის განყოფილების უფროსმა ქეთევან ხოსრუაშვილმა.

ბათუმში გავრცელებული ეპიდემიისადმი მიძღვნილი წიგნები

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა, მისი ყველა განყოფილება, აგრძელებს დისტანციურ რეჟიმში მუშაობას თქვენთვის, ჩვენი ერთგული მკითხველებისათვის, რათა შეგიძლებუქოთ დროებით ბიბლიოთეკაში ვერ მოსვლის დისკომფორტი.



პანდემიები და ეპიდემიები, სხვადასხვა ვირუსული თუ ინფექციური დაავადებების სახით, დასაბამიდან სტუმრობდნენ ჩვენს პლანეტას არა საპატიო სტუმრის, არამედ არასასურველი, დაუპატიჟებელი სტუმრის სტატუსით. სხვადასხვა დროის მეცნიერები თუ მკვლევრები სხვადასხვაგვარად ებრძოდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს: იკვლევდნენ, სწავლობდნენ მათ ბუნებას, მათი წარმოშობისა და გავრცელების მიზეზებს, იგონებდნენ სამკურნალო წამლებს, დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინებს.

წერდნენ სტატიებს, ნარკვევებს აქვეყნებდნენ შრომებს და ხშირ შემთხვევაში ამარცხებდნენ მათ.

ამ წერილით არ მინდა თავს მოგახვიოთ დაავადებების შესახებ მეცნიერული მსჯელობები, ისედაც გადაღლილი გული და ნერვები გადაგიღალოთ. მინდა გაუწყოთ, ჩვენი ძირითადი წიგნსაცავის უნიკალურ ფონდში მოგვეპოვება გასული საუკუნეების ბათუმში გავრცელებული ეპიდემიისადმი მიძღვნილი წიგნები :

Д.М. Очерк холерной эпидемии 1892 года въ г.Батумъ

Одесса 1893 г.

ТРУДЫ Малярійной Комиссіи Общества врачей въ Батумѣ

Батумъ 1913 Г.

იმ დროის ბათუმზე, ამ დაავადებებზე, მათთან ბრძოლის ხერხებზე, ბათუმში მოღვაწე უცხოელი თუ ქართველი ექიმების ღვაწლზე, აჭარაში მედიცინის განვითარების ისტორიაზე და ბევრ საინტერესო საკითხზეა საუბარი პროფესიით ექიმის, ჩვენი კუთხის მემკვიდრის, უბადლო მკვლევარის რამაზ სურმანიძის წიგნში:

რეგიონული მედიცინის განვითარება საქართველოში წიგნი I

შოთა გუჯაბიძის - კინორეჟისორის, ფოტოკოლექციონერის, საზოგადოება „ბათომის“ დამფუძნებლის ძალიან საინტერესო წიგნში „ბათომი,“ რომელიც XIX და XX საუკუნის პირველი მესამედის ბათუმს გვაცნობს, ერთი წერილი მიძღვნილია ექიმი ტიმოლეონ ტრიანდაფილიდისისადმი. მისი ჩამოსვლა ბათუმში დაემთხვა ცნობილ პანდემიებს. ღირსეულმა ექიმმა თავის მეუღლესთან ერთად მიზნად დაისახა ბრძოლა გამოცხადებინათ მალარიისა და ქოლერის ეპიდემიებისთვის. მათ თავიანთი სიცოცხლე სასწოროზე დადეს, უამრავი ადამიანი გამოსტაცეს სიკვდილს.

დღესდღეობით ახალი COVID-19 ვირუსი დაგვატყდა თავს და სრულიად შეცვალა ჩვენი ცხოვრების წესი. მეცნიერები, ექიმები თავგამოდებით ებრძვიან მას. მუშაობენ შესაბამისი მედიკამენტების თუ საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნაზე. ძალ-ღონეს არ იშურებენ დაავადებული ადამიანების გამოსაჯანმრთელებლად, თუმცა სიკვდილიანობასაც ვერ აღწევენ თავს.

ყველაზე კარგი წამალი ამ დაავადებასთან საბრძოლველად ხელისუფლებისა და მედიკოსების მოწოდება - „დარჩით სახლში!“ იყო. ახლა როცა საგანგებო მდგომარეობა დასასრულს უახლოვდება, მეტი გონიერება გვმართებს. ცოტა კიდევ გავიჭივროთ, დავიცვათ ჩვენთვის კარგად ცნობილი რეკომენდაციები და დაველოდოთ სასურველ შედეგს. კორონა ვირუსი ან აღიგვება პირისაგან მიწისა, ან ჩვენ ვისწავლით მასთან ერთად ცხოვრებას. მის წინააღმდეგ შექმნილი პრეპარატები და ვაქცინები კი დროთა განმავლობაში მას ჩვეულებრივ რიგით დაავადებად გადააქცევენ.

ძირითადი წიგნსაცავის განყოფილება

ნინო ვაშაყმაძე

ბორის აკუნინის - ლევიათანი

1956 წლის 20 მაისს დაიბადა მწერალი, იაპონისტი და მთარგმნელი - ბორის აკუნინი. (ნამდვილი სახელი და გვარი გრიგორი შალვას ძე ჩხარტიშვილი) მხატვრულ ნაწარმოებს აქვეყნებს ბორის აკუნინის ფსევდონიმით.

1958 წელს ჩხარტიშვილების ოჯახი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. გრიგორიმ 1973 წელს მოსკოვის 36-ე ინგლისური სკოლა დაამთავრა. სკოლის დამთავრების შემდეგ



სწავლა გააგრძელა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის აზია-აფრიკის ქვეყნების ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. აქვს ისტორიკოს-იაპონიისმცოდნის დიპლომი.

თარგმნის მხატვრულ ლიტერატურას ინგლისური და იაპონური ენებიდან რუსულზე. ჩხარტიშვილის თარგმანით გამოცემულია შემდეგი ავტორების ნაწარმოებები: იუკიო მისიმა, კენძი მარუიამა, მასაჰიკო სიმადა, კობო აბე, ცინიტი ჰოსი, ტაკეში კაიკო.

2009 წლის 29 აპრილს ბორის აკუნინი ამომავალი მზის მეოთხე ხარისხის ორდენის კავალერი გახდა. 2009 წლის 10 აგვისტოს რუსეთისა და იაპონიის კულტურულ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისთვის იაპონიის მთავრობამ სახელმწიფო პრემია მიანიჭა.

პოპულარობა მწერალს მოუტანა ისტორიულ-დეტექტიური რომანების სერიამ - ერასტ ფანდორინზე.

დღეს წარმოგიდენთ ამ რომანების სერიის ერთ-ერთი წიგნის - „ლევიათანი“-ს მოკლე ანოტაციას:

1878 წლის 15 მარტს გრენვილის ქუჩაზე, პარიზში ჩადენილია სასტიკი მკვლელობა. მოკლულია ლორდი ლიტლბი, მისი ორი შვილი და შვიდი მსახური. დამნაშავეს სახლიდან არაფერი წაუღია, გარდა შივას პატარა სკულპტურისა და ნაქარგი ხელსახოცისა. რამდენიმე დღეში შივას ქანდაკებას სენის ფსკერზე იპოვიან. როგორც ჩანს, მთელი საიდუმლო ამ

ნაქარგ ხელსახოცში იმალება... კომისარი გოში იწყებს ამ საქმის გამოძიებას, რომლის კვალს ხომალდ „ლევიათანზე“ მიჰყავს, სადაც გამჭრიახი ერასტ ფანდორინიც მგზავრობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოროტება დაუსჯელი არ დარჩება... ბორის აკუნინი არც ამჯერად ღალატობს თავის პოსტმოდერნულ ხერხს -- ლიტერატურული ალუზიებით თამაშის სტილს: წიგნის პირველსავე თავში წარმოდგენილია გაზეთ „რევიუ პარიზიენის“ სტატია, რომლის ავტორს ჰქვია „ჟ. დიუ რუა“, რამაც უნდა გაგვახელოს უნიჭო ავანტურისტი ჟორჟ დიურუა, მთავარი გმირი გი დე მოპასანის რომანიდან „ლამაზი მეგობარი“. ბორის აკუნინის რომანების სერიის: „ერასტ ფანდორინის თავგადასავლების“ მესამე რომანი „ლევიათანი“ (ჰერმეტიული დეტექტივი), რომელიც 2006 წელს ავტორის ნებართვით თარგმნა - მიხო მოსულიშვილმა.

დოკუმენტური მოთხრობა - „გზა“

#იკითხეთჩვენთან #ახალიწიგნები

დღეს წარმოგიდგენთ განხილვა-ანალიზს ახალი, დოკუმენტური მოთხრობისა - „გზა“, //წარმოსახვით - დოკუმენტური მოთხრობა და ნატურალური სოფლის მეურნეობისა და პერმაკულტურის მოკლე ცნობარი.// რომლის თანაავტორები არიან: გია რაზმაძე, ვაკო წერეთელი და ირაკლი ლომოური.

...სიამოვნებით წავიკითხე დოკუმენტური მონათხრობი „გზა.“ დამაფიქრა და კიდევ ერთხელ დავუბრუნდი, კიდევ ერთხელ წავიკითხე სრულად და ყურადღებით: არც შენიშვნები გამომიტოვებია. მოკლედ ჩავუღრმავდი. მეორედ წავითხვაც კარგი აზრი იყო. დავფიქრდი და რა გითხრათ-შემეცოდა მიწა, ადამიანები, საკუთარი თავიც, ბავშვები, ხე, ტყე, მინდორი, ჩემი მუდმივად ხუმარა და საშინლად ენაწყლიანი მეზობლებიც. და დავიწყე ყველაფერი თავიდან. ამ ადამიანებს ყველაფერზე თავისი აზრი აქვთ, თავისი წარმოდგენა, ამიტომ ყველა ჩემი მცდელობა ამეხსნა რაღაც, უშედეგოდ მთავრდებოდა. არა, თითქოს ყველა გეთანხმება, მაგრამ თავისი არგუმენტები აქვთ. ისინი მამა-პაპურ, უკვე ნაცად ხერხს უფრო ენდობიან. დავეკითხე პროფესიით აგრონომს... მისი პასუხი ასეთი იყო: არის ლოგიკა მაგ შემოთავაზებაში, მაგრამ მე ვერ გავრისკავ, ამ მიწის შემოსავალზე ვართ მთელი ოჯახი დამოკიდებულიო. ამ კამათმა და აზრთა გაცვლა-გამოცვლამ მიმახვედრა, გამაგებინა-აქედან არაფერი გამოვიდოდა. გავბრაზდი! ...ადამიანები ყოველგვარი ხერხითა და მცდელობით ეჭიდებიან მიწას, ლამის სული ამოხადონ და თავად მისთვის არაფრის გაკეთება არ სურთ. არ ესმით რომ ეს ყველაფერი მათ ცხოვრებაზე აისახება. იციან არსებობს საფრთხეები, რომლის არსებობისა სჯერათ, მაგრამ დაუდევრად იცილებენ თავიდან ამაზე ფიქრს და აგრძელებენ თანაცხოვრებას ამ საფრთხეებთან. ისინი წამლავენ მიწას, გარესამყაროს, ისიც გესლსა და შხამს აფრქვევს, მაგრამ ეს შხამი სწრაფმოქმედი არ არის და ეს ადამიანებიც დაუდევრად აგრძელებენ საკუთარი ჯანმრთელობისა და ეკოსისტემის რღვევას. არავინ ფიქრობს იმაზე რა იქნება ხვალ.

ამ მოთხრობის მთავარი ღირსება ის არის რომ გეხმარება სამყაროს აღქმაში, მარტივად და გასაგებად ცვლის შენს დამოკიდებულებას ბუნების მიმართ, საკუთარი თავისა და ადამიანების მიმართ.


წიკითხეთ და მოუსმინეთ საკუთარ გულისთქმას. ეს მონათხრობი შენთვისაა. გიყვარდეს მიწა, ტყე, ველი-მიიღე მისგან, რაც გეკუთვნის, მაგრამ ნუ აქცევ მას მკვლელად. აი, ეს უნდა შენგან ამ დოკუმენტური მონათხრობის ავტორებს: გია რაზმაძეს, ვაკო წერეთელს, ირაკლი ლომოურს. მადლობა მათ, ამ გაკვეთილებისთვის. ძალიან დროული არის და საჭიროც.

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მთავარი ბიბლიოთეკარი - ელენორა ძიგუა.



წიგნი - "ანტიკულინარიული რეცეპტები"

ჩვენო ერთგულო მკითხველო! კორონა ვირუსთან დაკავშირებით ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა დისტანციურ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას.



ამჯერად მინდა გაგაცნოთ პოლონეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი რეჟისორის, მწერლის და მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის ლაურეატის - ელენე ამირეჯიბი - სტავინსკას წიგნი "ანტიკულინარიული რეცეპტები". იგი 2011 წელს დაბრუნდა საქართველოში და ძმისშვილთან რუსუდან ამირეჯიბთან ერთად პოლონურიდან ქართულად თარგმნა ეს წიგნი.

ამ ძალიან თბილ, ერთდროულად მხიარულ და ნაღვლიან წიგნში, არამარტო დოკუმენტური პროზა ენაცვლება ლირიკულ ჩანახატებს, სინამდვილე

ფანტაზიას, იუმორი სატირას ქართული კერძების რეცეპტების ფონზე, არამედ მძაფრად შეიგრძნობა მე-20 საუკუნის 20-30-40-50-ანი წლების სისხლიანი ქარტეხილები, ქართული საზოგადოების დაცემის და აღმაფრენის, გმირობის და ღალატის, ღირსებისა, რომელმაც თაობები გადაარჩინა.

"ანტიკულინარიულ რეცეპტებ" - ში მოყვანილ სხვადასხვა ქართული კერძების რეცეპტებს მოსდევს მოგონებები, როდესაც საქართველოში იყო "ძველი კარგი დრო" და რომ ეს დრო დასრულდა 1921 წელს ბოლშევიკების შემოჭრასთან ერთად. შემდეგ კი იწყება "ანტიკულინარიული" ამბები :სიცივე, მუდმივი შიში, ღამის აყვანები, ტოტალური დასმენები, ზიზღი მოაზროვნე ინტელიგენციისადმი. მიუხედავად ყოველივე ამისა არსებობას განაგრძობდა საზოგადოება, რომელიც აზროვნებდა, ცოცხლობდა იმედით და

ქმნიდა შედეგებს. ამ წიგნში შეიგრძნობა მთელი ეპოქა.... ეპოქის შემოქმედნი კი გმირები და ანტიგმირები, კონკრეტული და გამოგონილი პერსონაჟები არიან.

ეს წიგნი "ანტიკულინარიული რეცეპტები", რომელიც პოლონეთში მკითხველთა აღიარებით და კრიტიკოსთა პრემიით დაჯილდოვდა და დიპლომირებული იქნა 2007 წლის საუკეთესო წიგნად. - ქალბატონ ელენეს აღსარებაა, მადლიერების გამოხატვაა წინაპრების და სამშობლოს მიმართ, მასში ქართული სისხლი ჩქეფს, მისი ფიქრი კი მიმართულია სამშობლოს საუკეთესო მომავლისკენ. წიგნი მთავრდება ავტორის ლოცვით "მაღალო ღმერთო, დაიფარე საქართველო და პოლონეთი ყოველგვარი კატაკლიზმებისაგან... ომისა და შიმშილისაგან, წყალდიდობისა და გვალვისაგან, ხანძრებისა და ეპიდემიებისაგან და აგრესორებისაგან...

ძვირფასო მკითხველო თქვენთან ერთად მალე შევალეთ ბიბლიოთეკის კარებს. აი მაშინ კი გაიხსენეთ, რომ უამრავ საინტერესო წიგნებთან ერთად სამკითხველო დარბაზში გელოდებათ ელენე ამირეჯიბი - სტავინსკას ძალზედ საინტერესო წიგნი "ანტიკულინარიული რეცეპტები".


კულტურული პროგრამების და სამკითხველო დარბაზებით მომსახურების განყოფილების მთავარი ბიბლიოთეკარი მერი მალაყმაძე.

ეტელ ვოინიჩი - კრაზანა

მოგესალმებით ჩვენო ძვირფასო მკითხველებო!

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა განაგრძობს თქვენთან დისტანციურ მუშაობას. გთავაზობთ ინფორმაციებს აქტუალურ თემებზე, გესაუბრებით მწერლებზე, სხვადასხვა ჟანრის წიგნებზე და ა.შ. უცხოური განყოფილებაც ჩართულია ამ მუშაობაში.

მინდა გესაუბროთ ინგლისელ მწერალ ეტელ ლილიან ვოინიჩზე (ეტელ ლილიან ბული), რომელიც 1864 წლის 11 მაისს ირლანდიის ქალაქ კორკში დაიბადა. იგი რამდენიმე რევოლუციური წამოწყების მხარდამჭერია. 1893 წელს ლილიანი ცოლად გაყვა პოლონელ რევოლუციონერს. ვოინიჩი ცნობილია რომანით "კრაზანა", რომელიც პირველად 1897 წელს აშშ-ში გამოქვეყნდა, შემდეგ ბრიტანეთში. რომანი ეხება საერთაშორისო



კი-

რევოლუციონერის ბრძოლებს იტალიაში. განსაკუთრებით პოპულარული საბჭოთა კავშირში გახდა, სადაც ის მოწინავე ბესტსელერად იქცა. ისტორიკოს რობინ ბრიუს ლოკჰარტის მიხედვით, რუსეთში დაბადებული საიდუმლო აგენტი სიდნი რეილი, რომელიც მუშაობდა ლონდონში 1895 წელს ეტელ ლილიან ვოინიჩს შეხვდა. ამ დროისათვის ლილიანი გავლენიანი ფიგურა იყო ვიქტორიანულ ლიტერატურაში და რუს ემიგრანტთა წრეებში.

ლოკ ჰარდი ამტკიცებდა, რომ ვოინიჩსა და რეილს შორის ფლირტი იყო და იტალიაში ერთად იმოგზაურეს. ამ ფლირტის დროს რეილიმ აშკარად "გააშიშვლა სული თავის საიდუმლოებების წინაშე" და ლილიანს რუსეთში გატარებული თავისი უცნაური ახალგაზრდობის შესახებ მოუყვა. ურთიერთობის დასრულების შემდეგ ვოინიჩმა სწორედ მაშინ გამოაქვეყნა "კრაზანა". მიუხედავად ამისა, რეილის ბიოგრაფი ენდრიუ კუკი არ ადასტურებს ამ ვერსიას და ამტკიცებს, რომ რეილი ინფორმაციას ვოინიჩის რადიკალურ, რუს ემიგრანტთა სასიკეთო საქმიანობების შესახებ პოლიციის განყოფილება "Special Branch"-ის თანამშრომელს აწვდიდა. "კრაზანა" ქართულად ითარგმნა 1926 წელს. წიგნში

მოთხრობილია ერთი ჭაბუკის ისტორია, რომელსაც უყვარდა, სწამდა, მაგრამ ბედის უკუღმართობამ ყველაფერი უცნაურად წარმართა. უფრო კონკრეტულად: არტური ერთი შეხედვით უბრალო ბიჭია, რომელსაც მამა-შვილური ურთიერთობა აქვს მის მოძღვარ მონტაელთან, მაგრამ სიყვარული შეიცვლება, როდესაც შეიტყობს, რომ მონტაელი მისი არამარტო სულიერი, არამედ ბიოლოგიური მამაა. ქრება მისი სიყვარული და სიყვარული ღმერთის მიმართაც უკვალოდ ქრება... არტური წერილს ტოვებს, სადაც მონტაელს აუწყებს, რომ სუიციდით გადაწყვიტა სიცოცხლის დასრულება. არტური ქრება, მაგრამ იბადება კრაზანა, რომელიც საშინელ ქმედებებს სჩადის იტალიის წინააღმდეგ. იგი მონტაელის შესახებ საშინელებებს წერს გაზეთებში. მისი ვინაობა არავინ იცის, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მიუხედავად დაგროვილი ბრაზისა მაინც სიგიჟემდე უყვარს მამა. წიგნს ტრაგიკული დასასრული აქვს. დღეს ათასობით გოგონა და ჭაბუკი კითხულობს წიგნის მთავარი პერსონაჟის-კრაზანას ბრძოლისა და ვაჟკაცური სიკვდილის ამბავს. იგი გმირობისა და სულიერი სიმტკიცის მაგალითია. 3 საინტერესო ციტატა წიგნიდან:

- "როცა ადამიანები მოინდომებენ თავისუფლები გახდნენ, ფარი განა მაშინ შესაძლებელია, ვინმემ დაიმონოს ისინი?!"

- "წარსული სიკვდილს ეკუთვნის, შენ კი- მომავალი.

- "ცოცხალი ვარ და კუდს ვაქნევ- კუდს ვაქნევ უკანასკნელად... ხვალ დილით კი Finita La Komedia". ვოინიჩი გარდაიცვალა 1960 წელს 96 წლის ასაკში ნიუიორკში. ვოინიჩის გარდაცვალების მომენტისათვის წიგნის უამრავი ეგზემპლარი იყო გაყიდული, 1928 წელს საბჭოთა საქართველოში გადაიღეს ფილმი "კრაზანა"; კომპოზიტორმა დიმიტრი შოსტაკოვიჩმა დაწერა რომანსი "კრაზანა". რომანს საჯარო ბიბლიოთეკის თაროებზეც იხილავთ.

#იკითხეთრვენთან უცხოური ლიტერატურის განყოფილების უფროსი -
ქეთევან ხოსრუაშვილი.

სელიმ ხიმშიაშვილი

მოგესალმებით ჩვენო ძვირფასო მკითხველებო!

მსოფლიოში პამდეშია მძვინვარებს; ჩვენს ქვეყანაშიც შექმნილ მდგომარეობასაც ჩვენი უსაფრთხოების გამო ვეგუებით და თვალს ვუსწორებთ რეალობას.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა განაგრძობს დისტანციურ მუშაობას და არ ადუნებს თქვენს ყურადღებას. ამჯერად გთავაზობთ ახალ რუბრიკას „ღირსეული მამულიშვილები“

სელიმ ხიმშიაშვილი

XVIII საუკუნის საზოგადო მოღვაწე სელიმ ხიმშიაშვილი დაიბადა 1715 წელს. მშობლები: მამა - აბდულ-ფაშა, დედა - კესარია გურიელი. მისი შთამომავლები ნაწილი საქართველოში, ნაწილი კი თურქეთსა და საფრანგეთში ცხოვრობდნენ.

მე-18 საუკუნის დამლევიდან გაძლიერდა ოსმალეთის იმპერიის დაშლის პროცესი. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებას თან მოჰყვა ქვეყნის დეცენტრალიზაციის პროცესი. განდგომის ტენდენციებმა თავი იჩინა ე.წ. „სამაჰმადიანო საქართველოში“, კერძოდ, ახალციხის საფაშოშიც.

1755 წელს სელიმმა სტამბოლის სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა და აჭარას მაიორის წოდებით დაუბრუნდა. მამის, აბდულ-ბეგის სიკვდილის შემდეგ, სელიმი სათავეში ჩაუდგა სახალხო განმანთავისუფლებელ ბრძოლას. თავიდან იგი, აჭარის მმართველი, დროთა განმავლობაში ახალციხის ფაშა გახდა. მას საიდუმლო კავშირები ჰქონდა ერეკლე II-თან. ის იბრძოდა, რომ აჭარა ჩამოეშორებინა ოსმალეთისათვის და დედასაქართველოს დაბრუნებოდა. 15 წლის განმავლობაში, მან შეძლო დაერწმუნებინა ოსმალეთის ხელისუფლება, რომ იყო მისი ერთგული, მაგრამ ამავე დროს რუსეთის ხელისუფლებასთან არ წყვეტდა კავშირს. ოსმალებმა გაიგეს მისი საიდუმლო ურთიერთობების შესახებ, დაიწყეს მისი დევნა. რუსებმა სელიმი არ შეიფარეს, ამით ოსმალების გულის მოგება განიზრახეს. გენერალი რტოშევი ოსმალებს წერდა: „ჩვენ მას არ შევიფარებთ, ის არის ურჩი მთავარი და გვირჩევნია ჩვენ თქვენთან გვქონდეს კარგი ურთიერთობა“. სელიმი იძულებული გახდა თავი შეეფარებინა საგვარეულო ციხესიმაგრეში - ხიხანის ციხეში, თავის მეზრძოლებთან და ოჯახის წევრებთან ერთად.

მაღალი ციხის ქონგურებიდან კარგად მოსჩანდა სოფლები, სადაც ოსმალები სასტიკად უსწორდებოდნენ მოსახლეობას, წვავდნენ სახლებს. საბოლოოდ ციხე მაინც

გატყდა, ისიც შიგნიდან და ღალატით. სელიმს უახლოესმა თანამებრძოლმა, ციხისთავმა შირინმა უმტყუნა. ქრთამის და თანამდებობის საფასურად, მან ღამით ხიხანის ციხის კარები გახსნა და მტერი მძინარე სელიმს თავს დააყენა. 1815 წლის 31 მაისს სელიმ ხიმშიაშვილი შეიპყრეს და სოფელ ბაკოში ჩამოიყვანეს. სერიყანას ფერდზე, სადაც დღეს წყარო გადმოსჩქეფს, ჯარისა და ადგილობრივი მცხოვრებლების თანდასწრებით, 3 ივნისს სელიმს თავი მოჰკვეთეს.

გადმოცემის თანახმად, 1815 წლის 3 ივნისს, სელიმ ხიმშიაშვილს სოფელ ბაკიბაკოში, კერძოდ სერიყანაში, როცა თავს ჰკვეთდნენ, სიკვდილის წინ უთქვამს: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით - გურჯისტანი სამუდამოდ ოსმალს არ შერჩება. იმის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებ“.

სელიმის, როგორც პატრიოტი მამულიშვილისა და პოლიტიკური მოღვაწის ეს პოლიტიკური ანდერძი შთამომავალთა სამოქმედო პროგრამად იქცა. 1877 წელს, როცა კავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედებები დაიწყო, სელიმ ბეგის შვილიშვილი შერიფ ხიმშიაშვილი ჩაერთო ბრძოლაში ოსმალეთის წინააღმდეგ.

სელიმ ხიმშიაშვილმა, „სამუსლიმანო საქართველოს“ ქართველ პოლიტიკოსთა შორის, პირველმა ოფიციალურად უარყო სულთანისადმი მორჩილება და რუსეთის მფარველობაში შესვლით, სცადა აჭარისა და მთელი სამცხე-საათაბაგოს განთავისუფლება. ამით სელიმ ხიმშიაშვილმა ხელი შეუწყო ოსმალთა ბატონობის დასუსტებას, მოსახლეობის ეროვნულ-პატრიოტული თვითშეგნების ამაღლებას და განმანთავისუფლებელი მოძრაობის ზრდას აჭარაში.

სელიმ ხიმშიაშვილის თავი, სავარაუდოდ, სტამბოლის დიდგვაროვანთა სასაფლაოზეა დაკრძალული, ხოლო ტანი კი ზემო აჭარაში, სოფელ ნიგოზულში.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან გათავისუფლების ბრძოლის წინამძღოლის სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული აღსასრულიდან 200 წლისთავთან დაკავშირებით, ბათუმში, სელიმ ხიმშიაშვილისა და ბაგრატიონის ქუჩების კვეთაში არსებულ სკვერში სელიმ ხიმშიაშვილის ბიუსტი (ავტორი დავით ბოლქვაძე) გაიხსნა,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 21-ე აუდიტორიას სელიმ ხიმშიაშვილის სახელი მიენიჭა და საზეიმოდ გაიხსნა, დაწესდა სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის სტიპენდია.


ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკიბაკოელთა ინიციატივით, 2005 წლის 19 დეკემბერს, სელიმ ხიმშიაშვილის დაბადებიდან 250 წლისთავზე დაფუძნდა „სელიმოზა“. პირველი „სელიმოზა“ 2006 წლის 3 ივნისს ჩატარდა. ამ დღის შემდეგ, აღნიშნული დღესასწაული ღირსეული მამულიშვილის ამაგისა და ღვაწლის დასაფასებლად, ყოველწლიურად იმართება.

მთავარი ბიბლიოგრაფი მელანო ჟღენტი



წიგნი „საქართველო და ქართველები“

მოგესალმებით ჩვენო მკითხველებო. ჩვენ ისევ ვრჩებით სახლში, მაგრამ ამ დროის განმავლობაში ვცდილობთ დისტანციურად მოგაწოდოთ ახალი ინფორმაციები, რჩევები



ამა თუ იმ წიგნზე. დღეს მინდა გაგაცნოთ ერთი საინტერესო წიგნი „საქართველო და ქართველები“. საქართველოსა და ქართველებზე უამრავი რამ დაწერილა-კარგიც და ცუდიც. ბევრ უცხოტომელს ისე შეჰყვარებია ეს ქვეყანა და მისი ხალხი, რომ საკუთარ სამშობლოდ უცნია და სამუდამოდ აქ დარჩენილა. ბევრი წასულა, მაგრამ დაბრუნებულა, რადგან ანდამატივით იზიდავდა ეს მხარე. ბევრიც შურიტა და ბოლმით ავსილა აქაურ მკვიდრთა ხელგაშლილობის, სიმამაცის, სილაღის, ნიჭიერების შემხედვარე და მტრად გადაჰკიდებია ხალხსაც და ქვეყანასაც..... ასე იწყება ეს არაჩვეულებრივი წიგნი,

რომლის ავტორები არიან : ზაზა აბაშიძე, მიხეილ ბახტაძე და ოთარ ჯანელიძე. აქვე ვკითხულობთ, თუ რას წერდნენ ქართველ ხალხზე:

ფრანგი არქეოლოგი და მოგზაური ბარონ დე ბაი წერდა: „ამ ხალხს თუ დაუახლოვდები, მათში დაინახავ მომხიბვლელ პოეზიას, გასაოცარ და უზომო სიმამაცეს, დიდებისა და სახელის მოხვეჭის სურვილს, რაც ასე ამაღლებთ მათ“.

ჟაკ დე ვიტრი წერდა: „ეს ერი არის მეტად მებრძოლი, ომში მამაცი, მძლავრი აღნაგობის და ძლევამოსილი.... ამ ხალხს ქართველებს უწოდებენ“.

რუსი დიპლომატი ა. ვოლინსკი აღნიშნავდა: „მთელ ირანში საუკეთესო სამხედრო ძალად ქართველთა ჯარი მიმაჩნია, ქართველები ნამდვილი მეომრები არიან“.

ალ. დიუმა წერდა: „ევროპაში წარმოდგენაც არა აქვთ ქართველთა სილამაზეზე. განსაკუთრებით ლამაზი ტანადობა და სიარული აქვთ მამაკაცებს, სულ უბრალო მსახურსაც კი თავადიშვილის იერი აქვს“.

დიდი ფილოსოფოსი ემანუელ კანტი წერდა: „ყველა ევროპელი რომელიც საქართველოში მოხვედრილა, ერთხმად ლაპარაკობს ქართველი ქალიშვილების გამორჩეულ მშვენიერებაზე“.

ფრანგი მოგზაური და ვაჭარი ჟან შარდენი წერს: „ასეთი ქვეყანა არსად არის, სადაც შეიძლებოდეს ამისთანა კარგი სანოვავის შოვნა, როგორც საქართველოში“. და ა.შ.

წიგნში მოთხრობილია საქართველოს მდგომარეობა სხვადასხვა დროში, ქართველები სხვათა ომებში, დავითის, თამარის, ილიას ეპოქა, ქართველთა სულიერი და მატერიალური ყოფა, საქართველო 1918-1921 წლებში და ა.შ. წიგნში ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით გადმოცემულია ჩვენი ქვეყნის ისტორია უძველესი დროიდან XX საუკუნის 90-იან წლებამდე.

იქნებ დაგაინტერესოთ და როცა წაკითხვის საშუალება მოგეცემათ, მინდა იცოდეთ, რომ ეს არის ნებისმიერი ასაკის მკითხველისათვის გასაგები ნაშრომი საქართველოს წარსულზე.

კულტურული პროგრამების და სამკითხველო დარბაზებით მომსახურების განყოფილების უფროსი - მაია ჩხატარაშვილი

ჰაინრიხ ბიოლის შემოქმედება

#დარჩითსახლში

მოგესალმებით ჩვენო ძვირფასო მკითხველებო!

მსოფლიოში პამდეშია მძვინვარებს; ჩვენს ქვეყანაშიც შექმნილ მდგომარეობასაც ჩვენი უსაფრთხოების გამო ვეგუებით და თვალს ვუსწორებთ რეალობას.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა განაგრძობს დისტანციურ მუშაობას და არ ადუნებს თქვენს ყურადღებას. უცხოური ლიტერატურის განყოფილებაც თქვენთანაა. ვსაუბრობთ უცხოელი მწერლების შემოქმედებაზე, ვიხილავთ სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებს.

ამჯერად მინდა გესაუბროთ გერმანელი მწერლის — ჰაინრიხ ბიოლის შემოქმედებაზე; გაგაცნობთ მწერლის მოკლე ბიოგრაფიას.

ჰაინრიხ ფიოდორ ბიოლი-გერმანელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; მიღებული აქვს თითქმის ყველა დასავლეთ გერმანული ლიტერატურის პრემია. მისი ნაწარმოებები თარმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე; ნაწარმოებებში ასახულია ომის, ანტიფაშისტური და ანტიმილიტარისტული თემები. მწერალი დაიბადა 1917 კათოლიკურ ოჯახში. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს კლასიკურ გიმნაზიაში, რომლის დამთავრებაც ბიოლს მაშინ მოუწია, როდესაც გერმანიაში ნაცისტური დიქტატურა დამყარდა. მას ნაციონალურ-სოციალიზმისადმი ბავშვობიდანვე პასიური პროტესტის გრძნობა ჰქონდა ჩამოყალიბებული. ბიოლი დურგლად მუშაობდა, შემდეგ ბუკინისტური წიგნების მაღაზიაში. იგი ლექსებსა და მოთხრობებს სკოლაშივე წერდა. 1930 წელს უნივერსიტეტში ჩაირიცხა, შემდეგ ჯარში გაიწვიეს. იბრძოდა საფრანგეთში; შემდეგ უკრაინის ფრონტზე. 1942 წელს ომის დროს იქორწინა ანა-მარია ჩეხზე. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა იწყება 1947 წლიდან. მისი პირველი რომანია "სად იყავი, ადამ?" მასში სჭარბობს ომგამოვლილი კაცის ფრონტული მოგონებები და რელიგიური თემატიკა. მომდევნო ნაწარმოებებში "და არ უთქვამს არცერთი სიტყვა", "უკაცო სახლი", "ადრეული წლების პური" უკვე მისი თანამედროვე გერმანიაა ასახული. ეს რომანები ყველიან უმამოდ დარჩენილ ბავშვებზე, ქვრივებზე, ომის ჭრილობებზე. მწერლის ცნობილი რომანებია "კლოუნის თვალთახედვით" და "უკაცო სახლი".

ორიოდე სიტყვით მინდა გაგახსენოთ რომანი „უკაცო სახლი“, სადაც ასახულია მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დასავლეთ გერმანია, როდესაც წარსულს ჩაბარდა

შიმშილის დრო, ქვეყანამ პირველი ნაბიჯები გადადგა ეკონომიური სასწაულის გზაზე, მაგრამ დარჩნენ ტრავმირებული და დაბნეული ადამიანები. რომანში დიდი ადგილი უჭირავს პერსონაჟთა მოგონებებს; მთავარი გმირები არიან ბავშვები მარტინ ბახი და ჰაინრიხ ბრილახი. ბავშვები სხვადასხვა სოციალურ გარემოში იზრდებიან. მარტინის დედაა ქვრივი ნელა ბახი, რომელსაც მეუღლე დაეღუპა. ნელასთან ერთად ცხოვრობს რაიმუნდის მეგობარი ალბერტი, რომელიც მარტინზე ზრუნავს. მწერლის ოსტატობა მაინც ისაა, რომ ეს ბანალური სამყარო, ჩვეულებრივი ყოფა სხვა კუთხით დაგვანახოს, რათა კიდევ უფრო შეგვძრას და დაგვაფრთხოს ცხოვრების იდუმალეობამ.

ბოლოს მინდა შემოგთავაზოთ ერთ-ერთი ამონარიდი "მკითხველის ბლოგიდან": "უკაცო სალი" ისეთი წიგნია, შინაარსს ორი წინადადებით რომ მოჰყვები, კითხვით 300 გვერდს ჩაათავებ და სრული საქაჯეთის მერე მიხვდები, რომ სახლი უკაცოა - მამა ომში დაიღუპა და ფოტოზე ერთ ასაკში გაიყინა.

ჩვენო მკითხველებო, ჰაინრიხ ბიოლის ნაწარმოებები საჯარო ბიბლიოთეკის წიგნის თაროებზეცაა.

#იკითხეთჩვენთან.

საჯარო ბიბლიოთეკის უცხოური ლიტერატურის
განყოფილების უფროსი ქეთევან ხოსრუაშვილი.



პირველი ქართული გაზეთი

ჩვენო ძვირფასო მკითხველებო, რადგან ბიბლიოთეკის კარი დროებით თქვენთვის დაკეტილია, ამ დროის მანძილზე ყველა ბიბლიოთეკარი იზრუნებს იმაზე, რომ დისტანციურად მოგაწოდოთ ახალი ინფორმაციები, რჩევები ამა თუ იმ წიგნზე, მოისმენთ დისტანციური კითხვის ვიდეო ჩანაწერებს, წაიკითხავთ ჩვენს გვერდზე მწერლების, პოეტების და საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფიულ ცნობებს, წაიკითხავთ საინტერესო ცნობებს სხვადასხვა ქვეყნების ბიბლიოთეკების ისტორიიდან.

ქართველმა ერმა უაღრესად მძიმე პირობებში შექმნა თავისი საამაყო სულიერი კულტურის შესაფერი პრესა.

1819 წელს დაარსდა. მას ჯერ „საქართველოს გაზეთი“, ხოლო შემდეგ „ქართული გაზეთი“ ეწოდებოდა. ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემათა ისტორია „ქართული გაზეთით“ იწყება. ის ერთადერთი პერიოდული გამოცემა იყო იმდროინდელ საქართველოში.

გაზეთის გამოცემის იდეა 1818 წელს წამოიჭრა და მაშინვე შეუდგნენ მზადებას, როგორც შესაფერისი მუშაკების მონახვა-შერჩევისთვის, ასევე გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოგვარების შესახებ. გაზეთის დაბეჭდვა ცოტა დაგვიანდა ხელმომწერთა სიმცირის გამო, საბოლოოდ გაზეთი 1819 წლის 8 მარტს გამოვიდა.

„საქართველოს გაზეთს“ გამომცემელთა მთელი ჯგუფი ხელმძღვანელობდა. თუ ვინ იყო პირველი რედაქტორი ეს საკითხი დღემდე გაურკვეველია. აშკარაა, რომ გაზეთს ხელმძღვანელობს კავკასიის კორპუსის შტაბის მმართველობა. „საქართველოს გაზეთის“ სტამბა კავკასიის საკუთრება იყო და იქვე ამავე ჯარების შტაბის სახლში იყო გამართული.

გაზეთის რედაქციას, გარდა მასალების ლიტერატურული დამუშავებისა, ჯერ უნდა ეთარგმნა რუსულ ენაზე ყველა შემოსული კორესპოდენცია. აგრეთვე უნდა ეთარგმნა საჭირო მასალა უცხო ენიდან, ხოლო შემდეგ გამართული გაზეთი ქართულ ენაზე უნდა თარგმნილიყო და დაბეჭდილიყო.

იმ ხანებში მოქმედებდა 1804 წლის საცენზურო წესდება, რომელიც ცენზორისაგან მოითხოვდა ფხიზელსა და დაუზარელ თვალყურის დევნებას პერიოდიკაზე. ცენზორის როლში გვევლინება მთავარმართებელი ერმოლოვი და მისი მოხელეები.

„ქართული გაზეთი“ ყოველკვირეული ორგანო იყო და გამოდიოდა პარასკეობით. გაზეთის წლიური ფასი 3 მანეთი და 20 კაპიკი იყო. გაზეთის ეს ფასი გამომცემლებს არ მიაჩნდათ ძვირად, მაგრამ მოსახლეობას მისი შეძენა უჭირდა. ამასთან ბევრა არ იცოდა რა იყო გაზეთი, ზოგმა წერა-კითხვაც არ იცოდა და ხელმომწერთა მოგროვება საკმაოდ რთული იყო.

1819-21 წლების გაზეთი ოთხგვერდიანი გამოცემა იყო. თითო გვერდი გაყოფილი იყო ორ-ორ სვეტად. 1820 წლიდან გაზეთს გაუჩნდა წმინდა გიორგის გერბი. გაზეთი პოლიტიკურ-ლიტერატურული პერიოდული ორგანოს როლს ასრულებდა.

პირველ ქართულ გაზეთს მოსახლეობისთვის უნდა გაეცნო ხელისუფლების „განწყესებანი და განკარგულებანი“, მოსაზღვრე ქვეყნების ამბები, ახალი მიღწევები ცხოვრების სხვადასხვა დარგში, ცნობები ლიტერატურის სამყაროდან. მეფის მოხელეები გაზეთის დაარსებისას გარკვეული მიზნებით ხელმძღვანელობდნენ. მათ გაზეთის საშუალებით საკუთარი ინტერესების დაცვა სურდათ. ქართული საზოგადოება კი ქართულ გაზეთს მიზნად უსახავდა, რომ მას მკითხველისათვის სამშობლოს საკეთილდღეო სხვადასხვა ცოდნა მიეწოდებინა.

ქართულ გაზეთში გამოქვეყნებული მასალა თავისი შინაარსით სხვადასხვა საკითხს ეხებოდა. თითოეული მათგანი თავისი ღირებულებებით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. გაზეთი, როგორც ოფიციალური ორგანო, მხარს უჭერდა მეფის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მსჯელობს სოფლის მეურნეობაზეც. ის გარკვეულ მასალას იძლევა იმდროინდელ კლასთა უთანასწორობისა და ამ კლასებს შორის მიმდინარე ბრძოლის შესახებ. გაზეთში გამოხატულება ჰპოვა იმ ბრძოლამ, რომელიც მიმდინარეობდა ყრმებსა და მებატონეებს შორის საქართველოში. ქართულ გაზეთში ქვეყნდებოდა მასალები 1820 წლის იმერეთ-გურიის აჯანყების შესახებაც. აქ გვხვდება მსჯელობა საერთაშორისო საკითხებზეც. გამოქვეყნებულია ცნობები ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, თურქეთის, საბერძნეთისა და სხვათა შესახებ.


სხვა მრავალ საკითხთა შორის ქართული გაზეთის გამომცემელნი თავიანთ ფურცლებზე იმაზეც მსჯელობდნენ თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა განათლებას საზოგადოებისთვის და ამ მხრივ რა როლის შესრულება შეეძლო გაზეთს. გაზეთი აფართოებდა საზოგადოებრივ ცოდნის არეს და ამასთან ხელს უწყობდა ქართული

ჟურნალისტიკის განვითარებას. ლიტერატურული ცხოვრებიდან გაზეთი აქვეყნებდა პატარ-პატარა მოთხრობებს, ბეჭდავდა მოსწრებულ სიტყვებსაც ანუ ნაკვესებს.

პირველმა ქართლმა გაზეთმა 1821 წლის ბოლომდე იარსება. გაზეთის გამოცემა შეწყდა ხელმომწერთა სიმცირის გამო.

„ქართულმა გაზეთმა“ როგორც ინფორმაციულ-პოლიტიკურმა გამოცემამ თავისი სიტყვა თქვა აზროვნების ჩამოყალიბებაში და საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ ჟურნალისტიკაში.


მთავარი ბიბლიოთეკარი მანანა ყაჭეიშვილი



"ერთი ცოლი და უამრავი ქალი"

ინტერვიუ ზურაბ გორგილაძის მეუღლე ლეილა დავითაძესთან - #წაიკითხე და #გაიგე ბევრი სახალისო და ნაკლებად ცნობილი ფაქტი პოეტის ცხოვრებიდან.

სტატია 2008 წელს დაიბეჭდა გაზეთ "აჭარაში", იმავე წელს წიგნში "მათზე წერდა აჭარა I".



პუბლიკაციის ავტორი შეეცადა განსხვავებული რაკურსით წარმოეჩინა დიდი ზურაბ გორგილაძის პიროვნება.

ინტერვიუ ზურამ გორგილაძის მეუღლესთან, ლეილა დავითაძესთან, პოეტის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ ჩაიწერა.

სერიით "დრო და ადამიანები" წიგნი "მათზე წერდა აჭარა" პირველად 2008 წელს დაიბეჭდა. წიგნში შესულია სხვადასხვა დროს, გაზეთ "აჭარაში" გამოქვეყნებული პუბლიკაციები ჩვენს კუთხეში მოღვაწე ცნობილ ადამიანთა შესახებ.

თავის დროზე, პროექტის ავტორებს, მასალების შეგროვებაში დიდ დახმარება გაუწიეს ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკისა და ხარიტონ ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებმა.

პროექტის ფარგლებში სულ გამოიცა სამი წიგნი. თითოეულ მათგანში შესულ საინტერესო პუბლიკაციებს შეგიძლიათ გაეცნოთ ჩვენს ბიბლიოთეკაში.

☞ გაეცანით სტატიას ☞

"ერთი ცოლი და უამრავი ქალი"

■ ამბობენ, რომ ხელოვანებს უცნაური ცხოვრება აქვთ. იმ ადამიანებს, რომლებიც წლების განმავლობაში მათ გვერდით არიან, ვფიქრობ, საინტერესო დეტალების მოყოლა შეუძლიათ.

გაზეთ „აჭარის“ დღევანდელი სტუმარი დიდი ზურაბ გორგილაძის მეუღლე ლეილა დავითაძეა. იგი სიამოვნებით დათანხმდა ჩვენთან ინტერვიუს და ბევრი სახალისო და საინტერესო მომენტი გაიხსენა პოეტთან ოცდახუთწლიანი თანაცხოვრებიდან.

ერთმანეთს სამოცდაათიან წლებში შეხვდნენ. თუმცა, ვიდრე ერთმანეთს დაუახლოვდებოდნენ, ქალბატონი ლეილა მომავალი მეუღლის შემოქმედების უდიდესი თაყვანისმცემელი იყო.

- ეს ის პერიოდია, როცა პოეზია ზენიტში იყო, - იხსენებს პოეტის მეუღლე, - ახალგაზრდები რომ ვიკრიბებოდით, ერთმანეთს ახალი ლექსების ცოდნაში ვეჯიბრებოდით. ვიცოდი, რომ ჩემს კუთხეში ერთი პოეტი ცხოვრობდა, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდებოდა აჭარის თემატიკას. ალბათ, ამან განაპირობა მისი შემოქმედებისადმი ჩემი განსაკუთრებული დამოკიდებულება...

ლიტერატურულ სადამოებსა და სხვადასხვა დღესასწაულზე აჭარელ პოეტებთან ერთად ზურაბ გორგილაძეც ამბობდა თავის სათქმელს. ქალბატონი ლეილა არც ერთ მსგავს შეკრებას არ აკლდებოდა. სულგანაბული და აღელვებული უსმენდა მის ყოველ სტრიქონს, თუმცა მაშინ ყველაზე სანუკვარ ოცნებაშიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ ამ ბუმბერაზი კაცის გვერდით საკუთარ ადგილს იპოვიდა.

იცოდა, რომ ზურაბ გორგილაძე თავისუფალი ცხოვრების მოტრფიალე იყო, ამბებს ამის შესახებ მისი მეგობარი აწვდიდა, რომელიც პოეტის კარის მეზობლად ცხოვრობდა.

- ერთ დღეს ჩემი მეგობარი შემოვიდა და მეუბნება, რა უცნაური კაცია ეს ზურაბი, მის სახლში გათენებამდე ქეიფია და უამრავი ქალი ირევას, _ ღიმილით იხსენებს მეგობრის მონათხრობს.

ერთმანეთი საერთო მეგობართან, წვეულებაზე გაიცნეს. ზურაბ გორგილაძე თამადა იყო. ბევრი ლამაზი სადღეგრძელო და ლექსი წაიკითხა... შემდგომში შეხვედრებიც სწორედ იქ გრძელდებოდა.

- ჩვენი ურთიერთობა თებერვალში დაიწყო, ზურაბი უამრავ ნარცისებს მიგზავნიდა... მეუბნებოდა, რომ თუ ცოლად გავყვებოდი, ფუფუნებაში ვერ მაცხოვრებდა, მაგრამ ბედნიერი ვიქნებოდი... ვხვდებოდი, რომ ქალი კი არა, ცოლი სჭირდებოდა, რომელიც გაუგებდა და მოუვლიდა... მარტოობისგან იყო დაღლილი... მაგრამ, რომ წარმოვიდგენდი, ვის მოვწონდი, ბედნიერებისაგან დავფრინავდი...

ამასობაში ორი წელი გავიდა...

- მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი ზურაბი ცოლს გაცილებული კაცი იყო და ბევრი ქალი იყო მის ცხოვრებაში, საკუთარ თავს არ ვუკრძალავდი მასთან შეხვედრას. მეგობრები მეუბნებოდნენ, რომ კარგად დავფიქრებულიყავი, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას

მივიღებდი. ამას ზურაბის ცხოვრების წესიდან გამომდინარე მირჩევდნენ. თან ოჯახის წევრებიც არ იყვნენ კმაყოფილი ჩემი არჩევანით, მაგრამ მე უკვე ოცდაათი წლის ვიყავი და ვიცოდი რას ვაკეთებდი. ზურაბი ჩემთვის პირველი და უკანასკნელი სიყვარულია.

თუმცა შეუღლებიდან სულ მცირე ხანში აღმოვაჩინე, რომ ჩემი ილუზია გაქრა... ყველა ქალი ოცნებობს, მოსიყვარულე ქმარზე, ოჯახზე გადაყოლილ მეუღლეზე. ზურაბი სულ სხვანაირი იყო, სახლში საკუთარი კანონები ჰქონდა, რომელსაც უნდა დავმორჩილებოდი, ამას კი არ მოითხოვდა, მაგრძნობინებდა... მიუხედავად იმისა, რომ ერთად ვიყავით, მას მისი ცხოვრება ჰქონდა, მე ჩემი. ზურაბის სამყაროში არ იყო ჩემი ადგილი, ოჯახში კი მე ვყავდი. თავდაპირველად ამას ძალიან განვიცდიდი, მაგრამ მოგვიანებით მივხვდი, რომ ჩემი ყოფითი პრობლემებით, მისი შეწყუბების უფლება არ მქონდა... ვეჭვიანობდი, გვიან რომ ბრუნდებოდა... თანდათან მივეჩვიე განსხვავებული წესებით ცხოვრებას და უფლის საჩუქრად მივიჩნევდი ზურაბის გვერდით ყოფნას...

ქალბატონი ლეილა ღიმილით იხსენებს, როგორ უყვებოდა პოეტი საკუთარ გატაცებებზე და `სიყვარულებზე`, იცოდა, რამდენი ქალი იყო მის ცხოვრებაში, რომელი მათგანი იყო მუზა და ნამდვილი სიყვარული... მაგრამ ამის გამო რეალობიდან გაქცევა არასოდეს უცდია.

- პირველად რომ მიმიყვანა სახლში, მაგიდაზე ლამაზი ქალის სურათი ედო, ვთხოვე აეღო, გაღიმებულმა შემომხედა და მითხრა: `მე მიყურებენ ეს თვალები, შენ არ შემოგხედავენო~... მაგრამ მაინც შეინახა.

შემდეგ მეუღლეს მოუყვა იმ გოგონას შესახებ, ძალიან ჰყვარებია... როცა გათხოვილა, ბევრი უტირია. თუმცა ეს მათ შეუღლებამდე ყოფილა, მაგრამ გატაცებები და ახალი სიყვარულის ძიების სურვილი პოეტს სიცოცხლის ბოლომდე არ დაუკარგავს...

- სულ ძიებაში იყო, ამის შესახებ ხმამაღლა საუბრობდა, უკვე იმდენად შევეჩვიე მსგავს სიტუაციებს, რომ ერთად ვაფასებდით, როგორი ქალი იყო – გვიყვება ქალბატონი ლეილა, - მაგრამ როცა ამ სტრიქონებს მოგიძღვნის, პრეტენზია არაფერზე არ უნდა გქონდეს.

ერთ დღეს პოეტს მეუღლისგან 35 მანეთი უსესხებია, როგორც საღამოთი, საკმაოდ შეზარხოშებულმა, სახლში გვიან დაბრუნებულმა ცოლს აუხსნა, ერთ რუს გოგონას ფეხსაცმელი ვუყიდეო...

ხშირად სმენია მეგობრებისგან, თუ უცნობებისგან, რომ მისი ქმარი დროს სხვასთან ერთად ატარებდა... მაგრამ ამის გამო ისტერიკა არ აუტეხია.

- ერთხელ ტელეფონი რეკავს... და ვიღაც ქალი მეუბნება, რომ შენი ქმარი რუს ქალებშია, აქეთ_იქიდან მხრებზე ლამაზმანები უზის, რომ სულელი ვარ, ამას რომ ვიტან. მეც ვუთხარი, გაწი-გამოწი ეგ ქალები, იქნება შენი ადგილიც იყოს-მეთქი... მსგავსი შემთხვევა ბევრი იყო, მაგრამ ზურაბის მუზა ქალი იყო და თუ მათ დავაფრთხოვდი, ძალიან ბევრი ლექსი არ დაიწერებოდა. მე ყველაფერი დავთმე, ბევრ რამეზე ვთქვი უარი, მაგრამ უდიდესი ადამიანის გვერდით ვიცხოვრე...

ცოლ-ქმარი ზურაბ გორგილაძის მშობლიურ სოფელ გორგაძეებში ხშირად დადიოდა.

-ერთხელაც შევამჩნიე, ზურაბი დილით ერთი და იმავე დროს იღვიძებდა და აივანზე გადიოდა, თითქოს ვიღაცას ელოდებო, მაგრამ არაფერი მიკითხავს. უცებ დამიძახა და მეუბნება, შეხედე, როგორი ლამაზი გოგო მიდისო... აი, ამას ველოდები ყოველ დილით... რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ქალი მისი მუზა იყო, შეხედვის იქით საქმე არ მიდიოდა... თუმცა, მეც მომიძღვნა რამდენიმე ლექსი, მაგრამ ეს შემდეგ, როცა უკვე მისი ცოლი ვიყავი...

ჩემს ქმარს ერთი ცოლი და უამრავი ქალი ჰყავდა... ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ის მხოლოდ ერთ განზომილებაში არ ცხოვრობდა, მას ორი სამყარო ჰქონდა, სადაც ბოლომდე იხარჯებოდა, თავისთვის და სხვებისთვის. ერთგან ჩვენ ვიყავით - მე, ჩვენი შვილი, ზურაბის შვილები, მეგობრები... და უამრავი უცნობი ქალბატონი....

ქალბატონი ლეილა დღემდე ინახავს ყველა იმ ქალის სურათს, რომელმაც მისი ქმრის სული ააფორიაქა და მკითხველისთვის 16 კრებული დააწერინა. სათუთად უვლის ასევე სასიყვარულო წერილებს, რომელსაც პოეტს უგზავნიდნენ...

- ეს მისი ცხოვრების ნაწილია და მე არა მაქვს უფლება პატივი არ ვცე... მე ხშირად მქონდა იმის განცდა, რომ მეუღლის გვერდით კი არ ვიყავი, არამედ დიდი ადამიანის ცხოვრების ერთ პატარა ნაწილს შევადგენდი.

ჩვენი უსაყვარლესი პოეტის შემოქმედების პირველი შემფასებელიც თვითონ იყო. დაწერდა თუ არა, ხმამაღლა წაიკითხავდა და თუ რამ არ მოეწონებოდა, შეასწორებდა. შემდეგ მეგობრებთან გაიქცეოდა და ახალდაბადებულ ლექსს იმათ უკითხავდა. საღამოთი აუცილებლად ნაქეიფარი ბრუნდებოდა...

ცდილობდნენ ერთფეროვანი არ ყოფილიყო მათი ცხოვრება, ამიტომ ხშირად ლადო ასათიანს კითხულობდნენ...

უკვე ორი წელია მოგონებებით ცხოვრობს, დეპრესიიდან მეუღლის ლექსებს გამოჰყავს. ამბობს, რომ პოეტები არ კვდებიან, ასეა ზურაბ გორგილაძეც, მის მფარველობას ყოველ ნაბიჯზე გრძნობს... დღეს კი თვალცრემლიანი, მეუღლის სულს ავედრებს უფალს...

ეკა დავითაძე

მასალა გამოქვეყნებულია გაზეთ "აჭარაში" 2008 წელს, სტატია ასევე შესულია წიგნში „მათზე წერდა აჭარა“.

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

ჯ. პ. დილენი - წინამორბედი

ჩვენო მკითხველსო მკითხველებო, რადგან ბიბლიოთეკის კარი დროებით თქვენთვის დაკეტილია, ამ დროის მანძილზე ყველა ბიბლიოთეკარი იზრუნებს იმაზე, რომ დისტანციურად მოგაწოდოთ ახალი ინფორმაციები, რჩევები ამა თუ იმ წიგნზე, მოისმენთ დისტანციური კითხვის



ვიდეო ჩანაწერებს, წაიკითხავთ ჩვენს გვერდზე მწერლების, პოეტების და საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფიულ ცნობებს, წაიკითხავთ საინტერესო ცნობებს სხვადასხვა ქვეყნების ბიბლიოთეკების ისტორიიდან.

ჯ. პ. დილენი უგანდამი დაბადებული ბრიტანელი მწერლის ტონი სტრონგის ფსევდონიმია. მას არაერთი რომანი აქვს გამოქვეყნებული ენტონი კაპელას ფსევდონიმითაც. "წინამორბედი" შესანიშნავი რომანია. ვან-ფოლგეით სთრითი ყველასგან გამორჩეული სახლია--თანამედროვე და საიდუმლოებებით სავსე. მისი არქიტექტორიც უცნაური კაცია--უჩვეულოდ აზროვნებს, პროექტებიც

უცნაური აქვს და გარშემომყოფთაც თავისი შეხედულებებისამებრ აიძულებს ცხოვრებას.

ადრე: ვან-ფოლგეით სთრითზე ემა ცხოვრობდა და ახლა აღარ არის.

ახლა: ჯეინი დასახლდა, რომ შვილის დაკარგვის ტკივილი ამ ლამაზმა სახლმა მაინც გაუნელოს, ცხოვრება თავიდან დაიწყოს. ახალი სიყვარულიც მალე ეწვია, მაგრამ გამუდმებით ღრდნის საფრთხის შეგრძნება....რატომ, რისი ან ვისი ბრალია... ჯეინმა ეს აუცილებლად უნდა გაარკვიოს თუკი ბედნიერება და სიმშვიდე სურს.

დილენმა შექმნა შემადრწუნებელი და იმავდროულად, მომხიბლავი გარემო ვან- ფოლგეით-სთრითის სახლის სახით. რომანის წყობა, რომელიც მუდმივად ანაცვლებს დროებს და თავდაპირველად ემას, შემდეგ კი ჯეინის ამბავს გვაცნობს, ძალიან ლამაზია. წიგნი საინტერესოდ იკითხება.

წიგნი „წინამორბედი“ დამსახურებულადაა გამოცხადებული სეზონის ამაღელვებელ და დამაინტრიგებელ რომანებს შორის საუკეთესოდ. ის 41 ენაზეა თარგმნილი.

"წინამორბედი" 2017 წელს Dagger Awards-ის ნომინანტი გახდა.

აბონემენტის განყოფილების უფროსი

ნაირა მენაფირე.

„სახლიდან გაუსვლელად“

დღეს შექმნილი ვითარებების გამო, მთელი მსოფლიო სახლში გამოიკეტა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მსოფლიო შეჩერდა და მუშაობა შეწყდა. თითქმის ყველა დისტანციურ სწავლებასა და მუშაობაზე გადავიდა.

მაგრამ რა ვიცი ამ „სახლიდან მუშაობაზე“? მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დისტანციურად მუშაობა, ანუ „სახლიდან გაუსვლელად“, ფაქტობრივად, ახალი ხილია, ის საკმაოდ დიდი ხანია არსებობს; ეს კონცეფცია ჯერ კიდევ 1972 წელს ჯეკ ნილესის მიერ ჩამოყალიბდა. მან პირველმა გამოთქვა მოსაზრება იმაზე, რომ სულაც არ არის აუცილებელი ოფისში ყველა მომუშავე პირი იმყოფებოდეს მაშინ, როდესაც თანამედროვე ტექნოლოგია დღითი დღე იხვეწებოდა. მისი თეორიის შესამოწმებლად, მან ჩაატარა ექსპერიმენტები სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში, რის საფუძველზეც შეადგინა მოხსენება და მიიღო დაფინანსება ამერიკის ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან. ხელისუფლება ასევე ძალიან დაინტერესდა დისტანციური მუშაობის იდეის შემუშავებით და ამ იდეაში ქალაქებში მწვავე სატრანსპორტო პრობლემების გადაწყვეტა დაინახა. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო დისტანციური მუშაობის აქტიური დანერგვა.

დღეს, ჩვენი ქვეყანაც ნელ-ნელა ეცნობა ონლაინ სწავლებასა და მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ეს საკმაოდ რთული აღმოჩნდა, თითქმის ყველა ონლაინ პლატფორმა იხვეწება. ბავშვები ესწრებიან ონლაინ გაკვეთილებს, გამოცდებს აბარებენ, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ოფისი და დაწესებულება დაკეტილია, თითქმის ყველა ორგანიზაცია საქმიანობას ონლაინ რეჟიმში აგრძელებს. სავარაუდოდ, ამ პანდემიის დამთავრების შემდეგაც ბევრი ამ ყველაფერში დადებით მხარეს ნახავს. მაგალითად, ბევრ კომპანიას აღარ დასჭირდება დიდი საოფისე ფართის ძიება, რადგან ბევრ თანამშრომელს სახლიდან მუშაობის საშუალება მიეცემა და ფართობის ქირის ფულს დაზოგავს. ასევე, ბევრი კონფერენცია, რომლის გამო ადამიანებს ზოგჯერ ერთი დღით, ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში მოგზაურობა უწევდა, შეიძლება ონლაინ რეჟიმში ჩატარდეს. ბევრი სტუდენტი, რომელსაც პარალელურად სხვა სამსახურიც აქვს, შესძლებს ლექციებს ონლაინ რეჟიმში დაესწროს, რის შედეგადაც უნივერსიტეტში ლექციების გაცდენა არ აისახება მის აკადემიურ მოსწრებაზე.

მოგეხსენებათ, რომ ამ ტენდენციამ არც ბიბლიოთეკას აუარა გვერდი.

ჩვენ, შეძლებისდაგვარად, ვაგრძელებთ მკითხველებთან ონლაინ კონტაქტს, გარკვეულ დღეებში ვკითხულობთ ზღაპრებსა და სხვადასხვა მოთხრობებს ჩვენი პატარა მკითხველებისათვის და ვცდილობთ ჩვენი სიყვარული გადმოგცეთ და შეგინარჩუნოთ წიგნებისა და ჩვენი ბიბლიოთეკისადმი ინტერესი!

თემა მოამზადა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის მთავარმა ბიბლიოთეკარმა - ინგა კოჭიაშვილმა.



ამერიკელი მხატვრის გრანტ ვუდის ნახატი - "ამერიკულ გოთიკა"

მოგესალმებით ძვირფასო მკითხველებო! ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა დისტანციურ მუშაობას აგრძელებს და ამ პროცესში უცხოური ლიტერატურის განყოფილებაც ჩართულია. ამჯერად ამერიკელი მხატვრის გრანტ ვუდის ნახატს "ამერიკულ გოთიკას" - გაგაცნობთ, რომელიც 1930 წელს შეიქმნა და XX საუკუნის ამერიკულ ხელოვნებაში ყველაზე ცნობად ტილოდ მიიჩნევა.

გრანტ ვუდი (Grant Wood; 13 თებერვალი, 1891 – 12 თებერვალი, 1942) ამერიკელი ფერმწერი, დაიბადა ანამოსაში, აიოვა. მის ფერწერულ ტილოებზე ძირითადად შუადასავლეთის პროვინციელი ამერიკელებია ასახული. შთაგონების წყაროდ მე-19 საუკუნის ფოტოსურათებს იყენებდა და მის პერსონაჟებს ადრეული ამერიკული პორტრეტების ყაიდაზე სთხოვდა პოზირებას.


ტილოზე გამოსახულია ფერმერი სამკაპათი და ახალგაზრდა ქალი ხელოსნის გოთიკის სტილის სახლის წინ. ახალგაზრდა ქალი ვუდის და, ნენ ვუდ გრაჰამია. სახენათელი და სიცოცხლისმოყვარე გოგონა, რომელიც პოზირებდა დაღვრემილი შინაბერას როლში. ნენი კარგა ხანს ეძებდა მაღაზიებში ძველმოდურ არშიას მოჩითული წინსაფრისთვის, უწინ ფერმერების ცოლებს რომ ეკეთათ, მაგრამ ვერსად მიაგნო და მაკრატელმომარჯვებული დედის კაბებს მიადგა ასარღვევად. მერე დედისეული ბროში "პერსეფონეც" მიიბნია ყელთან და ექიმს ამოუდგა გვერდით. მამაკაცი კი ოჯახის სტომატოლოგი, ექიმი ბაირონ მაკკიბია, რომელიც საკმაოდ მხიარული ადამიანი იყო. მაკკიმი პოზირებაზე დათანხმდა იმ პირობით რომ მას ამ სურათზე ვერ იცნობდნენ. თუმცა ვუდმა სიტყვა გატეხა და პერსონაჟი ძლიერ დაამსგავსა მოდელს. განასახიერებენ მამა-შვილს თუმცა ბევრს ცოლ-ქმარი ეგონა. ვუდს სურდა მამაკაცისა და ქალის ტრადიციული როლების ასახვა, რის გამოც მამაკაცს სამკაპა უჭირავს, რაც მძიმე სამუშაოს სიმბოლოა.

ასე დაიწყო აიოველმა გრანტ ვუდმა "ამერიკული გოთიკის" ხატვა. იქამდე მისი სახელი მშობლიური შტატის საზღვრებს არ გასცდენოდა ალბათ, არც ამჯერად მოსვლია აზრად დიდების მოხვეჭა; უბრალოდ, ჩიკაგოს ხელოვნებათა ინსტიტუტის კონკურსში აპირებდა მონაწილეობას. ჩიკაგოს ხელოვნებათა ინსტიტუტმა ვუდს სამასი დოლარი გადაუხადა და „ამერიკულმა გოთიკამ“ იქვე, მუზეუმში დაიდო ბინა. ოციოდე წლის შემდეგ, გასული საუკუნის შუახანს, ნახატისადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა

– დიდი დეპრესიით ქანცგაწყვეტილმა ადამიანებმა ტილოზე ძალიან მშობლიური, ახლობელი, უტეხი და დაუმარცხებელი დაინახეს. ბოლო დროს ეს ნამუშევარი ხშირად სატირიზებულია კრიტიკოსთა მიერ, თუმცა ის მაინც რეგიონალიზმისა და ამერიკული ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშად რჩება.

საჯარო ბიბლიოთეკის “ამერიკული კუთხის” კოორდინატორი სალომე ჟორჟიკაშვილი.

#იკითხეთჩვენთან



"საინტერესო ფაქტები მწერლებზე"

მოგესალმებით ძვირფასო მკითხველებო. საჯარო ბიბლიოთეკა აგრძელებს დისტანციურ მუშაობას. გთავაზობთ საინტერესო თემებსა და ვებმნიშვნელობით ყველა აქტუალურ გამოწვევას. უცხოური ლიტერატურის განყოფილებაც კვლავ თქვენთანაა. ახლა მინდა შემოგთავაზოთ რუბრიკა "საინტერესო ფაქტები მწერლებზე". მოგეხსენებათ, ყველა მწერალი გამოირჩევა თავისებურებებით, ხასიათით, ყოფა-ცხოვრებით, სხვადასვა თვისებებით და ა.შ. ეს თავისებურებები ხანდახან გავლენას ახდენს მათ შემოქმედებით საქმიანობაზე. გთავაზობთ რამდენიმე მწერლის საინტერესო ფაქტებს:

- მწერალ ედგარ ალან პოს სიბნელის ემინოდა; პატარა ედგარს მათემატიკის გაკვეთილები სასაფლაოზე უტარდებოდა. სიღარიბის გამო მოსწავლეებს წიგნების შეძენის საშუალება არ ჰქონდათ. სასაფლაოზე კი, პედაგოგის დახმარებით, მიცვალებულის დაბადებისა და გარდაცვალების წლებს ანგარიშობდნენ.

- აგატა კრისტი დისგრაფიით (წერის უნარის დარღვევა, რომელიც არ არის დაკავშირებული ინტელექტუალურ შესაძლებლობასთან) იტანჯებოდა-ხელით წერა კი მას არ შეეძლო. ყველა მისი ნაწარმოები კარნახით დაიწერა.

- ონორე დე ბალზაკი აღმერთებდა ყავას-ერთ ღამეში ის დაახლოებით 50 ფინჯან მაგარ ყავას მიირთმევდა; იმ შემთხვევაში თუ მოდულების საშუალება არ იყო, ის უბრალოდ ყავის მარცვლებს პირში იყრიდა და უდიდესი სიამოვნებით ღეჭავდა.

- მარკ ტვენი სემუელ ლენგჰორნ კლემენსის ლიტერატურული ფსევდონიმია. ნაწარმოებებს ხშირად სხვადასხვა ფსევდონიმით აწერდა ხელს. სხვათა შორის, "მარკ ტვენი" ნავიგაციის ტერმინია და მას მისისიპელი მენავეები მდინარის სიღრმის გასაზომად იყენებდნენ. მარკ ტვენმა მოწევა 8 წლის ასაკიდან დაიწყო და უკვე მოზრდილი დღეში 20-40 ყველაზე მყრალ და იაფფასიან სიგარას ეწეოდა.

- უილიამ ფოლკნერი ახალგაზრდობაში ფოსტალიონად მუშაობდა და სამსახურიდან იმის გამო გააძევეს, რომ ზოგჯერ ადრესატის მისამართის ძებნა ეზარებოდა და წერილებს ნაგვის ურნაში ყრიდა.

- ჩარლზ დიკენსი ჰიპნოზით იყო დაინტერესებული და თავუსუფალ დროს პარიზის მორგს სტუმრობდა. ნაწარმოებს წერის თავისებურებაც ჰქონდა. მწერალს არ შეეძლო მუშაობა, თუ ოთახში ავეჯი მისი გემოვნებით არ იყო განლაგებული, ამიტომ მუშაობას

ავეჯის გადაადგილებით იწყებდა. დიკენსს არ სურდა, გარდაცვალების შემდეგ მისთვის ძეგლი დაედგათ. მწერლის ერთადერთი მონუმენტი ფილადელფიაში მდებარეობს.


- უილიამ შექსპირი 1564 წლის 23 აპრილს დაიბადა და 52 წლის შემდეგ საკუთარ დაბადების დღეზე 1616 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა. 1616 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა მიგელ დე სერვანტეს საავედრა.

- როგორც ამბობენ პარიზელები პარიზის სიმბოლოს ლითონის გიგანტს-ეიფელის კოშკს ამრეზით შეხვედრიან არც მწერალ გი დე მოპასანს ჰგვრიდა იგი სიამოვნებას, რადგან ეს ერთადერთ ადგილად მიაჩნდა მთელ პარიზში, საიდანაც "რკინის ურჩხულს"ვერ დაინახავდა.

- ერნესტ ჰემინგუეი პეირაფობიით (სახალხო გამოსვლის შიში) იტანჯებოდა; 5 ომი, 4 ავტოკატასტროფა, 2 ავიაკატასტროფა გადაიტანა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.


მინდა გითხრათ, რომ თვალი ადევნეთ ჩვენს რუბრიკას გელით საინტერესო ამბები.

უცხოური ლიტერატურის განყოფილების უფროსი - ქეთევან ხოსრუაშვილი



ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია

პირველი ქართული წიგნი დაიბეჭდა რომში 1629 წელს. ეს იყო სტეფანე პაოლინის მიერ, თეიმურაზ I-ის ელჩის ნიკიფორე ირბაქის დახმარებით შედგენილი, ქართულ-იტალიური ლექსიკონი. წიგნი დაიბეჭდა სარწმუნოების გამავრცელებელ სასულიერო საზოგადოების სტამბაში და განკუთვნილი იყო საქართველოში კათოლიკობის საქადაგებლად წამოსული მისიონერი ბერებისთვის.



მეორე ქართული წიგნი, რომელიც იმავე სტამბაში, იმავე წელს დაიბეჭდა, იყო ქართული ანბანი ლოცვებითურთ.

1643 და 1670 წლებში მისიონერმა მარიო მაჯიომ ორჯერ გამოსცა „ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც აწყობილი იყო როგორც ნუსხური, ისე მხედრული შრიფტით.

მეოთხე ქართული წიგნი რომში 1681 წელს დაიბეჭდა. 1741 წელს დაიბეჭდა დავით ტლუკაშვილის მიერ თარგმნილი და მომზადებული საქრისტიანო მოძღვრება. ამავე წელს საქრისტიანო მოძღვრების სათაურით კიდევ ერთი პატარა წიგნი გამოიცა. ევროპაში ქართული წიგნის ბეჭდვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შედეგად, ევროპელი მისიონერები დაინტერესდნენ ქართული კულტურით.

XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე გრძელდება რუსეთში, ქართველი ემიგრანტების მიერ. ამ საქმეს საფუძველი ჩაუყარა სამშობლოდან გადახვეწილმა იმერეთის მეფე არჩილ II-მ. მან მოსკოვში სინოდის სტამბასთან დაარსა ქართული წიგნთსაბეჭდი, სადაც 1705 წელს გამოსცა „დავითნი“. მას სურვილი ჰქონდა გამოეცა სახარება და ხელნაწერებსაც აგროვებდა, მაგრამ არ დასცალდა. 1713 წელს ის გარდაიცვალა. არჩილის სტამბა მის ქალიშვილს დარეჯანს დარჩა. აქ გამოცემული წიგნებიდან მნიშვნელოვანია „პირველი სასწავლო ყრმათათვის“. ის სავარაუდოდ 1732-1737 წლებში უნდა დაბეჭდილიყო. 1736-37 წლებში დარეჯანის სტამბაში ქრისტეფორე გურამიშვილი გამოსცემს რუსულ-ქართულ ანბანს ლოცვებითურთ.

1737 წელს მოსკოვში ქართულ საგამომცემლო საქმიანობას სათავეში ჩაუდგა ქართველი მთავარეპისკოპოსი იოსებ სამეხელი. მან საკუთარი ხარჯით შეიძინა დარეჯან ბატონიშვილის სტამბა, ტექნიკურად გააუმჯობესა და საკმაოდ კარგად აწყობილი სტამბა გამართა. მის უპირველეს საქმედ ქართული „დაბადების“ დაბეჭდვა იქცა. იოსებ სამეხელმა ქართული ტექსტი შეუდარა ებრაულ, სირიულ, ბერძნულ და სლავურ ტექსტებს. „დაბადების“ ბეჭდვა დაიწყო ნაწილ-ნაწილ და 1743 წლის 1 მაისს დაასრულა. ცნობილია, რომ 1737-44 წლებში მოსკოვის ქართულ სტამბაში დაიბეჭდა 11 სქელტანიანი წიგნი. ძირითადად სასულიერო ლიტერატურა.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში რუსეთში ქართული წიგნის ბეჭდვა განახლდა თბილისის მიტროპოლიტის ათანასე ამილახვრის თაოსნობით.

1796-1801 წლებში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა მოზდოვში გაიოზ რექტორის მიერ დაარსებული სტამბა.



საქართველოში პირველი ქართული სტამბა დააარსა მეფე ვახტანგ VI-მ თბილისში. მტკვრის სანაპიროზე საგანგებოდ ამისთვის აგებულ შენობაში. შეიქმნა და ჩამოისხა პირველი ქართული შრიფტი. პირველი ქართული წიგნები, რომლებიც 1709 წელს ვახტანგისეულ სტამბაში დაიბეჭდა იყო სახარება - ოთხთავი და „დავითნი“. ისინი მხოლოდ შავი საღებავით, ნუსხური შრიფტით იყო დაბეჭდილი. ვახტანგმა ნუსხური შრიფტის მაგივრად შემოიღო უფრო მარტივი მხედრული შრიფტი. სტამბაში შემოვიდა წითელი საღებავი. აქ დაბეჭდილი წიგნები ტოლს არ უდებდა ევროპაში დაბეჭდილს. უმაღლესი დონის იყო ტექნიკური თუ მხატვრული შესრულება.

1712 წელს თბილისის სტამბაში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. მას თან ახლდა კომენტარები. ეს იყო პოემის პირველი მეცნიერული შესწავლის მცდელობა.

1709-1722 წლებში სტამბაში სულ 19 წიგნი დაიბეჭდა. 1723 წელს ოსმალთა შემოჭრის გამო სტამბა დაიხურა.

ვახტანგ VI-ის შემდეგ თბილისში სტამბის განახლება ერეკლე II-მ ითავა. მისი სტამბა 1749-1802 წლებში ფუნქციონირებდა.

XIX საუკუნის დასაწყისში, კერძოდ 1803 წელს, იმერეთის მეფე სოლომონ II-ის ინიციატივით, სტამბა დაარსდა ქუთაისში. იმერეთის სტამბა 1809-1811 წლებში მუშაობდა სოფელ წესში, 1815-1817 წლებში კი - საჩხერეში. ამის შემდეგ წიგნის გამოცემა კვლავ შეფერხდა.

1836 წელს ქართული წიგნის გამოცემა თბილისში კვლავ გამოცოცხლდა. ბეჭდვითი საქმის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. გარდა თბილისისა სტამბები დაარსდა ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ოზურგეთში, ზუგდიდში, სენაკში, ხონში, გორში, სიღნაღსა და ზესტაფონში. XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის საქართველოში განვითარდა საგამომცემლო საქმე და ქართული წიგნის ბეჭდვა აღარ შეჩერებულა.

კულტურული პროგრამების და სამკითხველო დარბაზებით მომსახურების განყოფილების მთავარი ბიბლიოთეკარი მანანა ყაჭეიშვილი.

გაზეთი - „ბათუმელები“

ჩვენო ძვირფასო მკითხველებო, რადგან ბიბლიოთეკის კარი დროებით თქვენთვის დაკეტილია, ამ დროის მანძილზე ყველა ბიბლიოთეკარი იზრუნებს იმაზე, რომ დისტანციურად მოგაწოდოთ ახალი ინფორმაციები, რჩევები ამა თუ იმ წიგნზე, მოისმენთ დისტანციური კითხვის ვიდეო ჩანაწერებს, წაიკითხავთ ჩვენს გვერდზე მწერლების, პოეტების და საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფიულ ცნობებს, წაიკითხავთ საინტერესო ცნობებს სხვადასხვა ქვეყნების ბიბლიოთეკების ისტორიიდან.



„ბათუმელები“ ყოველკვირეული დამოუკიდებელი გაზეთი და აჭარაში ერთ-ერთი წამყვანი გამოცემაა. გაზეთი „ბათუმელების“ პირველი ნომერი 2001 წლის 26 მაისს გამოვიდა, რომელიც დაარსდა რამდენიმე ენთუზიასტი ჟურნალისტის მიერ. გაზეთში ობიექტურადაა გაშუქებული ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები. მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის გამო გაზეთი „ბათუმელები“ გახლავთ არაერთი პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი. სვადასხვა დროს გაზეთმა მიიღო გერმანული ფონდ ცაიტის და ნორვეგიულ გამოხატვის თავისუფლების ფონდის პრემია, „პრესის თავისუფლების პრიზი“ და პრიზი ორგანიზაციისაგან „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ გაზეთში გამოქვეყნებული საგამომიებო სტატიების გამო.

2017 წელს შპს „გაზეთი ბათუმელები“ გამოსცემს ყოველთვიურ ჟურნალს „ბათუმელებს“. ჟურნალ „ბათუმელების“ მიზანია საზოგადოების ყურადღების გამახვილება ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა: ადამიანის უფლებები, კორუფცია და ნეპოტიზმი, სიღარიბე, განათლების პრობლემები, ძალადუფლების ბალანსი სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის, ქვეყნის შიდა პოლიტიკური პროცესების ანალიზი, მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პროცესები და მათი გავლენა საქართველოზე.

ამჟამად გაზეთ „ბათუმელებს“ აქვს ახალი ამბების ქართულენოვანი ნაციონალური ვებგვერდი www.netgazeti.ge, რომლის ოფისი თბილისში მდებარეობს და ლოკალური ახალი ამბების ვებგვერდი – www.batumelebi.ge.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში არის გაზეთი „ბათუმელები“(2001 წლიდან 2017 წლამდე) და ჟურნალი „ბათუმელები“(2017 წლის სრული ვერსია) ორ-ორ ეგზემპლიარად.

კულტურული პროგრამების და სამკითხველო დარბაზებით მომსახურების განყოფილების წამყვანი ბიბლიოთეკარი ელიკო ტუღუში.

ჯეფ კინი თანამედროვე ამერიკელი მწერალი

მოგესალმებით ჩვენო მონატრებულო მკითხველებო...

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა აგრძელებს თქვენთვის საინტერესო ამბების, სტატიების, ვიდეოებისა და სხვა მასალების გამოქვეყნებას.

უცხოური ლიტერატურის განყოფილებაც უერთდება დისტანციურ მუშაობას.

ამჯერად, მინდა გესაუბროთ თანამედროვე ამერიკელი მწერლის ჯეფ კინის წიგნის "წრიპა ბიჭის დღიური"-ს შესახებ.

ჯეფ კინი თანამედროვე ამერიკელი მწერალია; გასული საუკუნის მიწურულს ეს სახელი და გვარი არაფრის მთქმელი იყო, თუმცა დღესდღეობით იგი მსოფლიოში ცნობილი ბესტსელერის "წრიპა ბიჭის დღიური"-ს ავტორია. 2009 წელს ჟურნალმა "ტაიმმა" ჯეფ კინი ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ადამიანად დაასახელა. მას საკუთარი მაღაზია აქვს. იგი ცდილობს დაარწმუნოს ბავშვები, რომ წიგნებთან გატარებული დრო უფრო სახალისოა, ვიდრე ეკრანებთან. პირველი წიგნი 2007 წელს გამოვიდა, შემდეგ მიჰყვა სერიები. მსოფლიო მასშტაბით დღეში 70000-ზე მეტი ბავშვი კითხულობს. წიგნები განსაკუთრებით მიმზიდველია ბავშვებისათვის, რომლებსაც კლასიკური ლიტერატურა ნაკლებად უყვართ; მთავარია, ბავშვებმა თავად აირჩიონ წიგნები, ეს საუკეთესო გზაა წიგნებთან დასაახლოვებლად, ამიტომ "წრიპა ბიჭის დღიური" პატარა მკითხველისათვის ხშირად "პირველი ნაბიჯია". სერიის დახმარებით ისინი ხვდებიან, რომ წიგნის კითხვა ნამდვილად სახალისოა; წიგნი მოგვითხრობს ამბებზე, რომელიც ყველა თანამედროვე მოზარდისათვის ნაცნობია: ოჯახური ურთიერთობები, სკოლა, კლასელები, მეგობრები.

ყურადღებას გავამახვილებ წიგნის სერიაზე "წრიპა ბიჭი და შენი დღიური". რაკი "წრიპა ბიჭი და შენი დღიური" გაქვს, ახლა ავტორიც შენ ხარ, მხატვარიც და მთავარი გმირიც. წიგნში ბევრ საინტერესო შეკითხვას წააწყდებით და ისეთი გვერდებიც ბევრია, სადაც შენი აზრი უნდა ჩაწერო; ჰოდა, რა გაკლია შედეგის შესაქმნელად? არაფერი! რაც გინდა, დაწერე, იღონდ რომ მორჩები, დღიური საიმედო ადგილას უნდა გადამალო, რადგან როცა მდიდარი და სახელგანთქმული გახდები, აი, ეს წიგნი თავისი წონა იქრო ეღირება. სერიების ჩამონათვალი "საუკეთესო მეგობრის დღიური", "წრიპა ბიჭი და შენი დღიური", "მწარე სიმართლე", "დიდთოვლობა" და ა.შ იმდენად მიმზიდველია

ბავშვებისათვის, რომ აახლოვებენ წიგნებთან და უყალიბებენ მათ კითხვის ჩვევას. პატარა მკითხველებო! თუ თქვენ ამ წუთას სახლში ხელთ არა გაქვთ "წრიპა ბიჭის დღიურები", თქვენ შეგიძლიათ თქვენი დღიური დაწეროთ და გაიხალისოთ ცხოვრება. ბიბლიოთეკის ფონდში დაცულია წიგნის ქართულენოვანი თარგმანი. სულ ახლახან უცხოურ წიგნად ფონდს შეემატა „წრიპა ბიჭის დღიურები“ ინგლისურ ენაზე. მალე ბიბლიოთეკის კარიც გაიღება და ამ წიგნის სერიებიც მკითხველს გაახარებს.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის უცხოური ლიტერატურის განყოფილების უფროსი - ქეთევან ხოსრუაშვილი #იკითხეთჩვენთან



აკაკი ბელიაშვილის ნოველა - „მწუხრი ტრფობისა“

დღეს წარმოგიდგენთ აკაკი ბელიაშვილის შესანიშნავ ნოველას - „მწუხრი ტრფობისა“, რომელიც შთაგონებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებით, ბედით, ეკატერინე ჭავჭავაძისადმი დიდი პოეტის უიმედო სიყვარულით, რუსეთის იმპერიაში საქართველოს უბედური მდგომარეობით. ნაწარმოები სავსეა შესანიშნავი სიმბოლიკით. მაგალითად, ტატოს რვეული ჟან-ჟაკ „რუსოს „ახალ ელიოზას“ პატარა ბავშვივით ჩაეხუტებინა“...

„მწუხრი ტრფობისა“

წელი იყო ათას რვაას ორმოცდაჩვიდმეტი. ოქტომბრის ცივი მთვარე ეკიდა ცაზე. თოვლით დაფარული შორეული მთები მდუმარედ გარინდებულიყვნენ. წელი ნიავი ოდნავ აშრილებდა მთვარის შუქისგან მოქსოვილ აბრეშუმის კალთებს მოწყენილ ტევრებში.

სუროს ნაწნავებში შეხვეულ სალხინოს სასახლეში სიჩუმე სუფევდა. ყველას ეძინა. არ ეძინა მარტო დედოფალს. ის გარინდული წამოწოლილიყო ოქროთი მოვარაყებულ საწოლზე და თვალგახელილი შეჰყურებდა ფრანგი მხატვრის ხელით მოხატულ ჭერს.

მაღალ შანდალში ჩადგმული კელაპტარი ზევიდან დასცქეროდა დედოფალს და ხანგამოშვებით იცრემლებოდა.

ჩუმად ქანაობდა მაღალი ბრინჯაოს საათის საქანელა. სადღაც სიბნელეში ფათურობდა თავი.

სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე დადიანი უკანასკნელად ათევდა ღამეს თავის სასახლეში. ხვალ დილით ის უნდა გამოთხოვებოდა თავის სამფლობელოს და ხელმწიფე იმპერატორის რესკრიპტის თანახმად სამუდამოდ გადასახლებულიყო პეტერბურგში.

მთელმა სასახლემ გლოვით შეიცხადა ეს თავზარდამცემი ამბავი. გენერალ-გუბერნატორმა კოლუბიაკინმა თავაზიანად უბრძანა დედოფალს ოცდაორ ოქტომბერს გამგზავრებულიყო ორპირის ნავსადგურისაკენ, სადაც მას ელოდებოდა სტამბოლიდან ოდესღაც ჩამოტანილი მდიდრულად მორთული სამთავრო სანდალი.

ტირილით შეუდგნენ მსახურნი ბარგის შეკვრას, ყველაფერი ახსნეს, აშალეს, არივ-დარიეს, ეგონათ, ყველაფრის წაღებას შესძლებდა. მერე გაირკვა, ას ფუთზე მეტს საბარგო

სანდლები ვერ ზიდავენო და ახლა აუცილებელი ნივთების არჩევას შეუდგნენ. თავი ვერ გაართვეს, ძლივსძლივობით რამდენიმე მაფრაშა შეკრეს და გვიან ღამით დაღლილები დასაძინებლად მიეყარ-მოეყარნენ.

ეკატერინე გაუხდელად წამოწვა ლოგინზე. მის თვალს ძილი არ ეკარებოდა, გულს ურევდა არეულ-დარეული ოთახი. აკეცილი ნოხები კუთხეში მიეყარათ. მაგიდაზე მიმოფანტათ ოქროს ზარნიშით მოვარაყებული იარაღი. ეშმაკის რქებივით ამოეყოთ ბოლოები ყანწებს ტახტზე დაგროვილ მუთაქა-ბალიშებიდან. ფორტეპიანოს სახურავზე შედგმული ჯვარცმა ოდნავ შებრუნებულიყო, თითქოს ამ ვერცხლის ჯვარზე გაკრულ გიშრის ქრისტესაც ვეღარ აეტანა ეკატერინეს დარდი, ზურგი შეექცია დედოფლისათვის და თავისი ნაწამები სახე ოთახის ჭერის კუთხისათვის მიეპყრა.

თახჩაზე შელაგებული წიგნებიც არეულ-დარეული იყო, ზოგი ერთმანეთს მიყრდნობოდა, ზოგი წაქცეულიყო, ერთ მათგანს ცალი ყდა მოტეხილ ფრთასავით გადმოეკიდა თაროდან, თითქოს მაგიდაზე რაღაცას უნდოდა დასწვდომოდა. მაგიდაზე კი პატარა ხელნაწერი ეგდო.

თახჩის კუთხეში საქმიანად ფათურობდა თავგი. საზრდოს დაეძებდა. დაფეთებული შეხტა, უეცრად ყდაგადმოკიდებულ წიგნს დაეცა, ჩრდილის ნაგლეჯივით გაილანდა და კუნჭულში გაქრა. ყდაგადმოკიდებული წიგნი გადმოცურდა, მაგიდაზე დაგდებულ წიგნს დაეცა, ყდები მკლავებივით მოავლო, აითრია და ორთავემ იატაკზე ტყაპანი მოადინა.

ხმაურზე დედოფალი შეკრთა. მოიხედა, ბნელ კუთხეში დაინახა - წიგნი ჩამოვარდნილიყო. ყურადღება არ მიაქცია. ისევ ჭერს მიაპყრო თვალები. მერე ამოიოხრა და უნებურად აღმოხდა:

„რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა...“

შეკრთა. ისე მიმოიხედა, თითქოს სხვას ეთქვას ეს სიტყვები.

„ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს, ტკბილ მოუბარსა“.

- შემდეგ? შემდეგ როგორ არის? - ჰკითხა თავის თავს ეკატერინემ. ზეზე წამოიჭრა, შანდალს ხელი დაავლო და წიგნების კარადისკენ წავიდა. სანთელმა ცხელი ცრემლი დააჟონა ხელზე.

- ტატო... სადა ხარ? - ჩურჩულით თქვა მან და წიგნები შეათვალიერა. - ტატო, დამენახე... სადა ხარ...

პატარა ხელნაწერი რვეული არ ჩანდა.

სწრაფად გადმოყარა წიგნები თაროდან, სათითაოდ ფურცლავდა, ბერტყავდა, იქნებ რომელიმე მათგანში იყო ჩარჩენილი. ვერსად ვერ ნახა. მოუსვენრად მიმოიხედა და უცბად იატაკზე თვალი მოჰკრა: რუსოს „ახალ ელიოზას“ პატარა ბავშვივით ჩაეხუტებინა ხელნაწერი რვეული. დაიხარა და ორივე აიტაცა. საწოლისაკენ გამობრუნდა. შანდალი თავის ადგილას დადგა. სანთლის ალი ალაპლაპდა და ყველაფერი ააცეკვა ოთახში.

ეკეტერინემ „ელიოზა“ მუხლებზე დაიდო, პატარა რვეული კი მოუთმენლად გადაფურცლა: აგერ „საყურე“, „დამე ყაბახზე“, „ჩემი ლოცვა“ და უეცრად წამოიჭრა ფაფარაყრილი „მერანი“ რვეულის ფურცლებიდან.

- „მირბის, მიმაფრენს უგზო უკვლოდ ჩემი მერანი...“

დაიძრა ყველაფერი, წავიდა სადღაც შორს, უკან ჩამოჩა და მიიმალა ჯერ სალხინოს სასახლე, მერე სამეგრელოს სამთავრო, მერე კავკასიონის ღრუბლიანი მთები და წინ გადაიჭიმა დიდი გაუთავებელი ტრამალები... მდორე მდინარეები, ღრუბლები და ისევ ტრამალები...

- ნუ დამიტუროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის;
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მიმაცურის!
სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა, დამეცემიან ციურნი ცვარნი“.

სანთლის უბე დამდნარმა ცვილმა აავსო, ალს შემოეჭდო, თითქოს მის დახრჩობას ლამობდა. ალი დაპატარავდა, საცაა უნდა გამქრალიყო, მაგრამ უეცრად ჯებირი გაირღვა, ხოლო...


... როდესაც დედოფალს ლოყებზე ცხელი ცრემლები დაუცურდა, სანთლის ალი ისევ გაიზარდა, ოთახს სინათლე მოეფინა და...

პატარა ხელნაწერ წიგნად შთენილ პოეტს მხოლოდ ახლა დაეფრქვა ციურთა ცვართა ნაცვლად სატრფოს ცრემლები.

1952 წელი.

ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „იესო ძე კაცისა“

ჩვენო ერთგულო და მონატრებულო მკითხველო! ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა! ბრწყინვალე შვიდეულის დღეებია და გადავწყვიტე გესაუბროთ ჩვენი



ბიბლიოთეკის ძირითადი წიგნსაცავის ფონდში არსებულ ძალიან ცნობილ მწერალსა და მის არაჩვეულებრივ წიგნზე - ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „იესო ძე კაცისა“ - ზე. მოგახსენებთ:

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი ერთ-ერთი პოპულარული ავტორია, ვის შემოქმედაბასაც ინტერესით თარგმნიან და კითხულობენ მთელს მსოფლიოში. ჯიბრან ხალილ ჯიბრანი ორენოვანი მწერალია, მან ცხოვრების რთული და ტრაგიკული გზა გაიარა. ლიბანში ქრისტიან არაბთა ოჯახში დაბადებულსა და აღზრდილს 12 წლიდან ცხოვრება მოუწია ამერიკაში, სადაც

მისი ოჯახი გადასახლდა უკიდურესი სიღატაკისგან თავის დასაღწევად. სწავლობდა ბოსტონში, შემდეგ რამდენიმე წლით დაბრუნდა სამშობლოში და სწავლა განაგრძო ბეირუთის უმაღლესი ტიპის სასწავლებელში „სიბრძნის სკოლაში“.

ხალილ ჯიბრანი ბოსტონის ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში არაბულ ენაზე აქვეყნებდა სტატიებს, მისტიკური და ფილოსოფიური ხასიათის ესეებს, იგავებს. თავის ძირითად მოწოდებად კარგა ხანს მიიჩნევდა მხატვრობას. მცირე ხნით პარიზის ხელოვანთა სკოლაშიც სწავლობდა.

1912 წელს მწერალი ნიუ-იორკში დასახლდა და ჩაერთო იქაურ კულტურულ ცხოვრებაში. იქვე გარდაიცვალა 1931 წელს, 48 წლისა. მისი ანდერძისამებრ გადაასვენეს ლიბანში და დაკრძალეს მშობლიურ სოფელ ბშარში, მონასტერში, რომელიც მის მუზეუმად გადააკეთეს. აქვე ინახება მისი ნახატების უმეტესობა.

ჯიბრანს მთელი ცხოვრება ეძვირფასებოდა იესოს სახება და მის სახელს თითქმის ყველა არაბულ ნაწერში ახსენებდა. იესოს მთელ თავებსა და სპეციალურ ესეებსაც უძღვნიდა.

მისი რომანი „იესო-ძე კაცისა“ 1928 წელს გამოქვეყნდა. ნაწარმოები მწერლმა ინგლისურ ენაზე დაწერა. იგი მაღალმხატვრული თხზულებაა. ნაწარმოებში ხალილ ჯიბრანი თავისი მდიდარი ფანტაზიით გვიყვება იმ სამოცდაჩვიდმეტი ადამიანის მონათხრობს იესოზე, რომლებიც მისი თანამედროვეები იყვნენ და იცნობდნენ იესოს.

ისინი იხსენებდნენ იესოს, მის ქმედებებს. ნაწარმოებში აღწერილია იესოს ადამიანად, კაცად ცხოვრების ხანა. იესოს თანამედროვენი მართალია მასში ხედავდნენ არამიწიერ ღვთაებრივ საწყისს. მაგრამ ადამიანი განკაცებულ ღმერთშიც უპირველეს ყოვლისა ადამიანს დაინახავს. იესოს შესახებ გვიამბობენ როგორც სახარებაში მოხსენიებული პირები: იაკობ ზებედეს ძე, მარიამ მაგდალინელი, პილატე პოტოელი, სიმონ პეტრედ წოდებული, ლუკა, მათე, იოანე ნათლისმცემელი, თომა და სხვანი, აგრეთვე მწერლის მიერ გამოგონილი გმირები-სპარსელი ფილოსოფოსი, მწყემსი სამხრეთ ლიბანიდან, მარიამის მეზობელი სუსანა და სხვანი. მონათხრობი იესოზე არაერთგვაროვანია, ყველა თავისებურად აღიქვამს და აფასებს მის პიროვნებას. ზოგი-დადებითათ, ზოგი-უარყოფითად. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება რომ რეალობა, რეალური პიროვნება მის თანამედროვეთა წარმოდგენებითა და შეხედულებებით არის ჩანაცვლებული. ჯიბრალი შეფარულად სვამს კითხვას: განა ამა თუ იმ პიროვნების რეალური სახე ყოველთვის ადეკვატურია თანამედროვეთა შეფასებებისა? ნაწარმოებიდან ჩანს რომ არა. წიგნში მოხსენიებულ მთხრობელებს თავისი საკუთარი იესო ჰყავთ. ზოგისთვის- კეთილი, ზოგისთვის-სასტიკი, ვისთვის სიმართლისთვის წამებული, ვისთვის- სამართლიანად დასჯილი. ყოველი მოთხრობიდან ჩანს, რომ იესო ნაზარეველი ღმერთი კი არა კაცი იყო, რომელმაც ძირისძირობამდე გამოსცადა ადამიანური სიხარული და მწუხარება.

თავის შეხედულებებს იესოზე მწერალი რომანის ბოლო თავში გვიზიარებს, რომლისთვისაც „ლიბანელი კაცი ცხრამეტი საუკუნის შემდეგ“ დაურქმევია და რა თქმა უნდა ეს ლიბანელი კაცი თავად ჰალილ ჯიბრანია. ჯიბრანი ასე მიმართავს იესოს

„მაგრამ მოძღვარო, ზეციერო გულო,
და ჩვენი სათუთი ოცნებების მხედართმთავარო,
კვლავაც დადიხარ ჩვენს ყოფაში,
ვერც ისრები და ვერც შუბები
შენს ნაბიჯებს ვერ აჩერებენ;
ყველა ჩვენგანის ისრებს შორის გამოღწეულხარ
და მაღლიდან ჩამოგვლიმი შენი სიკეთით.
და თუმც ასაკით უმცროსი ხარ მრავალ ჩვენგანზე,
ყველას მამა ხარ გულკეთილი და მოყვარული“.

„იესო ძე კაცისა“ გულახდილად მოყოლილი სულიერი გამოცდილებაა და ამიტომაც ინარჩუნებს ოდინდელ ბრწინვალებასა და ცხოველმყოფლობას.

ერთ თავის ჩანაწერში ჯიბრან ხალილ ჯიბრანი ქრისტეს ასე მიმართავს:

„ჯვარცმულო, შენ ჯვარს ეცვი ჩემს გულზე და ლურსმნები, მაჯებში რომ გაგიარეს, ჩემი გულის კედლებს მიემსჭვალნენ.

ხვალ კი, შემთხვევით გამვლელი ამ გოლგოთას გვერდს რომ ჩაუვლის, ვერ გაიგებს, რომ იქ სისხლი ორმა დაათხია.

მას იგი ერთი ადამიანის სისხლი ეგონება“

ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს თუ როგორი დამოკიდებულება აქვს მწერალს იესო ქრისტესადმი და როგორ არსისეულად განიცდის ქრისტიანობას.

გირჩევთ წაიკითხოთ ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „იესო-ძე კაცისა“ იმედია ყველანი ერთად დავაღწევთ თავს ამ არასასიამოვნო გარემოებას, რასაც კორონა ვირუსი ჰქვია და მალე შევხვდებით ერთმანეთს: ჩვენ თქვენი მონა-მორჩილნი და თქვენ ჩვენი ერთგული მკითხველნი.

ძირითადი წიგნსაცავის განყოფილების უფროსი
ნინო ვაშაყმაძე.

როგორ შეიქმნა პირველი წიგნი

ჩვენო მკითხველებო, ვინაიდან ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობაა ჩვენ ვცდილობთ მოგაწოდოთ საინტერესო ინფორმაციები დისტანციურად, სანამ ჩვენი ბიბლიოთეკის კარი თქვენთვის დაკეტილია. დღეს მინდა გაგაცნოთ ერთი ძალიან საინტერესო ჟურნალი „ჩემი სამყარო“, რომელშიც ძალიან საინტერესო სტატიები იბეჭდება სხვადასხვა თემებზე და როცა ყველაფერი კარგად ჩაივლის თქვენ მას ნახავთ პერიოდიკის საცავში დაცულ ფონდში.

როგორც ვიცით, წიგნი ჩვენი კულტურისა და ცივილიზაციის ნიშანია. იგი ვერ დაამარცხა ვერც რადიომ, ვერც ტელევიზორმა, ვერც კომპიუტერმა. ალბათ დაგაინტერესებთ როგორ შეიქმნა პირველი წიგნი, რამ განაპირობა წიგნის შექმნის იდეა. სწორედ ამ ჟურნალშია ერთი საინტერესო სტატია „თიხის წიგნები“ და სტატიის ავტორი ზურაბ კიკნაზე მოგვითხრობს ამის შესახებ.


აი, როგორ შეიქმნა პირველი წიგნი - დაწერილი სიტყვა - მათი წარმოსახვით. წიგნის შემქმნელის სახელიც ცნობილია - ეს ენმერქარია, შუმერის განთქმული ქალაქის - ურუქის მეფე. იგი მაცნის პირით შორეული არათას ბატონს უგზავნის გამოცანებს, რომელიც მან უნდა ამოხსნას და პასუხი იმავე მაცნის პირით გაუგზავნოს. თავის მხრივ, არათას მბრძანებელიც უგზავნის მას ამოსახსნელად ამოცანებს. ბოლოს როცა მეფის დანაბარები სიტყვები მაცნემ ვერ დაიმახსოვრა, ენმერქარმა ნედლ თიხაზე აღბეჭდა ყველაფერი, რაც მაცნეს ზეპირად უნდა წაელო მეტოქესთან.

მაშასადამე, დამწერლობა და წიგნიც მეხსიერების მოდუნებას შეუქმნია. ადამიანი აღარ ენდო თავის მეხსიერებას და თავისი ნაფიქრალი რაღაც ნიშნებს და მყარ საგნებს ანდო. თიხა საიმედო მასალა იყო იმისთვის, რომ აღბეჭდილ სიტყვას გაქრობის ხიფათი არ დამუქრებოდა. მას არც წყალი გადაშლიდა და არც ცეცხლი დაწვავდა, რადგან თავად ცეცხლში იყო გამომწვარი. ცეცხლში გამომწვარი თიხა საოცარ სიმსუბუქეს იძენდა . ძალზე მარტივი იყო ამ თიხის ქაღალდის დამზადება. ერთადერთი რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს თიხის წიგნს ეს არის ძლიერი დარტყმა. აქვე საუბარია მსოფლიოში პირველი ბიბლიოთეკის დამაარსებელზე. და ამ ბიბლიოთეკაში ეს წიგნები ანუ დაფები ეწყობო როგორც ცალ-ცალკე ასევე სერიებად(ტომებად). და კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია: ამ ბიბლიოთეკის ნანგრევებში ურიცხვ დაფათა შორის აღმოჩენილია კატალოგებიც და ამ

კატალოგებში წიგნების სათაურები, როგორც წესი მათი დასაწყისი სიტყვებით იყო შეტანილი.

ეს საინტერესო სტატია, როცა ყველაფერი კარგად ჩაივლის, უფრო სრულად თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ ჩვენს ბიბლიოთეკაში, ჟურნალ „ჩემი სამყარო“-ში, სადაც არაერთი საინტერესო და თემატურად განსხვავებული სტატიები იბეჭდება.

კულტურული პროგრამების და სამკითხველო დარბაზებით მომსახურების განყოფილების უფროსი მანია ჩხატარაშვილი.



ცნობილი მწერალი ქალი - შარლოტა ბრონტე

“სიყვარული, რომელიც ცალმხრივია და გაუმხელელი, თვითონ სპობს თავის მასაზრდოებელს – სიცოცხლეს. გამჟღავნების შემთხვევაში კი, თუნდაც მას სიყვარულითვე უპასუხო, ის ემსგავსება შორს მოკიაფე სინათლეს, ტრამალებში რომ შეიტყუებს ადამიანს



და უკან დასახევ გზას მოუჭრის.” Charlotte Brontë

1816 წლის 21 აპრილს, მსოფლიო ლიტერატურაში კარგად ცნობილი მწერალი ქალი - შარლოტა ბრონტე დაიბადა.

XIX საუკუნის შუა პერიოდის ინგლისის ლიტერატურული ცხოვრება

მდიდარია ჟანრებით და პრობლემატიკით;

ლიტერატურული ნაწარმოების ყველაზე გავრცელებული ფორმა გახდა რომანი; ამ პერიოდის კრიტიკული რეალიზმის ერთერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია - შარლოტა ბრონტე. მისი შემოქმედება მჭიდროდ ეკვრის მისივე ცხოვრებას. მის კალამს ეკუთვნის ოთხი რომანი, რომელთაგან ყველაზე გამორჩეული და წარმატებული არის ჯეინ ეარი. მწერალმა რომანში ბევრი ავტობიოგრაფიული ელემენტი ჩააქსოვა და პირველად ფსევდონიმით გამოსცა. მთავარი გმირი ქალის სახეში კარგად არის წარმოდგენილი უსამართლობის და ძალადობის წინააღმდეგ პროტესტი.

ჯეინ ეარი იყო ახალი გმირი ლიტერატურაში, ქალი ”მგზნებარე იდეალით და გამჭრიახი გონებით, თავისუფალი ადამიანი, დამოუკიდებელი ნებისყოფით, რასაც ამაყად უსვამს ხაზს როჩესტერთან”. ჯეინ ეარი დიამეტრალურად განსხვავდებოდა, ვიქტორიანული ეპოქისთვის დამახასიათებელი, დამყოლი და მორჩილი ხასიათის ქალისგან. ჩვეულებისამებრ, ამ ეპოქის ტიპის ქალს უნდა მოეწყო თავისი ცხოვრება, ანუ აუცილებლად უნდა გათხოვილიყო, გამხდარიყო დიასახლისი და ამგვარად, ქმრის ხაზით მოეპოვებინა გარკვეული სოციალური სტატუსი და ადგილი საზოგადოებაში. სწორედ ამ პერიოდში გამოქვეყნებული დიკენსის რომანის გმირი ქალები როუზ მეილი, ქეით ნიკლზი,

რუთ ლინჩ, იყვნენ მსგავსი ქალურობის განსახიერებანი, უფრო მეტიც რუთის გადაუტვირთავი გონება კონცენტრირებული იყო, მხოლოდ გემრიელი, ხორციანი პუდინგების ცხოზაზე.

XVIII საუკუნის საზოგადო მოღვაწე და ქალთა უფლებებისთვის მებრძოლი მერი უოლსტონკრაფტი წერდა, რომ მკითხველს არა მარტო სიამოვნება უნდა მიანიჭო, არამედ უნდა გააგებინო ქალური ბუნების რეალურობა. უდავოა, რომ შარლოტა ბრონტემ განავრცო უოლსტონკრაფტისეული იდეა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის შესახებ და ჯეინის სახით გამოთქვა, იმ დროისთვის საკმაოდ მიუღებელი და ახლაც, ხშირად სადავო აზრი იმის შესახებ, რომ ქალს აქვს უფლება გაიზიაროს მამაკაცის შესაძლებლობები. თვლიან, რომ ქალები უფრო ხშირად და მშვიდად ეგუებიან უმოქმედო მდგომარეობას, – ფიქრობს ჯეინი; მაგრამ ქალებიც ხომ იგივეს გრძნობენ, რასაც კაცები. მათი შესაძლებლობებიც ხომ ისეთივე რეალიზაციას მოითხოვენ, როგორც მათი ძმების, მამების, ქმრების, ისინი იტანჯებიან ზედმეტი შეზღუდვებით, სხვა რა არის ის ”წითელი ოთახი” სადაც ურჩ ჯეინს გამოამწყვდევენ, თუ არა მსგავსი შეზღუდვების ალეგორია?! ანუ იმ დროის მამაკაცების აზრით (და ახლაც(?)) ქალებმა, მხოლოდ პუდინგები უნდა აკეთონ, დაკემსონ წინდები, დაუკრან ფორტეპიანოზე, მოქსოვონ ხელჩანთები.

თავად შარლოტა ბრონტემ, როდესაც რობერტ საუთის თავისი ლექსები გაუგზავნა, მისგან პასუხად მიიღო, რომ ლიტერატურა არ არის ქალის საქმე, რადგანაც იგი ხელს უშლის ქალს ოჯახური მოვალეობების შესრულებასა და ბავშვის აღზრდაში. საბოლოოდ, შარლოტას აზრით, სქესთა თანასწორუფლებიანობა გულისხმობდა სოციალურ, პოლიტიკურ და რა თქმა უნდა ემოციონალურ და ფსიქოლოგიურ თანასწორუფლებიანობას.

ის ფაქტი, რომ მან ხმა აიმაღლა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობაზე, ეს უკვე თავისთავად დიდი სითამამე იყო XIX საუკუნის, 40-იან წლებში და მითუმეტეს სასულიერო პირის ქალიშვილისთვის. არც ის იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ მორიდებული და აღმზრდელი ქალის სახით შექმნა სრულიად ახალი და განსხვავებული პერსონაჟი, რომელიც ამავდროულად ძლიერი და თავდაჯერებული ქალის სახით. მის რომანში ქალი არის თავისუფლებისმოყვარე და დამოუკიდებელი, ინტელექტის და ხასიათის სიმდიერით, სწორედ რომ მამაკაცის თანასწორი.

ბრონტეს რომანებში, თითქოს რომანტიზმსა და რეალიზმს შორის შედგა გარკვეული კავშირი, ამ შემთხვევაში კი ჯეინ ეარი დასტურია იმისა, რომ არ არსებობს მკაცრად გამიჯნული ისტორიულ-ლიტერატურული მიმდინარეობების საზღვრები, ანუ არ არის აუცილებელი ყოველმა ახალმა მიმდინარეობამ უარყოს და შთანთქმას წინამორბედი, პირიქით, ახალმა შეიძლება შეითავსოს ძველის ელემენტები. და რატომაც არა, გადის წლები, საუკუნეები და პრობლემატიკა უცვლელი რჩება, უფრო მეტი კითხვები ჩნდება, უფრო მეტი დავობს არის თუ არა საჭირო ქალისა და მამაკაცის თანასწორობა.

რარიტეტული წიგნები

მოგესალმებით ჩვენო ძვირფასო მკითხველებო.



საჯარო ბიბლიოთეკა აგრძელებს თქვენთან დისტანციურ მუშაობას და გათვალისწინებული სახელმწიფო-საგანმანათლებლო რუბრიკებს.

უცხოური ლიტერატურის განყოფილება უერთდება ამ საქმიანობას მაგრამ ამ ჯერად მეტად საინტერესო საბიბლიოთეკო აქტივობაზე

მინდა მივიპყრო თქვენი ყურადღება.

გარდა იმისა, რომ ბიბლიოთეკარი მკითხველს უნდა მოემსახუროს წიგნის გაცემითა თუ მისი ინტერესის გათვალისწინებული საბიბლიოთეკო მომსახურებით, არსებობს მკითხველისთვის უხილავი ბიბლიოთეკარის შრომატევადი საქმიანობა...

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მდიდარია რარიტეტული, იშვიათ გამოცემათა უნიკალური წიგნებით, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე. ბიბლიოთეკაში 800-მდე ასეთი წიგნია ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე. პერიოდულად ეს წიგნები საჭიროებს მოვლას, დასუფთავებას, გადახალისებას; (ზემოთ მოცემული ფოტოები სწორედ ამ სამუშაოს ასახავს) ხდება წიგნების დაწყობა ენების მიხედვით, დასუფთავება და განთავსება თაროზე საბიბლიოთეკო წესის დაცვით, რომელზეც მუშაობენ საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლები: უცხოური ლიტერატურის განყოფილების უფროსი ქეთევან ხოსრუაშვილი, ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი ლალი ცელაძე, წამყვანი ბიბლიოთეკარი ელენე ტულუში და "ამერიკული კუთხის" კოორდინატორი სალომე ჟორჟიკაშვილი.

მინდა გითხრათ, რომ ეს წიგნები არაერთხელ იხილა მკითხველმა ბიბლიოთეკაში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფრანგულენოვანი წიგნების რესტავრაცია, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს დაფინანსებით განხორციელდა.

იმედი მაქვს ყველაფერი კარგად იქნება და მომავალში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება ბიბლიოთეკის გამოფენებში იხილოს ეს უნიკალური წიგნები, რომლებიც არამარტო ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის, არამედ ჩვენი ქალაქის სიმდიდრეცაა.

უცხოური ლიტერატურის განყოფილების უფროსი - ქეთევან ხოსრუაშვილი.

"ანა ფრანკის დღიური"




მოგესალმებით ჩვენო ძვირფასო მკითხველებო.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა აგრძელებს დისტანციურ ურთიერთობას ერთგულ მკითხველებთან. საინტერესო თემებზე და ლიტერატურაზე საუბარი გრძელდება...

უცხოური ლიტერატურის განყოფილება გთავაზობთ გავიხსენოთ საინტერესო წიგნი "ანა ფრანკის დღიური".

ამ წიგნზე მშრალად და ჩვეულებრივად ლაპარაკი შეუძლებელია, რადგან მეტად უჩვეულოა მისი დამწერის ბედი.

ანა ფრანკი იყო ებრაელი გოგონა, რომელიც ნაცისტური გერმანიის მიერ ოკუპირებულ ჰოლანდიაში ცხოვრობდა.¹³ წლის ანა და მისი ახლობლები ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ემალებოდნენ გერმანელ ნაცისტებს საიდუმლო სამალავში. ოთხკედელშუა




გამოკეტილი გოგონა გულრწფელად აქსოვდა დღიურში საკუთარ განცდებს, ფიქრებს, იმედებს, წუხილს, შიშს, ხან ემოციის გამომწვევ, ხანაც ღიმილის მომგვრელ შთაბეჭდილებებს; ჩვეულებრივი ბავშვური უშუალოებით დაწყებული დღიური, ერთსა და იმავე ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობითა და წვრილმანებით შეზღუდულ, სახიფათო გარემოში, გოგონას უახლოესი მეგობარი და მესაიდუმლე გახდა. არარსებულ

მეგობარს ანამ კიწი დაარქვა და მისგან ელოდა ნუგეშსა და შემწეობას. თუ სიკვდილს ვერ გაექცეოდა, ანას უნდოდა მისი დღიური მასთან ერთად დაღუპულიყო. მოხდა ისე, რომ გერმანელებმა მათ მაინც მიაგნეს და გოგონა დედასთან და დასთან ერთად საკონცენტრაციო ბანაკში დაილუპა ტიფით. გადარჩა მხოლოდ დღიური-კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უსაშინლესი დროის მამხილებელი დოკუმენტი.

გერმანელი ფაშისტები სპობდნენ არამარტო ხალხს არამედ კაცობრიობის ზნეობრივ მონაპოვარსაც. ამ თავაშვებული რბევის, ძალადობისა და მასობრივი მკვლელობის მსხვერპლი გახდა პატარა ანა.

გთავაზობთ ერთ-ერთ წერილს:
სამშაბათი, 20 ოქტომბერი, 1942 წელი -
ძვირფასო კიწი! "თუმცა მას შემდეგ ორი საათი
გავიდა, მაგრამ ისეთი შიში განვიცადე, რომ
ხელები ახლაც მიკანკალებს, სახლში კიდია
ხუთი ცეცხლმქრობი "მინიმაქსი", არავის
გაუფრთხილებივართ, რომ მათ ასავსებად
მოვიდოდნენ, ამიტომაც წინა კარიდან ჩაქუჩის
ხმა არ მომესმა, განსაკუთრებულ სიფრთხილეს
არ ვიცავდი; მეგონა დურგალი მოვიდა და



გავაფრთხილე ელი, რომელიც ჩვენთან სადილობდა, რომ ახლა ძირს ჩასვლა არ შეიძლება. მე და მამა კარს უკან ჩავსაფრდით და ყურს ვუგდებდით, როდის მორჩებოდა ის კაცი მუშაობას.

ანა.

P.S. ეს წიგნი თითქოს დღევანდელ "ჩაკეტილ" მდგომარეობას გვაგონებს სხვადასხვა მიზეზით. წიგნის ფინალი ტრაგიკულია და მძიმე. მალე ჩვენთანაც ყველაფერი კარგად იქნება, ბიბლიოთეკის კარიც გაიღება და ჩემი რიგითი ბიბლიოთეკარის რჩევა იქნება ყველა მოზარდმა წაიკითხოს წიგნი - "ანა ფრანკის დღიური".

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში იხილავთ "ანა ფრანკის დღიურს" ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე.

უცხოური ლიტერატურის განყოფილების უფროსი - ქეთევან ხოსრუაშვილი.

1818 წლის 4 აპრილს თომას მაინ რიდი დაიბადა ირლანდიაში, ღარიბი კათოლიკე მღვდლის ოჯახში. მშობლებმა ყველაფერი იღონეს, რომ კარგი განათლება მიეღო და



ბელფასტში, სამეფო საუნივერსიტეტო კოლეჯში მოაწყვეს, სადაც თეოლოგია უნდა შეესწავლა, მაგრამ ტომს (მაინი მისი მეორე სახელია, მამასაც ასე ერქვა) თეოლოგიას სპორტი და ენების შესწავლა ერჩივნა და კიდევ - მოგზაურობისადმი დაუოკებელი სწრაფვა.

ამიტომ აღარ დაამთავრა სწავლა, 21 წლისამ აიკრა გუდა-ნაბადი და ამერიკაში წავიდა. წარმოიდგინეთ მაშინდელი ამერიკა: პრერიები, ოქროს მადიებლები, ინდიელები, ველური დასავლეთი... თუმცა, რაღა წარმოდგენა გვინდა - ნებისმიერ წარმოდგენაზე უკეთ აღწერა თვითონ მწერალმა ყველაფერი.

ექვსი წლის მანძილზე ბევრი საქმე და პროფესია გამოიცვალა, უამრავ ადამიანს შეხვდა - ხან ვაჭრობდა, ხან მასწავლებლობდა, ხან ჟურნალისტობდა; ინდიელთა ტომების ბელადებს ხვდებოდა და მათთან საუკეთესო ურთიერთობებიც ჩამოუყალიბდა (სხვათა შორის, მომავალში პირველი მწერალი გახდა, რომლის რომანიც ინდიელთა ერთ-ერთ ენაზე ითარგმნა). 1846 წელს კი, როგორც გითხარი, ერთ-ერთი გაზეთის სამხედრო კორესპონდენტობა შეითავსა და მექსიკელების წინააღმდეგ ომში ჩაება ამერიკელთა მხარეს. 1848 წელს ჯარიდან



კაპიტნის რანგში წამოვიდა და ევროპისაკენ გამოეშურა - თავისუფლებისმოყვარე კაპიტანს უნგრეთისა და ბავარიის რევოლუციებში სურდა მონაწილეობის მიღება, მაგრამ ვერ ჩამოუსწრო...

სულ მალე ამერიკული შთაბეჭდილებებით დაწერილი რომანი - "თავისუფალი მსროლელები" გამოაქვეყნა და წარმატებაც უცებ მოვიდა. ეს 1850 წელს მოხდა, მომავალი 10 წლის მანძილზე კიდევ გამოაქვეყნა განთქმული რომანები: "ოცეოლა - სემინოლების ბელადი", "სკალპებზე მონადირენი", "კვარტერონი"; და ისევ დიდი წარმატება მოიპოვა; მაგრამ ფულის შოვნაზე ძნელი რომ მისი შენახვაა, ეს არასოდეს იცოდა რომანტიკოსმა მწერალმა - ეგზოტიკური გართობისა და ხელგაშლილობის მოყვარული და ამის გამო გადატაკებული ისევ ამერიკაში წავიდა...

ამერიკიდან ვალებით ჩამოვიდა, მაგრამ იქიდან "უთავო მხედრის" სიუჟეტი და იდეა ჩამოიტანა. ამ რომანმა, თამამად შეიძლება ითქვას, მაინ რიდი გადაარჩინა - უსახელობასაც და უსახსრობასაც!

იგი ოკეანის გაღმა აღარ დაბრუნებულა, მაგრამ პატარა ბრიტანულ დაბაში მოწყობილი მისი სახლი, რომელიც უცხო სხეულებით იყო "ჩაჭედილი" აგურით ნაშენ და კრამიტით გადახურულ ინგლისურ საცხოვრისებს შორის, მათ პატრონს მაინც იქ აგრძნობინებდა თავს - მის საყვარელ პრერიებში, იქ, სადაც მორის ჯერალდი დააგელვებდა უბელო ცხენებს და სადაც საიდუმლოებით მოცული უთავო მხედარი დროდადრო ჩნდებოდა პოინდექსტერების მამულის შორიახლო..

დანიელი მეზღაპრე - ჰანს ქრისტიან ანდერსენი

ძვირფასო მკითხველებო, ჩვენ კვლავ თქვენთან ერთად ვართ...

უცხოური ლიტერატურის განყოფილება არ ადუნებს თქვენს ყურადღებას. მინდა გესაუბროთ დანიელ მეზღაპრე - ჰანს ქრისტიან ანდერსენზე.

ჰანს ქრისტიან ანდერსენი, მე-19 საუკუნის მწერალი, პოეტი, დრამატურგი, მეზღაპრეა. იგი დაბადდა 1805 წლის 2 აპრილს, დანიაში, ქალაქ ოდენსეში, ღარიბი მეწაღის ოჯახში. მამის გარდაცვალების შემდეგ თავის რჩენა თავად უწევდა. სკოლაში სიარული შეწყვიტა და თავადვე ააგო თოჯინები პატარა თეატრი. მარიონეტებისათვის ტანსაცმლის კერვა დაიწყო თუმცა, ამ ყველაფერმა დიდხანს არ გასტნა.

მისი ოცნება ოპერის მომღერლობა იყო, ამის გამო 1819 წელს კოპენჰაგენში წავიდა. იგი გიჟად მიიჩნიეს. სადაც მივიდა, ყველა თეატრიდან გამოაგდეს. მალე იგი სამეფო თეატრში შევიდა მოცეკვავედ მიიღეს. შემდეგ მეფე ფრედერიკ VI დაინტერესდა ამ "უცნაური ბიჭით", თავის თავზე აიღო მისი მფარველობა და გაგზავნა სლაგელსის გრამატიკის სკოლაში სასწავლებლად.

1822 წელს გამოსცა პირველი წიგნი "მოჩვენება პალნატოკის საფლავზე".

1829 წელს ანდერსენმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ფანტასტიკური რომანით "ფეხით მიგზავრობა ჰოლმენის არხიდან ამაგერადე". ამავე წელს გამოქვეყნდა მისი ლექსების კრებული.

1835 წელს გამოდის მისი რომანი "იმპროვიზატორი" და ამავე წელსვე მისი პირველი ზღაპრებიც.

1838 წელს გამოდის ზღაპრების მეორე სერია-1845 წელს კი- მესამე.

მისი შემოქმედება მოზარდებში პოპულარული გახდა. იმ პერიოდისათვის იგი უკვე მთელს ევროპაში იყო ცნობილი.

1857 წელს ანდერსენმა გამოსცა ნოველა "ყოფნა თუ არ ყოფნა".


1872 წელს გამოვიდა მისი ბოლო ზღაპრები. იმავე წელს მან ტრავმა მიიღო და 1875 წლის 4 აგვისტოს გარდაიცვალა.

დაკრძალულია ასისტენის სასაფლაოზე კოპენჰაგენში.

ანდერსენის ზღაპრების უამრავი თარგმანი და გამოცემა არსებობს. სხვადასხვა ილუსტრაციით გამოცემული წიგნები მთელ მსოფლიოში თანაბარი ინტერესით იკითხება ნებისმიერ დროში და არ კარგავს აქტუალობას.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში გვაქვს ანდერსენის წიგნები, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე.

უცხოური ლიტერატურის განყოფილებს უფროსი -
ქეთევან ხოსრუაშვილი.



"მე მზად ვარ ჩემი გული
გადაგიშალოთ..."

ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ მხატვარ ნინო ბალხამიშვილთან

პანდემია და ადამიანების სიყვარული - ინტერვიუები - "მე მზად ვარ გული გადაგიშალოთ".

დღეს ჩვენი სტუმარია მხატვარი ნინო ბალხამიშვილი.

მიყვარს ლამაზი დღეები და დილის სიჩუმე, ამ სიჩუმეში ჩამოვივლი მთავარ გვერდს და რაიმე ახალს აუცილებლად აღმოვაჩენ... ასე აღმოვაჩინე ულამაზესი ბუმბულები და ჩაის ფილტრები, საოცრებები და ლამაზი ხელოვანის განსხვავებული შემოქმედება. ეს თურმე ნინო ბალხამიშვილი გახლავთ, რომელიც გერმანიაში, ქალაქ კასსელში ცხოვრობს და მოღვაწობს. ტრაფარეტული კითხვით ვიწყებ..

****როდის დაიწყეთ ხატვა??**

****ვხატავ ბავშვობიდან, დავამთავრე თბილისის სამხატვრო აკადემია კინოსა და ტელევიზიის მხატვრობის განხრით. გერმანიაში მიცნობენ, როგორც ნინო ბალს! ჩემი გვარის შემოკლება განაპირობა გვარის სირთულემ. პირველად ჩემი ნამუშევარი როცა გაიყიდა დამავიწყდა ხელის მოწერა, როცა წერა დავიწყე და ბალ =ის შემდეგ გაგრძელება დავაპირე გამაჩერეს, რადგან აქ სახელით არავინ მოგმართავს და ჩემი გვარის წარმოთქმა ამათთვის რთული იქნებოდა, ასე დავრჩი ნინო ბალ!**

****რა მასალას იყენებთ, მე ბუმბული, ჩაის ფილტრი ძლიან მომეწონა.**

****ვიყენებ სხვადასხვა მასალას, ერთი და იგივე მალე მბეზრდება, ამიტომ ვცდილობ ყოველთვის რაიმე ორიგინალური და უცხო მასალა გამოვიყენო, მაგალითად ბუმბული, ძველი ფუნჯები, ჩაის ფილტრები და რათქმაუნდა სხვადასხვა საღებავები.**

****ახლა როცა პანდემიამ ძალიან ბევრი დრო გაგვიჩინა ყველას, რას ფიქრობთ - გჭირდებოდათ ეს დრო თქვენ? ალბათ ძალიან**

****დიახ, ეს დრო ძალიან მჭირდებოდა, თავიდან განსაკუთრებით. როგორც იქნა ყველამ მოვიცალეთ ერთმანეთისათვის. ბევრ მივიწყებულ იდეას დავუბრუნდი, ბევრიც ახალი დავგეგმე.**

****ჩვენი ცხოვრება ორ ნაწილად გაიყო-პანდემიამდე და ალბათ პანდემიის შემდეგ...**

****დიახ, პანდემიის კრიზის გადალახვა იქნება მთავარი გამოწვევა. აქ ყველაფერი მინიმუმ ერთი წლით ადრე გვექონდა დაგეგმილი, ახლა არავინ არაფერი არ იცის და ეს გაურკვევლობა მაინცდამაინც არ არის სასიამოვნო.**

****გვიამბეთ თქვენს ოჯახზე და რომელიმე გამორჩეულ ტრადიციაზე?**

****მყავს მეუღლე და ორი შვილი, ნია მარი და ლუკა. შაბათ-კვირას ძალიან ველოდები ხოლმე, რადგან ბავშვებთან ერთად ვხალისობთ და ტრადიციულად ერთად ვამზადებთ სადილს. 🍴🥗🥕🥔**

****დრო რომ უკან ბრუნდებოდეს რას შეცვლიდით თქვენს ცხოვრებაში?**

****დროს არ დავიბრუნებდი, ვფიქრობ ვცხოვრობ საუკეთესო დროს, საუკეთესო ადგილას საუკეთესო ასაკში!**

****იმედის დილაა დღეს??? დილა არის ყოველთვის იმედების.**

***** სამომავლო გეგმებზეც გვითხარით?**

სამომავლო გეგმებზე არასოდეს ვსაუბრობ

ინგა გოგიბერიძე

ნინო ბალხამიშვილი

საქართველო. ბათუმი.

გერმანია. კასელი. 2020 წელი, პანდემია. 29 აპრილი.



ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ შოთა გუჯაბიძესთან

პანდემია და ადამიანების სიყვარული-ინტერვიუები - "მე მზად ვარ გული გადაგიშალოთ" - კითხვები შოთა გუჯაბიძეს

2020 წლის 27 აპრილია. გარეთ გაზაფხულია, მზეა, მაგრამ #დარჩითახლში "ადამიანები უფრო აუცილებლები და ახლობლები გახდნენ ჩემთვის, სრულიად უცხონიც კი." - შოთა გუჯაბიძე



...შოთა, როდის შეგეშინდა პირველად და როგორი იყო ეს შიში?

- რა თქმა უნდა, არ მახსოვს. ვიხსენებ ღრმა ბავშვობის სიმძაფრებს და ვცდილობ დავადგინო, რამდენად შეიძლება შიშის კვალიფიკაცია მიენიჭოს.

ვზივარ იატაკზე ტელევიზორის წინ. ტელევიზორი დგას ფეხებზე და ჩემზე მაღალია. ისმის საკერავი მანქანის ხმა. დედა ოთახშია, ზურგსუკან, კერავს. ჩემი დაც სადღაც აქვეა. მამა ალბათ სამსახურშია. ტელევიზორიდან უამრავი ერთნაირი და უცნაური არსებები მოდიან. ძალიან ბევრი და უწყვეტად. მე მეშინია, მაგრამ მაინც არ ვაცილებ თვალს. მოდიან ძალიან ახლოს ჩემთან, მთლიანად ავსებენ ეკრანს.

დიდი ხნის მერე ისევ ვნახავ ამ კადრს. აირწინაღიანი არმია ჩანდა კადრში და დიქტორიც საბჭოთა სამოქალაქო თავდაცვაზე ჰყვებოდა. მეორედ რომ ვნახე ეს სცენა, მაშინ გამახსენდა პირველი ამბავი.

ამის მერე გლანდები ამომჭრეს. სამი წლის ვარ ამ დროს და ყველაფერი ცხადად მახსოვს, მაგრამ ტკივილი ალბათ არ შეიძლება ჩაითვალოს შიშად. ტკივილი და უმწეობა. შიში მაინც მოლოდინია, მომავალი დრო და არა აწმყო.☺

...ეთანხმები თუ არა გამონათქვამს-"შიში შეიქმს სიყვარულსა" და რა არის შენთვის სიყვარული?

- რაღაც შიში, რომ რაღაც სიყვარულს შეიქმს, უეჭველია. სიბნელის შიში აუცილებლად შეგაყვარებს სინათლეს, როგორც ერთ ჭკვიანურ გურულ სიმღერაშია, გააანალიზებ რა, რაღაცის ნაკლოვანებას თუ უქონლობას. ანალიზი და აქედან მიღებული ცოდნა აუცილებელია. რამდენიც იცი, იმდენი გიყვარს. არ ვიცი, ამას თუ გულისხმობდა ბატონი რუსთაველი. თორემ რისიც მეშინია, ის არ შემიყვარდება არაფრისდიდებით.

.... დღევანდელ დღეს რაიმე ღირებულებების გადაფასება თუ მოახდინეთ საკუთარ პიროვნებაში?

- კი. პირველ რიგში იმის, რომ ბევრი არაფერი შემიძლია და თუკი რამე შემიძლია, ისიც სხვა ადამიანებსა თუ გარემოებაზე უფრო მეტადაა დამოკიდებული, ვიდრე ჩემზე. ადამიანები უფრო აუცილებლები და ახლობლები გახდნენ ჩემთვის, სრულიად უცხონიც კი.

გარემოც უფრო საინტერესო მეჩვენება, სადაც ბევრი წელია ვცხოვრობ და ძალიან არ მომწონს. გამუდმებით ვიღებ რაღაცას, თითქმის დაბადებიდან. არც ახლა შემიძლია ამის გარეშე და საკმარისია, ფანჯრიდან გადავიხედო, რომ აუცილებლად ვიპოვი რაიმე გადასაღებს. ახლაც კი შევწყვიტე წერა ხმაურზე და ფანჯრიდან გადავიხედე. დრო რომ გავა, აუცილებლად მოვუბრუნდები ამ მასალას და დიდი იმედი მაქვს, ისევ საინტერესოდ მომეჩვენება.

ამასობაში ჩემი არქივის გამოფენა დავიწყე ფეისბუკზე. რასაც ალბათ არასდროს ვიზამდი, იმდენად საშინელ საქმედ წარმომედგინა. ჩემი გადაღებული ფოტოების, რომლებსაც სულ ვიღებ და სულ მთხოვენ მეგობრები, რომ გავუგზავნო და სულ ვისხლექ ამ თხოვნებს შეძლებისდაგვარად.

....ფოტოები ქმნიან ისტორიას-მაინტერესებს რა გრძნობა გეუფლება როცა ასეთ სიჩუმეში და ადამიანების გარეშე იღებ შენი საყვარელი ქალაქის ფოტოებს?

- ჯერ ერთი, რომ ადამიანები ისევ მრავლად დადიან. თავიდან კი იყო თითქმის ცარიელი, თუკი კადრში ვინმე გამოჩნდებოდა, მალევე ქრებოდა, მაგრამ მერე უფრო გავთამამდით. ველოსიპედები გამრავლდა, რაზეც მხოლოდ ვოცნებობდი მშვიდობიანობის დროს.

პირველად რომ გამოვედი რამდენიმედღიანი იზოლაციის მერე, სეირნობა მომინდა ქუჩებში. არასოდეს მისეირნია ბათუმში. მიხეტიალია ბევრი და უთავბოლოდ, მოაჯირი და სახელური მიძებნია წლობით და უიმედოდ, ფოტოები გადამიღია უსასრულოდ, მაგრამ არასოდეს მისეირნია და პირველად გამიჩნდა ამის სურვილი, თან ღამე იყო და წვიმდა. ჰაერიც ისეთი იყო, წყალტუბოში მეგონა თავი.

უადამიანო ქალაქი კიდევ უფრო საინტერესოა, მითუმეტეს, როცა იცი, რომ ხვალ ასე აღარ იქნება. ხანდახან ვერც კი ვახერხებდი რომელიმე სახლის გადაღებას, მანქანას რომ არ შეეშალა ხელი, ახლა ეს შესაძლებელია. შუა ქუჩაში დავდივარ და არავის ვუშლი ნერვებს, როგორც ოდესღაც ჩემი წინაპარი დადიოდა დონდუკო-კორსაკოვის ქუჩაზე.

ხმა შეიცვალა. ქალაქი მხოლოდ შენობები და ადამიანები არ არის. სუნიცაა, ხმებიც. ეს ხმა შეიცვალა. ძახილი უფრო შორიდან ისმის, ფეხის ხმა უფრო დიდხანს გრძელდება. ეს შეგრძნებას გიცვლის, დამოკიდებულებას. ადამიანი უკვე საფრთხეა. შენც საშიში ხარ სხვისთვის. მანქანა საშიში აღარაა, იმიტომ რომ ცოტანი არიან. ტექნიკა ხომ მას შემდეგ გაბატონდა ჩვენზე, რაც უმცირესობაში მოგვიქცეის ადამიანები. ახლა კი სამყარო საწყსებს უბრუნდება, დროებით მაგრამ მაინც.

ძველ ფოტოებზე ადამიანები არ არის. გადაღება დიდ ხანს ხდებოდა და ადამიანი აუცილებლად იდღაბნებოდა, თუკი საგანგებოდ არ დააყენებდა ფოტოგრაფი და აუცილებელ ინსტუქტაჟს არ ჩაუტარებდა. ეს ფოტოებიც იმ ფოტოებს ჰგავს ამით.

ცარიელი ბათუმიც ბათუმია. ალბათ ეს ფოტოებიც ისტორია იქნება ოდესმე. ისტორია კი არასოდეს არის კარგი ან ცუდი.

....გადმოეცით დღევანდელი დღის ემოცია.

- აღმოჩნდა, რომ სამყარო ძალიან პატარაა. ის მრავალნულიანი კილომეტრები, რაც გეოგრაფიაში გვისწავლია, მხოლოდ ციფრები აღმოჩნდა. ერთი უჩინარი ვირუსი, რომელიც ცხრა მთის იქეთ გაჩნდა, თვალის დახამხამებაში კლავს უამრავ სიცოცხლეს დანარჩენ

დედამიწაზე. სამყაროს უდიდესი ქვეყნები, არაამქვეყნიური ტექნოლოგიური მიღწევებით რომ კეკლუცობენ, უბადრუკნი აღმოჩნდნენ უფერო, უწონო, უხილავი არსების წინაშე. თითქოს ყველამ იცის ჭეშმარიტება, რაღაც სიმართლე თითქოს ყველამ ვიცით, მაგრამ არავინ გვიჯერებს. სამყარო დაბნეულია, მეცნიერება, რელიგია, პოლიტიკა ერთმანეთს ებრძვის და ერთმანეთს არ უსმენს. მეც დაბნეული ვარ და ვხვდები, რომ ძალიან პატარა ვარ და მეშინია, რომ როცა სხვა გახდება დასაცავი, ამას ვერ მოვახერხებ. მეშინია ისევე, როგორც ღრმა ბავშვობაში, ტელევიზორს რომ შევყურებდი პირდაღებული.

ბათუმი. ინგა გოგიბერიძე

ბათუმი. შოთა გუჯაბიძე

P,S ..შოთა, დიდი მადლობა.... ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე პასუხები და ბედნიერი ვიყავი, ეს ინტერვიუ კი არა სულის ისტორიაა...

ნატო გიორგაძის ინტერვიუ თამარ ნიკურაძესთან

„მე მზად ვარ გული გადაგიშალოთ“

ჩვენო მკირფასო მკითხველებო, რადგან ბიბლიოთეკის კარი თქვენთვის დროებით დაკეტილია, ამ დროის მანძილზე ყველა ბიბლიოთეკარი იზრუნებს იმაზე, რომ დისტანციურად მოგაწოდოთ ახალი ინფორმაციები, რჩევები ამა თუ იმ წიგნზე, მოისმენთ დისტანციური კითხვის ვიდეო ჩანაწერებს, წაიკითხავთ ჩვენს გვერდზე მწერლების, პოეტების და საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფიულ ცნობებს, წაიკითხავთ საინტერესო ცნობებს სხვადასხვა ქვეყნების ბიბლიოთეკების ისტორიიდან.

დღეს კი რუბრიკაში „მე მზად ვარ გული გადაგიშალოთ“ ვესაუბრებით ქალბატონ თამარ ნიკურაძეს, რომელიც გახლავთ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და საერთაშორისო მწერალთა ასოციაციის წევრი. მან 2019 წელს მიიღო პროზა-პოეზიის პრემია „ივერია“ ნომინაციაში „ქართული ელიტის წლის მწერალი“.


ალბატონ თამარს გამოცემული აქვს ლექსების კრებული, ჰაიკუების კრებული, მოთხრობები. 2018 წელს კი ცალკე წიგნად დაიბეჭდა პატარა რომანი „ციგრიტი“.

ვისაუბროთ "ციგრიტზე", რომელიც საკმაოდ პოპულარულია და ეხმიანება კიდევ პანდემიის თემას. მინდა გითხრათ, რომ სიამოვნებით წავიკითხე. არარეარულ სამყაროში ამოვიცანი ჩვენი დროის პერსონაჟები, სპეციფიკურად ქართული სიტუაციები, სახალისო იყო გამოგონილი, სიმბოლური სახელები, მკურნალობის სიმპტომები: კოცნების გამოყრა, კრუნტვები, ბზიკვინტები... მკურნალობის მეთოდები: დაკითხვის რენტგენი, მუსიკით მკურნალობა, ლიტერატურის გადასხმა და ა.შ. იქნებ თქვენ გვითხრათ რა არის ციგრიტი?

ციგრიტი დღევანდელი საშინელი დაავადების სახალისო სახელია, რომელმაც მიუხედავად მისი არსისა, ყველა გაამხიარულა დღემდე. ხალისით შემოგვაპარა ის მცირე ნაკლოვანებები, რომლებიც ადამიანებში არსებობს და საერთო ჯამში დიდ პრობლემას ქმნის.

რაც შეეხება წიგნის და პანდემიის თანხვედრას, სიმართლე გითხრათ ძალიან გაოცებული ვარ, რადგან ამ წიგნის სცენარი ამჟამად ვითარდება ჩემს ცხოვრებაში, ექიმები ელიან ვაქცინას და მეც დიდი ინტერესით ველოდები როდის, როგორ და რა მოხდება შემდეგი.

წიგნი 2014 წელს დავასრულე და როდესაც პანდემია დაიწყო სულ აღარ მახსოვდა, მწერს ერთი მეგობარი, გიკრძალავ დაავადებებზე წერასო, მერე მეორემ - ეს რა დაგიწერიაო! უცებ შევშინდი, შევშინდი, ვაი თუ ჩემი წიგნის ბრალია ეს ყველაფერი, შემდეგ ცოტა



მომეშვა როდესაც გამახსენდა ის ფილმი, თუ სწორად ვამბობ "ინფიცირება" - არ მინახავს, არ ვუყურებ მძაფრსიუჟეტის ფილმებს. შემდეგ ის გამახსენდა, ჩემს წიგნში ვაქცინას რო შექმნის პროფესორი - არ ვიცი, რა ძალამ გადამაწყვეტინა ვაქცინის სახელად "ამოკალი!" მომეფიქრებინა - ისევ შევშინდი, მსოფლიო მასშტაბით ხომ ამდენი ადამიანი დაიღუპა, მაგრამ მერე ისევ გადავიფიქრე და წიგნის დასასრულის იმედად ვარ (მაგრამ აქაც ადამიანის ცნობიერებაზეა დამოკიდებული და მთლიანად იმედიანად არც ამ შემთხვევაში არ ვარ) და დიდი მოთმინებით

ველოდები ცხოვრების უკვე ცოცხალი სიუჟეტის განვითარებას.

საინტერესოა საიდან გაჩნდა იდეა?

იდეა საკუთარ თავზე დაკვირვების შედეგად გაჩნდა. ცხოვრების არანორმალური რიტმი, "27" სამსახური, უფრო მეტი შემოსავლის წყურვილი, გრძნობებისგან დაცლა, და სხვა მრავალი "სიკეთე"...

როგორც მივხვდი, ჩვენ ყველანი დაავადებულნი ვართ ციგრიტით და სასწრაფოდ უნდა გავიკეთოთ ციგრიტის აცრა!

აცრა ვერას უშველის თუ ბუნებამც არ უშველა :) შინაგანი სურვილი უნდა ამოძრავებდეს ადამიანს შეიცვალოს, შეცვალოს ღირებულებები, გახდეს უკეთესი, იმუშაოს საკუთარი სულის განვითარებაზე, ცნობიერების ამაღლებაზე, ირგვლივმოყვებისთვის ბედნიერების მინიჭებაზე... ესაა აცრის არსი

როგორც ვიცი წიგნის თარგმანსაც ამზადებთ...

წიგნის ინგლისური ვერსია მზადაა და გამოსაცემად არის გამზადებული. ამერიკაში მიმქონდა წარსადგენად, თუმცა ქართული ვერსია უკვე არის იქ ხელმისაწვდომი. თურქული თარგმანიც დასრულდა, მაგრამ იქ კიდევ ბევრი საქმეა წინ, ტერმინებია ჩასასმელი და შემდეგ რედაქტირება სჭირდება, რასაც, ჩემი გათვლით საკმაოდ დრო

დასჭირდება, რადგან ტერმინებში ჩემი ჩარევაა საჭირო და ფიზიკურად ამდენი დრო არ იყო აქამდე...

ქალბატონო თამარ, სამომავლო გეგმების შესახებაც გვიაზრებ...

მიუხედავად ყველაფრისა, ცხოვრება გრძელდება მანამ სანამ სული გვიდგას და არ შეიძლება დაველოდოთ ან ვთქვათ ეს რომ დასრულდება, მერე ამას გავაკეთებ, იმას გავაკეთებ - არა! მოძრაობა და საქმე არ უნდა შეწყვიტოს ადამიანმა, განვითარების გარეშე არ უნდა დარჩეს, ადამიანმა არ უნდა მისცეს სტრესს გასაქანის საშუალება, იქვე უნდა ჩაკლას! მოკლევადიანი და ყოველდღიური გეგმები და უამრავი რამ მიტრიალებს თავში და ისინი რომ არ შევასრულო, ალბათ გავაფრენ. ამჟამად, კონკურსის შედეგებს ვამზადებთ სპონსორ ორგანიზაციასთან ერთად, რომელმაც ჩემი ერთ-ერთი პროექტი დააფინანსა. ჩემზე რაც იყო დამოკიდებული, კორონას წყალობით, შევასრულე :)). ხოლო შემდეგ ნაბიჯებს სპონსორისგან ველოდები. სავარაუდოდ ივნისისთვის უკვე დასრულდება, ძალიან დაგვიგვიანდა შედეგების გამოცხადება. იმედია, გვაპატიებენ მონაწილეები.

გვსმენია თქვენი საქველმოქმედო ფონდის შესახებაც...

დიახ, საქველმოქმედო ფონდია ამ ყველაფრის საწყისი და ეს წიგნიც გარკვეულწილად ფონდის მხარდასაჭერად შეიქმნა, ასე გამოგვივიდა. ღმერთის წყალობით, რამდენიმე კარგი საქმე გავაკეთეთ მოხალისეებისა და მეგობრების თანადგომით. ახლაც ვაგრძელებთ აქტივობებს, კორონას პირობებში რამდენიმე ოჯახთან გავაგზავნეთ ნობათი, თუმცა ეს საკმარისი არ არის და ამჯერად სულ სხვა მიმართულება უნდა ავიღოთ. მინდა უფრო ნაყოფიერი შედეგი გამოიღოს ფონდის საქმიანობამ.

ქალბატონო თამარ, რა ადგილი უკავია თქვენს ცხოვრებაში ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას, ხშირად სტუმრობთ?

ბიბლიოთეკას, დროის სიმცირის გამო ხშირად ვერ ვსტუმრობ, თუმცა როდესაც სხვა და სხვა ღონისძიება იმართება, შემღებისდაგვარად ვესწრები. ერთ-ერთი სიცოცხლით სავსე ადგილია ჩვენს ქალაქში, სადაც ვიცი უამრავი მეგობარი თუ ნაცნობი დამხვდება და ერთად გავიზიარებთ ღონისძიების ხიბლს.

ხშირად გვესმის, პანდემიის შემდეგ სამყარო აღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო. თქვენ როგორ ფიქრობთ? რას ეტყვით ჩვენი ბიბლიოთეკის მკითხველებს?

სამყარო ისეთი იქნება როგორსაც დავინახავთ, როგორიც გვინდოდა ყველაზე მეტად ყველას ერთად, ზუსტად ისეთია, არც მეტი, არც ნაკლები :) ადამიანებს არ უნდოდათ

სამსახურში სიარული, მოსწავლეებს არ უყვარდათ სკოლა, ყველა წუწუნებდა, სიმართლეს გაგიმხელთ და მეც მეზარებოდა ამერიკაში წასვლა რიგი მიზეზების გამო და აი, ყველას აგვიხდა ოცნებები. 21-ე საუკუნე ოცნებების ახდენის და სასწაულების ცვენის ხანაა, ეს რასაც ჩემი შეუიარაღებელი თვალით დავაკვირდი. და რაც ყველაზე მთავარია, ამ დროს იგრძნო ადამიანმა ყველაზე მეტად რომ მძევლად აყვანილი საინტერესო პერსონაჟია.

დიდი მადლობა ქალბატონო თამარ საინტერესო საუბრისთვის.

ჩვენი ინტერვიუ კი მინდა დავამთავრო გვიანიკას სიტყვებით: "ცხოვრებას ადამიანები ჩვენივე ხელით ვხატავთ. საღებავები ჩვენს ხელშია და ფერების არჩევანიც ჩვენზეა".

წარმატებებს გისურვებთ!♥

რუბრიკა მოამზადა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ძირითადი საცავის მათავარმა ბიბლიოთეკარმა - ნატო გიორგაძემ. 

ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ ნატალია კეჭეხმადესთან

პანდემია და ადამიანების სიყვარული-ინტერვიუები - "მე მზად ვარ გული გადაგიშალოთ"- ნატალია კეჭეხმადესთან ერთად!

2020 წლის 26 აპრილია.

მხოლოდ ერთი კითხვა მეგობარს ♡ ♡

- რა გენატრება?

რა მენატრება?

- ბავშვები, სკოლა უპირველსად!

- მათთან ერთად გატარებული ძვირფასი და განუმეორებელი დრო.

- გაკვეთილები მენატრება.

- მენატრება "პრივეტში" ყავა!

- მენატრება თოჯინების თეატრი და "მერი პოპინსი."

- მენატრება ბათუმი, მისი ქუჩები და ზღვა.

რა მენატრება?

- სიას ჩამოვწერ ,ოღონდ არ გამოთქვა...

- სკოლის თავგადასავლები.

- პოეზიის და მუსიკალური სადამოები.

- დრამატულ თეატრში გერმანელების დადგმულ "მედეას" ვუყურებდი ისევ სიამოვნებით.

- დელფინები მენატრება, დელფინები!

- გონიოს ციხეში ლიანა ისაკაძის „ ღამის სერენადები".

- ექსკურსიებიც მენატრება.

- სიცოცხლე მენატრება, რომ ჩემს ახლობლებთან ერთად ვუმზირო მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს.

- არ მენატრება მარტოობა, მენატრება მხოლოდ სიცოცხლე და ხალხი!

ბათუმში მზეა.

ინგა გოგიბერიძე

ნატალია კეჭეხმადე

2020 წელი . გარეთ პანდემიაა. მზეა და 26 აპრილია.



ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ გია ჯაჯანიძესთან

პანდემია და ადამიანების სიყვარული-ინტერვიუები - "მე მზად ვარ გული გადაგიშალოთ". 2020 წლის 25 აპრილია.

გია ჯაჯანიძე - ერთადერთი რასაც არასოდეს შევცვლი, ესაა ჩემი ადამიანების



მიმართ

სიყვარული და დამოკიდებულება.

...როგორც პანდემიამ დღეს ჩვენი ცხოვრების დრო ორ ნაწილად გაყო, ისე მსოფლიო უკვე დიდი ხანია დაყოფილია სიყვარულისა და შურის მატარებელ ადამიანებად. იყო ყველას მიმართ პოზიტიურად და სიყვარულით განწყობილი ძნელია, თუ არ აფასებ იმ დღის ლუკმას რაც გაგაჩნია-სიმდიდრე იქნება ეს თუ დახეული ფეხსაცმელი და თუ არ ცხოვრობ იმ დღის მაღლიერებით, რომელიც ღმერთმა გიბოძა, აუტანელი ხდება ცხოვრება.

თბილისის ქუჩებში დადის ერთი ფერადი ადამიანი, რომელსაც გული სიყვარულით ააქვს სავსე, რომელიც მთელ საქართველოს უყვარს და რომელსაც მართლა უყვარს ადამიანები!

ეს გია ჯაჯანიძეა!

მოგესალმებით ბატონო გია, მთელ საქართველოს უყვარხართ და მეც რომ მიყვარდეთ რა გასაკვირია, ისეთი გულწრფელი ხართ ყოველთვის, ბავშვური, იფიქრებ პასუხგაუცემელი კითხვები თქვენ ირგვლივ აღარ დარჩა თითქოს... ახლა, როცა პანდემიამ ძალიან ბევრი დრო გაგვიჩინა ყველას, რას ფიქრობთ-გჭირდებოდათ ეს დრო თქვენ?

- მოგესალმებით ინგა, მაღლობა რომ დაინტერესდით ჩემით, სიმართლე გითხრათ ადრე მწყინდა როცა მეუბნებოდნენ ბავშვური ხარო, რაც ასაკი მომემატა მივხვდი, რატომ მეუბნებიან ბავშვური რომ ვარ.

რაც შეეხება დღევანდელ პერიოდს, მხოლოდ ადამიანების ბედი და მსოფლიოში შექმნილი ეკონომიკა მედარდება. ჯერ-ჯერობით პირადად მე არაფერი შემხებია, ვმუშაობ ჩვეულებრივ რეჟიმში, დისტანციურად. ზოგჯერ სამსახურშიც მივდივარ თუ საჭიროება მოითხოვს, რა თქმა უნდა დაცულად. საერთოდ კანონ მორჩილი ვარ, ძალიან ბევრ თვისებებთან ერთად, (არ ვგულისხმობ მხოლოდ დადებითს და იცინის) მაქვს ძალიან სწორად და მკაფიოდ განაწილებული დრო. ადამიანს, რომელსაც შეუძლია დროის სწორად განაწილება, უამრავი გამარჯვება და წარმატება ელის წინ!. აქედან გამომდინარე მე ადვილად გადავანაწილე სამუშაო. „ დარჩი სახლში, მე ვმუშაობ შენთვის“ სახლში დანარჩენილი ადამიანებისთვის მე გადაცემებს ვაკეთებ, თავი რომ შეიყოლიონ და გაერთონ.

სხვათაშორის მეც მიყვარს დროის სწორად განაწილება - დილით ფურცელზე ჩამოვწერ ხოლმე საქმეებს და სადამოს პლიუსებს ვუკეთებ. ამის გარეშე არ შემძლია.... დღეს კი ჩვენი ცხოვრება ორ ნაწილად გაიყო: პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ. რა მოიფიქრეთ ახალი? თქვენი გადაცემის ანონსი ვნახე - "ინტუიცია". გქონდათ თუ არა თავად რაიმე შეგრძნება რომ ასე შეიცვლებოდა სამყარო?

- სიმართლე გითხრათ ეს გადაცემა ორი თვის წინ ჩავწერე, იქ ძალიან ბევრი წინასწრმეტყველური ფრაზები გაჟღერდა. რაც შეეხება არსებულ მდგომარეობას ზუსტად ვიცოდი რომ რაღაც უბედურება მოხდებოდა. ძალიან ბევრი კვლევები მაქვს ჩატარებული, ძალიან ბევრს ვმუშაობ, ამ თემაზე. წიგნს გამოვცემ მალე. არ მინდა შეგაშინოთ, მაგრამ მე ველოდები უარესს. რატომ? და რა არის გამოსავალი? გაინტერესებთ? თუ ჩვენ გვჯერა ენერგეტიკის, გამოდის რომ თითოეული ადამიანის ენერგეტიკა, აზრი, გონი და ქმედება არსად არ მიდის, ის რჩება ადამიანში, მას იზიდავს მიწა და კოსმოსი. სანამ ადამიანი იქნება აგრესიული, შურიანი, ბოღმიანი, ცილისმწამებელი, სანამ უსამართლოდ მოექცევიან და დაჩაგრავენ ერთმანეთს, მანამ უფრო უარესი და უარესი მოხდება, აქედან გამომდინარე უნდა ეცადოთ (შეიძლება ვერ გადაკეთდეთ მთლიანად), რომ გახდეთ უკეთესები. როცა იცი, რაღაც არის სხვისი საკუთრება, უნდა გაიაზრო, რომ ის არის მისი და არ უნდა შემშურდეს, რადგან ეს შური შენში გამოიწვევს უარყოფით ენერგიას, გადავა აგრესიაში და იქნები ცუდად. ამიტომ, შეირგე სიხარულით რაც მოგეცა და აუცილებლად მოგეცემა მეტი.

- არ უნდა შეგშურდეს.

- უნდა გიხაროდეს სხვისი წარამატება.

...და როცა სხვისი წარმატება გიხარია, შენ ეს დაგიბრუნდება სიკეთედ და შენც გაიხარებ!

თუ არ გადავალთ ამ სტილის ფსიქოლოგიურ მოწყობაზე, თუ ადამიანმა არ ისწავლა ადამიანის სიყვარული, სიხარულის გაზიარება და გათავისება, არაფერი სასიკეთო არ იქნება. იყავი განათლებული, წარმატებული მაინც ჩავიძირებით უფსკრულში. ძალიან ბევრი განათლებული ადამიანი ვიცი, ვინც საშინელ მდგომარეობაში აგდებს სხვას.

დღეს ჩვენ გმირ ექიმებს აკრიტიკებენ, იმ ექიმებს, ვინც 24 საათიან რეჟიმში ჩვენი მეგობრის, ახლობლის, ნათესავის და ოჯახის წევრის გადარჩენაზე ზრუნავს!

რატომ? რატომ ხდება ასე?

ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ გულწრფელი, მე ასე მჯერა, რომ ჩემნაირი აზროვნება და მსოფლმხედველობა გადაარჩენს ქვეყანას, რადგან ის სიყვარულზეა დაფუძნებული. თუ ყველა ასე იფიქრებს, ყველა გადარჩება. ერთ მაგალითს მოგიყვანთ - როცა თვითმფრინავში ჯდება მშობელი და შვილი, კრიტიკულ შემთხვევაში ჯერ პირბადე მშობელმა უნდა მოირგოს, მერე შვილს უნდა გაუკეთოს, რათა, რომ რამე მოხდეს მშობელმა უნდა შეძლოს შვილის გადარჩენა. ასეა - ფსიქოლოგებიც გვიჩვენებენ - ჯერ დედამ უნდა ჭამოს საჭმელი, ჯერ საკუთარ თავს და ნერვებს უნდა მიხედოს, რომ შეძლოს მშვიდად შვილის აღზრდა. არსებობს მცნება, ზომიერი და საჭირო ეგოიზმი. იყავით საკუთარი თავით მოცული, გაიცანით საკუთარი თავი და აკეთეთ სიკეთე.

ყველამ ვიცით, ხშირად ვიმეორებთ, მაგრამ ცოტა თუ აკეთებს „მოექცე სხვას ისე როგორც გინდა მოგექცენ შენ.“

შეიძლება დაუჯერებელია, მაგრამ არასოდეს არ ვიქექები სხვის ცხოვრებაში, არ მაინტერესებს ჩვემიო სხვის პირად ცხოვრებას. რით და როგორ იშოვა, რით და როგორ მიაღწია წარმატებას. მე ვარ ჩემი თავით მოცული, მე მიყვარს სამყარო, მე მიყვარხართ თქვენ და მიხარია, რომ ხართ წარმატებული.

მომიყვით იმ ერთ ქცევაზე, რომელსაც არასოდეს არცერთ ვითარებაში არ ცვლით?

- ცოტა აბსტრაქტული კითხვაა, ერთადერთი რასაც არასოდეს შევცვლი ესაა ჩემი ადამიანების მიმართ სიყვარული და დამოკიდებულება.

კვირაში ერთხელ, ჩემს თავს სხვადასხვა შინაარსის კითხვებს ვუსვამ.

ერთი კვირა საღამოა და დავწერე - რა მინდა მე. თან გავიფიქრე, არავითარ შემთხვევაში მატერიალური ფული, სასახლე, გემი, თვითმფრინავი, კუნძული. მინდა უზარმაზარ

ტერიტორიაზე შეიკრიბოს უამრავი ადამიანი, ყველა ქართველი, სადაც არ იქნება დაყოფა პოზიციად და ოპოზიციად. ბედნიერი (ბედ-ნი-ერი) სიყვარულით სავსე ქართველებმა ერთმანეთს მიულოცონ გამარჯვება!

ჩვენ მხოლოდ სიყვარული გვაკლია! ერთ შემთხვევაზე გავამახვილებ ყურადღებას, რაც გულში ჩამრჩა. მძიმე სათქმელია ჩემთვის, მაგრამ მე მესმის იმ ქალბატონის ტკივილის, რომელმაც პასკა გადააგდო და კვერცხები დაამტვრია, ძალიან ემოციურია, მაგრამ სააღდგომო საჩუქარს ასე არ უნდა მოქცეოდა... იმ დროსაც კი, როცა მშვიერი, დახეული ფეხსაცმელით, გამონაცვალი ტანსაცმლით დავდიოდი, მაშინაც ბედნიერი ვიყავი!

თუ შენ ბედნიერებით მიიღებ იმას, რაც გგონია რომ არ გეკადრება, აუცილებლად მიიღებ რაც შენ გულს გაუხარდება.

მე მიყვარს ადამიანები, მე მიყვარს სიცოცხლე და მახსოვს სიკვდილი. ამიტომ არის რომ ბედნიერი ვარ და მიაღვილდება ცხოვრება.

თემა შევამსუბუქოთ, რა როლს ასრულებს მუსიკა და სამკაული თქვენს ცხოვრებაში?

- მე მიყვარს მუსიკა ბუნებაში, ჩიტების ჭიკჭიკი და ფოთლების შრიალი. უამრავ მზესუმზირას ვთესავ ეზოში, იმისთვის, რომ ჩიტები მოვიდნენ და ჭამონ, არ იცით რა საოცარ ხმებს გამოსცემენ ბედნიერი დაპურებული ჩიტები, მე ეს მუსიკა მიყვარს. ასევე მიყვარს და უსასრულოდ შემიძლია ვუსმინო ვიოლინოზე შესრულებულ ნებისმიერ ნაწარმოებს.

- სამკაულის სიყვარული მისი ისტორიიდან გამომდინარე მაქვს, ყველა სამკაულს თავისი ისტორია აქვს, ყველა სამკაულზე პატარა ნოველა დაიწერება, ისინი ჩემი განვლილი ცხოვრების ნაწილია. ♡ ♡ ♡ ♡

ბათუმი

თბილისი

ინგა გოგიბერიძე

გია ჯაჯანიძე

მე მიყვარს ადამიანები!

2020 წელი. 26 აპრილი, ბათუმში მზეა!

ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ სოსო კოტორეიშვილთან

პანდემია და ადამიანების სიყვარული-ინტერვიუები ❖- "მე მზად ვარ გული გადაგიშალოთ".

2020 წლის 24 აპრილია. ახლა მე და ბატონი სოსო კოტორეიშვილი (ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილე), გაცხარებულ მზადებაში უნდა ვიყვეთ, ახლოვდება საბიბლიოთეკო კვირეულის დღეები და ბიბლიოთეკარის დღე... ირგვლივ სიჩუმეა ...გარეთ პანდემია მძვინვარებს. მახსენდება ის ლამაზი დღე, რომელიც ერთად გავატარეთ 2018 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში კვირეულზე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა/National Library of Georgia Maka Didebulidze გიორგი კეკელიძე • Giorgi Kekelidze და ცოტა გულზე სევდა მაწვება.

ბატონო სოსო, ვიცი, რომ ძალიან აქტიური და კრეატიული ადამიანი ხართ. პირველი კითხვა ასეთი იქნება....

1. ახლა, როცა პანდემიამ ძალიან ბევრი დრო გაგვიჩინა ყველას, რას ფიქრობთ-გჭირდებოდათ ეს დრო თქვენ?

1. ფიქრებში ფიქრებად რომ დავფიქრდები,
ვეღარ მოვიფიქრებ და ისევ დავფიქრდები,
მერე შემაწუხებს ეს ვერმოფიქრება...

და ისევ დავფიქრდები.

და ისევ ამ დაფიქრებაში ერთმა მოფიქრებულმა მათქმევინა - თავში მადლობა, რომ მეკითხებით, რომ ბათუმიდან ბაღდათი მოიკითხეთ - ზღვამ მთაო, ასე მეფიქრება. მერე კიდეც, ჩემი მოკლე ჭკუით, პანდემია რომ არ გავიცნო, მაშველად ეს მომეფიქრა:

იუმორი და ქალი

კი არის დიდი შარი,

მარა ძამია, გჯეროდეთ,

არის დამცავი ფარი.

მჭირდებოდა თურმე დრო ამის მოსაფიქრებლად.

2. რა საყვარელი პასუხია, ისეთი, თქვენი ხასიათი, რომ ჩანს. აბა მე მეტი რა მინდა, კარგად გაგიცნოთ მკითხველმა.

ჩვენი ცხოვრება ორ ნაწილად გაყო - პანდემიამდე და ალბათ პანდემიის შემდეგ -რა მოიფიქრეთ ახალი?

2. წილებმა და წილებში „ჩაჯდომამ“ დაგვაწილადა ჩემო ინგა, ერთია მხოლოდ, ჩვენი სასიცოცხლო და საცხოვრებელი წილის ძეგნაში კი ვართ. ვის რა გვერგო და ვინ რა მოვთვალეთ. ორად გაყოფილი ცხოვრებისა - პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ - აბა, რა მოგახსენო, ერთი სიახლე კი მოიტანა ჩემს ცხოვრებაში:

ამ კორონას რომ გავკარი,
არ ყოფილა მართლა შარი?
დილიდანვე მომაჩეჩა,
ხელში ალესილი ბარი.

ეს იუმორნაზავი რეალობა. ახლა ჩემი აღმოჩენა - ბაღდათელები ერთმანეთისთვის - ახალგაზრდების მიერ წამოწყებული სოციალური კამპანია მოხუცების დასახმარებლად. აბა, ჩემი ახალგაზრდობა ვინლა თქვას, მარა ამიყოლიეს ბიჭებმა და 550 მარტოხელა მოხუცს რომ თვალებში ჩახედავ, მოეფერები, იმედად დაუდგები, კი მოდის გულში ახალგაზრდობა.

3. მარტოხელა მოხუცების მოფერა განა ყველას შეუძლია,მას დიდი სულიერი ძალა უნდა....სულიერი ტკივილები პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ- პანდემიის შემდეგ ვინმესთან შერიგებას ხომ არ ფიქრობთ?

3. მარტოობასთან შეგუების აღმოჩენის უცნაური ტკივილი - იქამდეც და აქამდეც. შერიგება? მე მაპატიეთ, მე მაპატიეთ, დანაშაული არდაბრუნების.☹☹☹☹

4. საიდან მოდის თქვენი გვარის ისტორია?

4. აქ იუმორია მეფე - კოტორეიშვილები იშვიათი გვარია, მხოლოდ ბაღდათური, წითელხევური ფესვებით, თუმცა ძირი ნიკორწმინდიდან მოდის. გურგენიძე ყოფილა, გოგია, 1859 წელს ჩამოსულა მაშინდელ სადემეტრაოში, რატომ? დღემდე ვერ გამოვიკვლიე. უქონელი ყოფილა, „კოტორა“ იმერულად, გვარიც დაუგვარებია - კოტორეიშვილი. მისდამდე გურგენიძე-კოტორეიშვილების ისტორიას და ჩემო ბატონო, ჩვენ ვყოფილვართ გურგენ კურაპალატის შთამომავლები. „მეფური სისხლის“ აღმოჩენამ ისე გამაყოფოჩა, დღემდე სასაცილო-სახუმაროდ აქვს შთამომავალს. მაინც თავდამბლობამ იძალა გვარში.

5. გვიამბეთ თქვენი ოჯახის რომელიმე გამორჩეულ ტრადიციაზე?

5. ისევ იუმორი და სტუმრის სიყვარული - მამა გამოირჩეოდა საოცარი ენამახვილობით: ცხრა აპრილის დღეებში, 7 აპრილს, ხარება დღეს, უნივერსიტეტის ეზოში მოშიშმილეს დამადგა თავს მაშინდელი მაიაკოვსკის რაიონის ატეკის დირექტორი, ჩუმად გამიხმო და მამა-შვილს შორის ასეთი დიალოგი შედგა:

- სოსოია, რას აკეთებ აქანე?

- ვშიმშილობ მამა.

- რატო, საჭმელი არ გაქვს?

- საჭმელი ბევრია, მარა საქართველოს შია, თავისუფლება წყურია.

- წამოდი სოსია სახლში თუ არა, მომხსნიან და შიმშილობა მერე ნახე შენ.

ანეკდოტად გავრცელდა ეს დიალოგი.

ღიალოგი სახლში:

დედა - დავიღალე რა ამდენი სტუმრიანობით.

მამა - მე რა შუაში ვარ.

დედა - შენ მოგყავს ყოველ დღე ამდენი სტუმარი და...

მამა - ნუ გაუღიმებ მერე დალოცვილო, შეკარი წარბი და კაციშვილი არ მოადგამს ფეხს.

უფალმა არ მოუშალოს ჩვენს ქართველობას სტუმარ-მასპინძლობის ხიბლი და სიყვარული.

6. შეიძლება ტრაფარეტული კითხვაა, მაგრამ რას ნიშნავს წიგნი და ბიბლიოთეკა თქვენთვის?

6. თქვენ ხართ ოთახში ჰაერზე მეტი - ესაა ჩემთვის წიგნი და ბიბლიოთეკა. და მიყვარს წიგნთან ერთად მოგზაურობა, სახლიდან რომ გავასეირნებ ხოლმე. ბაღდათის ბიბლიოთეკიდან „ვეფხისტყაოსანი“ ტაო-კლარჯეთში დამიმგზავრებია, გალაკტიონი ნიკორწმინდაში, ბაღდათის თავზე, ქვასაყდარაზე კარავის ბიბლიოთეკა გაგვიმართია... და ერთი ლაშქრობის დროს, კიდევ წიგნებით რომ დამინახე ჩემმა მეგობარმა, დათოია



ყიფიანმა, მომადახა - სოსოა, როდის აპირებ იმ ქვეყნად, რომელი წიგნები გაგატანოთ, ბარემ დაგვიბარეო.

7. დრო რომ უკან ბრუნდებოდეს რას შეცვლიდით თქვენს ცხოვრებაში?

7. ჯერ დრო დამიბრუნეთ და მერე გიპასუხებთ.☺☺

8. კარგი ბატონო,დატრიელდება ეს ბორბალიც მალე! როგორ ფიქრობთ სცენაზე უფრო მართალია ადამიანი თუ ცხოვრებაში???

8. რა თქმა უნდა სცენაზე.

სცენაზე სხვას თამაშობ, ცხოვრებაში ყველას მოატყუებ საკუთარი თავის გარდა, ვერ ითამაშებ.

9. იმედის დილაა დღეს???

9. გათენება სიცოცხლეა, სიცოცხლე იმედია, თქვენ ხომ გიხარიათ გათენება, მზის ამოსხივება? მზე ხომ მუდამ თბილი და მწველია. მზე შინა და მზე გარეთა, მზე შინ შემოდის - ჰოდა, მზე ვიხმოთ სახლში დარჩენილებმა - უვირუსო მზე, კაშკაშა.



10. რომელიმე როლზე ხო არ ოცნებობთ?

10. ავხდი ფარდას სცენას - ერთ როლზე ვიწყებ მუშაობას და აუცილებლად დაგპატიჟებთ პრემიერაზე. ოცნებაში კი დაფრინავს... ვითამაშებდი სიყვარულის როლს. აი, პერსონაჟი, სიყვარული - ვითამაშებდი.

11. მუსიკა თქვენს ცხოვრებაში?

11. სანამ შემეხმიანებოდით ჩემო ინგა, სისხამ დილით დავპოსტე - ზოგჯერ სულ არ გვემღერება, მაგრამ მაინც ვმღერივართ, ჩვენ სიმღერით ვიბადებით და სიმღერით მივდივართ.

ეგ არის ჩემი მუსიკა - სიჩუმის მუსიკა.

ჩემი მუსიკა და ბედნიერებაა თქვენნაირ ადამიანებთან ურთიერთობა...

ბატონო სოსო, სოსო გულიანი მადლობა დილის პოზიტივისათვის, ამ სევდიან დღეებში ულამაზესი, ტკივილიან-სევდიან, სიხარულიანი და იუმორით სავსე მზიანი პასუხებისათვის! შეხვედრამდე ბათუმში ან პრემიერაზე ბაღდათში.

ინგა გოგიბერიძე

სოსო კოტორეიშვილი

2020 წელი.24 აპრილის დილა.

ინტერვიუ ჩაიწერა სულ რაღაც 40 წუთში

ასე რომ სულ ცინცხალია და ცოცხალია!!!!!!!

ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ ლაშა ჩხარტიშვილთან

"პანდემია და ადამიანების სიყვარული"

რუბრიკაში-ინტერვიუები „მე მზად ვარ გული გადაგიშალოთ!“

...ლაშა ჩხარტიშვილს კარგად იცნობს არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს თეატრალური საზოგადოებაც, ის ნიჭიერი, სიმართლის მოყვარული და ენერგიული ადამიანია, უყვარს საკუთარი პროფესია და ძალიან ბევრს მუშაობს.



☒ ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე არის თანდართული ლაშა ჩხარტიშვილის მიერ შექმნილი თეატრალური არქივის გვერდი <https://www.theatrelife.ge/> ჩვენ უკვე დიდი ხანია ვმეგობრობთ - რომ არა მწერალი არ დაიწერებოდა პიესები, რომ არა თეატრი არ დაიდგმებოდა პიესები და არ იარსებებდა წიგნი და ბიბლიოთეკა და არც სათეატრო

კრიტიკა იარსებებდა.

მაშ ასე, ვსაუბრობთ თეატრმცოდნესთან, საქართველოს შოთა რუსთველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორთან, თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის დირექტორთან და ელექტრონულ ჟურნალ www.theatrelife.ge მთავარ რედაქტორთან - ლაშა ჩხარტიშვილთან ერთად.

- ლაშა, მოგესალმები, იმედია იმედიანად ხარ?

- გამარჯობა, მადლობა. არამიშავს, ვეჩვევი ახალი ცხოვრების წესს. იმედიანადაც ვარ.

- როგორ არის შენი მეზობელი თამარა? რჩება სახლში??? (ეს ხუმრობით რა თქმაუნდა)

- ჩემი მეზობელი თამარაც მშვენივრად გრძნობს თავს. სხვათაშორის, მითხრა რომ ახლა, ამ კარანტინის პერიოდში უკეთ აკონტროლებს ფიქრის გორას და ყველაფრის საქმის კურსში არის. ახლა სამეზობლო ვერიკო ანჯაფარიძის ქუჩაზე უფრო მეტად გამოდის, შორს

ვერ მიდიან და აქვე ასეირნებენ თავიანთ ოთხფეხა მეგობრებს და ბავშვებს. თამარასაც მეტი შესაძლებლობა გაუჩნდა აკონტროლოს ყველაფერი ვერიკო ანჯაფარიძის ქუჩის პერიმეტრზე.

- იმედი და სიხარული არ მოგშლოდეს.

- ემორჩილები ჯანდაცვის რეკომენდაციებს????

- რასაკვირველია, შეძლებისდაგვარად ვემორჩილები, ყოველ შემთხვევაში, ძალიან ვცდილობ. თუ აუცილებლობა არ არის, პროდუქტების შესაძენადაც თავს ვიკავებ მაღაზიაში შესვლისგან. არ დაემორჩილები და 3000 ლარიანი ჯარიმა უნდა გადავიხადო, რომელსაც ჩემი ოთხი თვის ხელფასი სჭირდება. ამიტომაც, დავრჩი სახლში.

- დიახ, ყველანი სახლში ვრჩებით, გაგიჭირდა ამ რეალობასთან შეგუება????

- სიმართლე გითხრათ, დიდად არ გამჭირვებია, ცოტა მოულოდნელი იყო და უფრო თავზარდამცემი, როგორც გლოვას ეჩვევა ადამიანი და ეგუება ბედს, რაღაც ასე ვეგუები ახალ რეგულაციებს, ვცდილობ მივიღო ის რეალობა და თავი არ დავიტვირთო ზედმეტი ფიქრით, არ ჩავვარდე დეპრესიაში, არ მიღირს, სიცოცხლე მინდა, ამიტომ შექმნილ რეალობას ვიღებ როგორც თამაშის ახალ წესს და უნებურად ჩავერთე ამ თამაშში. სანამდე შევძლებ ეს უკვე არ ვიცი.

- კარგია, რომ ასე ფიქრობ, ყველანი ვეჩვევით სხვანაირად ცხოვრებას. გადააფასე თუ არა საკუთარ თავში რომელიმე ღირებულება - პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ?

- გადაფასების პროცესი ხანგრძლივია და ეტაპობრივი. გზადაგზა ხდება მოვლენების გადაფასება, თანმიმდევრულად ხდება ღირებულებების და მოვლენების ანალიზი. ამ თვეების განმავლობაში მაინც ბევრი რამის გადაფასება მოხდა, თუმცა განსაკუთრებულ ცვლილებას ვერ ვგრძობ, თუ არ ჩავთვლი ფინანსურ კრიზისს, შეჩერებულ პროექტებს, ფესტივალებს, კონფერენციებს და მივლინებებს. ის რომ ტექნოლოგიის პროგრესი აისახებოდა ჩვენს ცხოვრებაზე ვიცოდი და მზად ვიყავი და სიმართლე გითხრათ კომფორტულიც კი არის ახალი ტიპის ურთიერთობებზე გადასვლა. ვიცოდი, რომ ამ გამოწვევის მიღება ადრე თუ გვიან მოგვიწევდა და მინდა გითხრათ, რომ „ზოგი ჭირი მარგებელია“ პრინციპით, მაგალითად, საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს ოპერატიულად მოუხდა სწავლების ონლაინ პრინციპებზე გადასვლა და მშვენივრად გაართვა თავი უნივერსიტეტმა ამ გამოწვევას, ადმინისტრაციამაც, პედაგოგებმაც და სტუდენტებმაც. მეტსაც გეტყვით, ონლაინ ლექციებზე ანშლაგები მაქვს,

რაც აქამდე არ მქონია, უფრო მოსახერხებელი აღმოჩნდა სტუდენტებისთვის, ვზოგავთ დროს, რესურსს და ეს კარგიც კი არის.

- სწორედ ამიტომ აგირჩიეთ რესპოდენტად, რომ ვიცოდი არ მოდუნდებოდი. არც მე ვაძლევ თავს მოდუნების უფლებას. მოგვიყევით საინტერესო დისტანციურ პროექტებზე?

- ამჟამად, რამდენიმე დისტანციურ პროექტზე ვმუშაობ. უპირველესი ეს ონლაინ ლექციებია, რომელიც უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს, მაგრამ არის მთელი რიგი პროექტები, რომელშიც ჩართული ვარ და დისტანციურად ვახორციელებ. მაგალითად, „თეატრის კრიტიკოსების საერთაშორისო გაერთიანების“ ინიციატივით აპრილის ბოლოს ვამზადებთ საერთაშორისო ონლაინ კონფერენციას „Theatre Online“, რომელიც მთლიანად იმ გამოწვევებს ეძღვნება, რომლის წინაშეც აღმოჩნდა თეატრი, როგორც ხელოვნება. მოგეხსენებათ თეატრი ერთადერთი ცოცხალი ხელოვნებაა და ფაქტობრივად პანდემიის პირობებში მას მოუხდა გაჩერება, პროცესი შეჩერებულია და თეატრი ეძებს გზებს ამ კრიზისიდან გამოსვლის. პირველი ეტაპი იყო სპექტაკლების ცოცხალი ეთერის პრინციპით ჩვენება ინტერნეტის საშუალებით, ამ ხერხს მთელი მსოფლიოს თეატრებმა მიმართა და სამყაროს მიეცა შესაძლებლობა ისეთი სპექტაკლების ნახვის, რომელთა ნახვას მხოლოდ იოცნებებდა, მეორე ეტაპზე თეატრების ნაწილი ცდილობს პირდაპირი ეთერის საშუალებით პიესების ონლაინ თეატრალიზებული კითხვების ციკლი მოაწყოს. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტება ქეთევან სამხარაძემ და დავით თარბამ თანამოაზრეებთან ერთად შექმნეს პლატფორმა სოციალურ ქსელში, სადაც უკვე შედგა პირველი პროექტის პრეზენტაცია და მას საკმაოდ დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ფართო საზოგადოება. აი, სწორედ ამ საკითხებს მიემდგვნება ეს საერთაშორისო კონფერენცია და მეც მოვამზადე უკვე მოხსენება „თეატრი კარანტინში“, რომელსაც საჯაროდ წავიკითხავ და ამ კონფერენციაზე დასწრება და მომხსენებლთა მოსმენა, რომელიც მსოფლიოს 17 ქვეყნიდან გაერთიანდა ამ კონფერენციის გარშემო, შეეძლება ყველა დაინტერესებულ პირს დისტანციურად.

კონფერენციის პარალელურად თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში რექტორის გიორგი მარგველაშვილის ინიციატივით, უნივერსიტეტის გამომცემლობის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი მაკა ვასაძე და მე ვმუშაობთ ორტომეულზე „ქართული თეატრი 2015-2019 წლებში“, რომელიც აერთიანებს არა მხოლოდ კრიტიკოსების რეცენზიებს ამ პერიოდში დადგმულ სპექტაკლებზე, არამედ სტატისტიკურ

და ანალიტიკურ კვლევასაც ქართული თეატრის უახლესი პერიოდის ცხოვრებაზე. გარდა ამისა, დამოუკიდებლად ვმუშაობ ორ კვლევაზე, რომელიც ქართულ თეატრს ეხება და პრესტიჟული საერთაშორისო გამოცემებისთვის მზადდება.

ამასთანავე ივნისში დაგგემილი გვქონდა ქართული თეატრის ერთი განვლილი სეზონის შეფასება, სიმპოზიუმის სახით, რომელიც ახლა უკვე დისტანციურად გაიმართება და ვემზადებით სწორედ ამ პროექტებისთვის.

- გილოცავ, ძალიან გამიხარდა, რომ ახალ წიგნზე მუშაობ და ჩვენს მკითხველებს საშუალება ექნებათ თვალი ადევნონ ახალ კვლევებსა და თეატრალურ კრიტიკას. მოგეწყინა თუ არა? - ეს კითხვა ახლა არასწორია, მაგრამ ჩამონათვალში უკვე იყო....

- იმის გათვალისწინებით, რაც ჩამოვთვალე, მოწყენის დრო და საშუალება აღარ დარჩა და სულ მიკვირს, როცა წუწუნებენ თავისუფალ დროზე, როგორ რჩება ამ ხალხს თავისუფალი დრო? იმდენი რამის მოფიქრება შეიძლება, იმდენი წიგნის წაკითხვა, იმდენი კარგი ფილმის და სპექტაკლის ნახვა... ასე რომ, „მოსაწყენად არა მცალია“...

- როგორ ფიქრობ, თეატრალური ცხოვრება შეიცვლება პანდემიის შემდეგ?

- ძალიან საინტერესო და გამომწვევი კითხვაა, რომელზედაც უკვე რამდენიმე კვირა ვფიქრობ და ცალსახა პასუხი არ მაქვს. თუ ჩვენ ვსაუბრობთ მსოფლიო თეატრზე, ალბათ უფრო მეტად შეიცვლება და ტექნოლოგიური პროგრესი კიდევ უფრო შეიჭრება თეატრში. ფაქტია, რომ ახლა თეატრი ჩიხში მოექცა და გამოსავალს ეძებს. დარწმუნებული ვარ იპოვის და ახალი, განსხვავებული ეპოქა დაიწყება თეატრში, მაგრამ თუ ჩვენ ვსაუბრობთ ქართულ თეატრზე, დიდი იმედი არ მაქვს, რომ რაიმე შეიცვლება და ფაქტია, რომ ჯერ ქართული თეატრი ვერ ახერხებს რაიმე ახლის შემოთავაზებას. სეზონის ნახევარი ფაქტობრივად ჩაიშალა. დიდი ნაწილი კვლავ ელოდება პანდემიის დასრულებას, რათა ტრადიციულად და კომფორტულად გააგრძელოს მუშაობა იმავე პრინციპებით, როგორც პანდემიამდე მუშაობდა. საერთოდ, უნდა ვადიაროთ, რომ სახელმწიფო თეატრების დიდი ნაწილი კომფორტიზმშია ჩადირული და არც სიახლის მიღება სურთ და არც ზედმეტი ფიქრი გამოსავლის საძიებლად, ისევ ახალგაზრდების იმედად ვარ, რომლებსაც ენთუზიაზმი აქვთ მხოლოდ და არანაირი ფინანსური რესურსი, მაგრამ ისინი ეძიებენ ახალ ხერხებს და ფორმებს.

- მშვიდობა გქონდეს!

- დიდი მადლობა. მეც მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, სულიერი სიმშვიდე და კეთილდღეობა.

@ინგა გოგიბერიძე

@ლაშა ჩხარტიშვილი

ბათუმი, თბილისი. 2020 წელი. 23 აპრილი. პანდემია.

უცხოური წიგნების ელექტრონული კატალოგები

მოგესალმებით ჩვენო ძვირფასო მკითხველებო.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა ისევ დისტანციურ რეჟიმში მუშაობს.

სტატიაში მითითებული ლინკის საშუალებით ჩვენს მიერ გაციფრებულ მასალებს შემოგთავაზებთ.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის უცხოური განყოფილება აერთიანებს სხვადასხვა ენაზე გამოცემულ სხვადასხვა ჟანრის წიგნებს. ამ არსებული ფონდის საფუძველზე საშუალება გვებძლება მოვამზადოთ უცხოური წიგნების ელექტრონული კატალოგები. დღეის მონაცემებით შექმნილია 2 030 უცხოური წიგნების ელექტრონული კატალოგი და მითითებულ ბმულზე გაყოლით <http://cat.bpl.ge/ec/ka/gfb/search.html> შეძლებთ სახლიდან გაუსვლელად დააზუსტოთ ბიბლიოთეკაში არსებული უცხოური წიგნები. ჩვენ ვზრუნავთ ჩვენი მკითხველის კომფორტზე.


ელექტრონული ბაზების რედაქტორი

სოფო ინაიშვილი

ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“


ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ მომხმარებელს სთავაზობს წიგნების, ფოტოების ელექტრონულ ვერსიებს. იხილეთ www.bpl.ge E-რესურსები.

ციფრული ბიბლიოთეკის ელექტრონულ ვერსიაში თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ „ტბეთის სულთა მატიანე“, რომელიც გამოცემულია 1977 წელს.



„ტბეთის სულთა მატიანე“-ს დედანი (XII-XVII სს.) 1874 წელს აღმოაჩინა გიორგი ყაზბეგმა ტბეთის ეკლესიაში. მოგვიანებით, მასში მოცემული დოკუმენტები შეისწავლა და 1977 წელს გამოაქვეყნა ქართველმა მეცნიერმა თინა ენუქიძემ, რომელშიც შესულია მრავალი ძველი ქართული გვარ-სახელი, რამაც განაპირობა მისი წინამდებარე ელექტრონულ-ალფაბეტური ვერსიის შექმნა. ტბეთის ეკლესია, სადაც ეს

დოკუმენტები იწერებოდა, მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ მხარეში – შავშეთში. მისი ზემოდასახელებული მატიანე მდიდარია ქართული ისტორიულ-გენეალოგიური მასალით, კერძოდ მის ტექსტში შესულია 348 გვარი და 21 ტოპონიმი. ეს სახელები ძირითადად მიეკუთვნება შავშეთს,



ნაწილობრივ კლარჯეთსა და აჭარას. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ ტექსტში შესული ზოგიერთი გვარ-სახელის დაბოლოება, რომელთა უმეტესობის დაბოლოებებია: „ძე“, „ეთ“ და „შვილი“. მაგრამ, ვხვდებით გვარების შემდეგ დაბოლოებებსაც: „ურ“, „ელ“, „ულ“, „ფხა“, „ია“, „ნა“, „ში“, „აკი“, „ისა“ და სხვ. ამ დოკუმენტებში შესული გვართა უმრავლესობა განეკუთვნებოდა საზოგადოების დაბალ ფენებს – ძირითადად კი კონკრეტული საგნების მწარმოებლებს, რომლებიდანაც წარმოიშვებოდა მათი გვარები. მაგალითად, მეფუტკრიდან – მეფუტკრიძე, მჭედლიდან – მჭედლიძე და ა. შ. რიგ შემთხვევებში სამოქალაქო და საეკლესიო ფენების წარმომადგენლები უშუალოდ არიან მოხსენიებული როგორც მჭედელი, თერძი, ოქრომჭედელი, დიაკონი, მღვდელი და სხვ.

წამყვანი ბიბლიოთეკარი ლია ბოლქვაძე

დისტანციური მომსახურების სერვისები

ძვირფასო მკითხველებო!

ქვეყანაში კორონავირუსული ინფექციის შესაძლო გავრცელების პრვენციის მიზნით, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ, წიგნის გაცემის სერვისის მომსახურება შეაჩერა. სამაგიეროდ, აქტიურად მუშაობს დისტანციური მომსახურების სერვისები.

ამ რთულ სიტუაციაში ბიბლიოთეკა რჩება თქვენს აქტიურ მხარდამჭერად, დისტანციური მომსახურების სერვისი უფრო აქტიურად იმუშავებს და უწყვეტად მოგაწოდებთ თქვენთვის საჭირო ინფორმაციასა და ელექტრონულ მასალებს.

დისტანციური მომსახურების მისაღებად ისარგებლეთ:

ფეისბუქ გვერდით: www.facebook.com/აკაკი-წერეთლის-სახელობის-ქალაქ-ბათუმის-საჯ...

ვებ გვერდით: www.bpl.ge

ელ. კატალოგით: <http://cat.bpl.ge/ec/ka/changedb.html>

ინფექციის მასიური გავრცელების თავიდან ასარიდებლად ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა ითვალისწინებს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. ჩვენ ვრჩებით სახლში, ვიცავთ სოციალურ დისტანციას, ვუფრთხილდებით თქვენსა და ჩვენს ჯანმრთელობას.

მონაცემთა ბაზა - „ჟურნალების მატეიანე“

კორონავირუსთან დაკავშირებით ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის შესაბამისად, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა დისტანციურ რეჟიმში მუშაობს.

ამ დროის მანძილზე ჩვენ ვიზრუნებთ იმაზე, რომ სტატიაში მითითებული ლინკის საშუალებით გაეცნოთ ჩვენს მიერ გაციფრებულ მასალებს.

ანალიტიკური აღწერილობა ჟურნალ - „ლიტერატურული აჭარა“

ამჟამად თქვენი ყურადღება მიიწვიება ჟურნალ „ლიტერატურული აჭარა“-ზე. „ლიტერატურული აჭარა“ — ქართული ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა 1958 წლიდან ბათუმში ორ თვეში ერთხელ. 1970-1998 წლიდან გამოდის „ჭოროხის“ სახელწოდებით. 1999-2003 წლიდან გამოდის სათაურით: „ლიტერატურული აჭარა“. 2004 წლიდან გამოდის სათაურით ჭოროხი.

ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკურ აღწერილობას ბიბლიოთეკებში უზრუნველყოფს საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და სამხარეთმცოდნეო განყოფილება. დღეის მონაცემებით სპეციალური ISIS პროგრამით, შექმნილია და ინტერნეტი სივრცეში განთავსებულია, ჟურნალ „ლიტერატურული აჭარა“-ს ანალიტიკური აღწერილობა.

<http://cat.bpl.ge/ec/ka/jmat/search.html> ამ ბმულზე გადასვლით თქვენ საშუალება მოგეცემათ გაეცნოთ თქვენთვის სასურველ კონკრეტულ გამოცემას. დღეის მონაცემებით შექმნილია 1909 ჩანაწერი და მიმდინარეობს მუშაობა ინფორმაციის სრულ შევსებამდე.

გაზეთების სტატიების ანალიტიკური აღწერილობის ბაზა

კორონავირუსთან დაკავშირებით ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის შესაბამისად, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა დისტანციურ რეჟიმში მუშაობს.

ამ დროის მანძილზე ჩვენ ვიზრუნებთ იმაზე, რომ სტატიაში მითითებული ლინკის საშუალებით გაეცნოთ ჩვენს მიერ გაციფრებულ მასალებს.

ბიბლიოთეკის ერთგულმა მომხმარებელმა იცის, რომ ბიბლიოთეკის დაარსების დღიდან ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ბიბლიოგრაფიული განყოფილება. ამ განყოფილების ფუნქცია-მოვალეობას წარმოადგენს გაზეთებსა თუ წიგნებში გამოქვეყნებული სტატიებისა და რუბრიკების აღწერა, გახსნა და დათავისთავება. წლების წინ ბიბლიოთეკარები ასე ქმნიდნენ კარტოთეკებს. რაც საშუალებას იძლეოდა მკითხველისათვის უმოკლეს დროში მიგვეწოდებინა ავტორის, თემის და შინაარსის მიხედვით თავმოყრილი საცნობარო მასალა. დღესდღეისობით ეს ხორცილდება ISIS პროგრამით ელექტრონულად. რის შედეგადაც კიდევ უფრო სწრაფად ხდება მონაცემების მოძიება. დღეის მონაცემებით შექმნილია 109 665 სტატიის ანალიტიკური აღწერილობა. ამ ბაზაში თავმოყრილია აჭარაში გამოცემული გაზეთების სტატიების ბიბლიოგრაფია, როგორებიცაა: „აჭარა“; „აჭარაP.S“; „ბათუმელები“; „ხულო“; „ქედა“; „შუახევი“; „ჩემი ქობულეთი“; „ქობულეთი“; „ბათუმური ქრონიკები“; „თქვენი გაზეთი“... დეტალური ინფორმაციისთვის გაყევით ბმულს: <http://cat.bpl.ge/ec/ka/nmat/search.html>

სიახლეები

მუზეუმის საერთაშორისო დღე

#დარჩისახლში! #მუზეუმებისსაერთაშორისოდღე  

„მუზეუმები თანასწორობისთვის: „მრავალფეროვნება და ინკლუზია“.

ძვირფასო მკითხველებო, ჩვენ კვლავაც ვაგრძელებთ ჩვენს რუბრიკას და დისტანციურად, სახლიდან გაუსვლელად გთავაზობთ სხვადასხვა ხასიათის საინტერესო სტატიებს!

დღეს მუზეუმების საერთაშორისო დღეა. საერთაშორისო საზოგადოება ყოველწლიურად 18 მაისს აღნიშნავს ამ დღეს.

2020 წელს მუზეუმების საერთაშორისო დღის თემაა „მუზეუმები თანასწორობისთვის: „მრავალფეროვნება და ინკლუზია“.

მუზეუმის საერთაშორისო დღე მუზეუმების საერთაშორისო საბჭომ (ICOM) დააფუძნა 1977 წელს საზოგადოების განვითარებაში მუზეუმის როლის გაცნობიერების მიზნით.

მთელს მსოფლიოში მუზეუმის საერთაშორისო დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს სამუზეუმო საზოგადოებისათვის. ამ დღეს მუზეუმები ახდენენ ერთი თემის ინტერპრეტირებას და ეს ეხება კულტურის ყველა ორგანიზაციას. მუზეუმის საერთაშორისო დღე აგრეთვე შესანიშნავი საშუალებაა მუზეუმის პროფესიონალებისთვის საკუთარ აუდიტორიასთან შესახვედრად.

ყოველწლიურად, მუზეუმის საერთაშორისო დღე მსოფლიოს სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყნის მუზეუმებს იკრებს. მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობის დაცვასა და ექსპონირებასთან ერთად, უკანასკნელ წლებში სამუზეუმო სექტორს ახასიათებს კრეატიულობა და სიცოცხლისუნარიანი აქტივობა, რაც აძლიერებს თანამედროვე სამუზეუმო ინსტიტუციებს. კონსერვაციის ტრადიციული მისიის შეთავსება კრეატიულობასთან, რაც აუცილებელია მუზეუმების აღორძინებისა და აუდიტორიის განვითარებისთვის - ესაა ევოლუცია, რასაც მუზეუმები პასუხობენ მყარი რწმენით, რომ

მათ არსებობას და აქტივობებს შეუძლია მოახდინოს საზოგადოების კონსტრუქციული ტრანსფორმაცია.

ეს უდავოდ ოპტიმისტური თემა თანაბარზომიერად და დინამიურად თავს უყრის რამდენიმე კონცეფციას, რომლებიც განსაზღვრავს თანამედროვე მუზეუმის არსს, წარმოაჩენს ამ ინსტიტუციის უნივერსალურ ბუნებას და პოზიტიურ გავლენას საზოგადოებაზე. იგი აჯამებს მუზეუმის ამოცანათა სირთულეებს და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ მუზეუმი მოწოდებულია საკუთარი წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებასა და დაახლოებაში.

სწორედ ამის პასუხია ის, რომ 2019 წელს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში მერიის მხარდაჭერით გაიხსნა სრულიად ახალი საგანმანათლებლო სივრცე-წიგნის და მარკების მუზეუმი. სივრცე მულტიფუნქციურია და მოიცავს რარიტეტული წიგნისა და საფოსტო მარკების მუზეუმს, ბავშვთა და საკონფერენციო ოთახებს, პრესის ოთახსა და დეპოზიტარიუმს.

21 დეკემბერს საგანმანათლებლო სივრცე ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ და ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ გახსნეს.

"ამაყი ვარ: ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ახალი საგანმანათლებლო სივრცე გავხსენით. ოდესღაც უფერული გიგანტური საცავი დღეს ინგა გოგიბერიძის და მისი კოლეგების უდიდესი შრომის შედეგად მულტიფუნქციური კომპლექსი შეიქმნა - წიგნის მუზეუმი, საფოსტო მარკების მუზეუმი, საბავშვო სამკითხველო და ა.შ. ჩვენ ერთად ძალიან მალე ბიბლიოთეკებს ქვეყნის ცენტრალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებად ვაქცევთ!" — განაცხადა გიორგი კეკელიძემ.

ახალ სივრცეში განთავსდა ასევე დეპოზიტარიუმის ოთახი, ბავშვთა ოთახი, სადაც ტარდება პროექტი "კითხვის დრო ინგასთან ერთად". ამ ოთახში გამოფენილია უახლესი საბავშვო ლიტერატურა. გაიხსნა ჩვენს ფონდში დაცული იშვიათი გამოცემების სამუზეუმო ოთახი, სადაც გამოიფინა რარიტეტული წიგნები როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.

მწერალ პარმენ ლორიას ოჯახმა გადმოსცა ბიბლიოთეკას საჩუქრად მოვერცხლილი სამაგიდო კალენდარი, კარადა და პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსდა მუზეუმში. გაიხსნა საკონფერენციო ოთახი ტრენინგებისთვის, გაიხსნა პრესის არქივის ოთახი, სადაც განლაგებულია ბიბლიოთეკაში არსებული უნიკალური პრესის კოლექცია. ოთახის

კედლებზე განთავსებულია აჭარაში მოღვაწე ცნობილი მწერლების, პოეტების, საზოგადო მოღვაწეების ხელნაწერები.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა ზრუნავს ეროვნულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე და თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, მისი ცნობიერების ამაღლებაში.

კულტურული პროგრამების და სამკითხველო დარბაზების მომსახურების განყოფილების მთავარი ბიბლიოთეკარი - ელენე ტულუში.



სტუმრად ბიბლიოთეკაში

გიორგი კეკელიძე • Giorgi Kekelidze

მოგესალმებით მეგობრებო, დღეს, ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ბატონი გიორგი კეკელიძე სტუმრობდა.

ერთობლივი გადაწყვეტილებით და ქალაქის მერიასთან შეთანხმებით გადაწყდა



ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა მუშაობას იწყებს 8 ივნისს, აღდგება ყველა ის საქმიანობა, რომელიც არ უკავშირდება ადგილზე მკითხველის მომსახურებას.

16 ივნისიდან სამკითხველო დარბაზებიც გაიხსნება, თუმცა იქამდე ჩვენ გამოვიყენებთ ამ შესაძლებლობას ბიბლიოთეკის დისტანციური მომსახურების გამოცდისთვის და მისი განვითარებისთვის.

ბატონმა გიორგიმ მოგვაწოდა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის National Center for Disease Control & Public Health, Georgia (NCDC & PH) სარეკლამო სახის რეკომენდაციები და მათი სრული დაცვით, (რისკ ჯგუფების გამოკლებით) ბათუმის

საჯარო ბიბლიოთეკა დაუბრუნდება ჩვეულ რიტმს!

ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომლისთვის უკვე შეძენილია მრავალჯერადი მოხმარების პირბადეები და დამცავი ფარები. ერთი სიტყვით, ჩვენც უკვე კარგა ხანია ვერგებით ახალ გარემოს.

ყველას გისურვებთ ჯანმრთელობას!

23 აპრილი წიგნის საერთაშორისო დღეა!

📖 ეს დღე, “იუნესკომ” უილიამ შექსპირის დაბადებისა და გარდაცვალების დღის თარიღის გამო აირჩია და წიგნის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა.

📖 23 აპრილი წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღედ არის.

📖 ბოლო წლების ინიციატივა, „23 აპრილი წიგნის ჩუქების დღედ დაწესდეს“ - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, გიორგი კეკელიძესა და „ანაგრამას“ ეკუთნის.

📖 #აჩუქეწიგნი – ეს კამპანიის მთავარი გზავნილია. ინიციატივის მთავარი მიზანი, ქვეყანაში წიგნისა და წიგნიერების პოპულარიზაციაა.



#კორონა ვირუსთან დაკავშირებით დღევანდელი დღე განსხვავებული ფორმატით აღინიშნება; სოციალური ქსელის მეშვეობით ყველს აქვს საშუალება ეს დღე მოულოცოს მისთვის ძვირფას ადამიანს, აჩუქოს წიგნი სმარტფონით წარწერით, გადაუღოს ფოტო და ატვირთოს სოციალურ ქსელში... #აჩუქეწიგნი 📖📧📷